

**საქართველოს ორგანული კანონი  
ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ**

ეს კანონი საქართველოს კონსტიტუციისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის შესაბამისად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ, ეკონომიკურ და ფინანსურ საფუძვლებს, სახელმწიფო გარანტიებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესს, მათ უფლებამოსილებებს და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობას.

**თავი I  
ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

1. ადგილობრივი თვითმმართველობა - საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციით აღიარებული და კანონმდებლობით გარანტირებული უფლება, შესაძლებლობა და პასუხისმგებლობა, ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, კანონმდებლობის საფუძველზე, თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით.

2. თვითმმართველი ერთეული (მუნიციპალიტეტი) - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული (დასახლება ან დასახლებათა ერთობლიობა), რომელსაც ჰყავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება, შემოსულობები, ბიუჯეტი, ადმინისტრაციული ცენტრი და არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი; თვითმმართველ ერთეულს (მუნიციპალიტეტს), როგორც წესი, ეწოდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის სახელი;

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები:

ა) წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო, რომელიც შედგება თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა მიერ „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი წესით პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით არჩეული წევრებისაგან;

ბ) მერი - თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა მიერ „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი წესით პირდაპირი, ფარული და თანასწორი კენჭისყრის საფუძველზე არჩეული თვითმმართველი ერთეულის მეთაური;

გ) აღმასრულებელი ორგანო:

გ.ა) კოლეგიური ორგანო - გამგეობა, რომელიც შედგება მერის, საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებისა და ადმინისტრაციის უფროსისაგან;

გ.ბ) ადმინისტრაცია, რომელიც შედგება ადმინისტრაციის უფროსის, თვითმმართველი ერთეულის სამსახურების და აპარატისაგან.

დ) შიდა აუდიტის სამსახური, რომელსაც ქმნის საკრებულო ამ კანონითა და „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

4. ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობა – ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე საკუთარ ინიციატივათა განსახორციელებლად მოქალაქეთა ნებაყოფლობითი თვითორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ ერთეულში, კანონის ფარგლებში უშუალოდ ახორციელებს და მონაწილეობს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში. საზოგადოებრივი თვითმმართველობა შეიძლება შეიქმნას არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) ან წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირის სახით, ამ კანონითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმებით;

5. თემი – მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის – ადგილობრივი საზოგადოების თვითორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ დემოკრატიისა (მოსახლეობის საერთო კრება, მოსახლეობის გამოკითხვა) და/ან თემის წარმომადგენლობითი ორგანოს – თემის საბჭოს მეშვეობით წყვეტს ამ კანონით განსაზღვრულ, აგრეთვე მუნიციპალიტეტისაგან დელეგირებულ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს. თემი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის წესდებსაც ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

6. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები – მუნიციპალიტეტში შემავალი ტერიტორიული ერთეულები, სადაც იქმნება და მოქმედებს სათემო თვითორგანიზაცია. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებია:

ა) დასახლება (სოფელი, დაბა, ქალაქი)

ბ) დასახლებათა ერთობლიობა;

გ) დასახლების ნაწილი (უბანი).

7. დასახლება – მოსახლეობის განსახლების პირველადი ერთეული, რომელსაც აქვს საკუთარი ტერიტორია და ადმინისტრაციული საზღვრები, ჰყავს მუდმივად მცხოვრები მოსახლეობა, გააჩნია ფუნქციონალური ინფრასტრუქტურა და რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. დასახლებათა კატეგორიებია:

ა) სოფელი – კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული დასახლება, რომლის საზღვრებში მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის გათვალისწინებული მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები და/ან რომლის ინფრასტრუქტურა ძირითადად ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე;

ბ) დაბა – კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული არანაკლებ 3000 მოსახლისაგან შემდგარი დასახლება, რომლის ტერიტორიაზედაც არსებობს სამრეწველო საწარმოები, კომუნალური მეურნეობა, სამკურნალო და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელი, რითაც იგი ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს, ამასთანავე, არ გააჩნია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის საკმარისი მიწის სავარგულები. დაბის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის მოსახლეთა რიცხვი 3000-ზე ნაკლებია, თუ იგი არის თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი;

გ) ქალაქი - კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული არა ნაკლებ 5000 მოსახლისაგან შემდგარი დასახლება, რომელსაც გააჩნია საქალაქო მეურნეობა და წარმოადგენს ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს. ქალაქის კატეგორიას შეიძლება

მიეკუთვნოს დასახლება, რომლის მოსახლეობის რიცხვი 5000-ზე ნაკლებია, თუ იგი წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ ცენტრს ან აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის უახლოესი პერსპექტივა. ქალაქებს მათზე დაკისრებული სპეციფიური ფუნქციებისა და სახელმწიფო მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება მიენიჭოთ სპეციალური სტატუსი.

8. თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მაჩვენებელი – სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის დამახასიათებელ რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონაცემთა ერთობლიობა, რომელთა ჩამონათვალსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

9. თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის კლასიფიკატორი – საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული თვითმმართველი ერთეულის სტატუსის ან დასახლების კატეგორიის შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მაჩვენებლის სტანდარტი.

10. თვითმმართველი ერთეულის გამგებლობის სფერო – საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ იმ საკითხთა წრე, რომელთა შესახებაც მმართველობით გადაწყვეტილებას ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და წესით იღებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

11. თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილება - თვითმმართველი ერთეულის გამგებლობას მიეკუთვნებულ საკითხზე მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, რომელსაც თვითმმართველი ერთეული ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით.

12. თვითმმართველი ერთეულისათვის დელეგირებული უფლებამოსილება - საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით დადგენილი პირობებითა და წესით, კანონით ან კანონის საფუძველზე თვითმმართველ ერთეულსა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულებით, სახელმწიფო გამგებლობიდან თვითმმართველი ერთეულის გამგებლობას გადაცემულ საკითხზე მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, რომელიც ხორციელდება გადაცემული სახელმწიფო რესურსებითა და სახელმწიფო ზედამხედველობით.

13. თემისათვის მუნიციპალიტეტისაგან დელეგირებული უფლებამოსილება – ამ კანონით დადგენილი პირობებით და წესით, თემსა და მუნიციპალიტეტს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ თვითმმართველი ერთეულის გამგებლობას მიეკუთვნებულ ცალკეულ საკითხზე თემის საბჭოს მიერ მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, რომელიც ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ თემისათვის შესაბამისი (ფინანსური, მატერიალური, საკადრო) რესურსების გადაცემით და მუნიციპალიტეტის ზედამხედველობით, მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

## **მუხლი 2. საქართველოს მოქალაქეთა მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლების განხორციელება**

1. საქართველოს მოქალაქენი ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებას ახორციელებენ საქართველოს კონსტიტუციისა და ამ კანონის შესაბამისად.

2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ აირჩიონ და არჩეულ იქნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა.

3. საქართველოს მოქალაქეებს კანონით გარანტირებული აქვთ უფლება:

ა) აირჩიონ და იქნენ არჩეულნი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ამ კანონით და „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი წესით;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში დაიკავონ ნებისმიერი თანამდებობა, თუ აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

გ) მიიღონ საჯარო ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსა და თანამდებობის პირებისაგან;

დ) მოსთხოვონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და თანამდებობის პირებს მათ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებამდე მათთან წინასწარი კონსულტაციების გამართვა;

ე) წინასწარ გაეცნონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა გადაწყვეტილებების პროექტებს; მონაწილეობა მიიღონ მათ განხილვაში; მოითხოვონ გადაწყვეტილებათა პროექტების გამოქვეყნება და მათი საჯარო განხილვა;

ვ) მიმართონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და მის თანამდებობის პირებს;

ზ) ამ კანონით დადგენილი წესით აირჩიონ და არჩეულ იქნენ ადმინისტრაციული ერთეულის მრჩეველთა საბჭოში;

თ) შექმნან და მონაწილეობა მიიღონ ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობების ჩამოყალიბებაში. ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის მეშვეობით განახორციელონ და მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში;

ი) განახორციელონ ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

### **მუხლი 3. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების**

#### **სამართლებრივი საფუძვლები**

1. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები.

2. საქართველოს იმ ტერიტორიაზე, სადაც არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი და უფლებამოსილება, ამ კანონით დადგენილი პირობების გათვალისწინებით, განისაზღვრება საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ.

### **მუხლი 4. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპები**

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპებია:

ა) წარმომადგენლობითი და მონაწილეობითი დემოკრატია; თვითმმართველობის განხორციელებაში პირდაპირი დემოკრატიის ფორმების დანერგვა და გამოყენება;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა და წახალისება;

გ) თვითმმართველი ერთეულის დამოუკიდებლობა და საქმიანობის თავისუფლება კანონით დადგენილი უფლებამოსილების განხორციელებისას; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა საკუთარი ფუნქციების განხორციელებაზე;

დ) თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს უპირატესობა მისადმი ანგარიშვალდებულ აღმასრულებელი ორგანოს მიმართ;

ე) თვითმმართველობისა და სახელმწიფოს ინტერესების ურთიერთშეთანხმება თვითმმართველ ერთეულში განსახორციელებელ საქმიანობაზე;

ვ) თვითმმართველი ერთეულისა და თვითმმართველ ერთეულში შემავალ დასახლების ინტერესთა ურთიერთშეთანხმება ამ დასახლებაში საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებაზე;

ზ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე;

თ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობა;

ი) სახელმწიფოსა და თვითმმართველ ერთეულებს შორის ურთიერთობათა დაფუძნება თანსწორობასა და პარტნიორობაზე;

კ) თვითმმართველ ერთეულებს შორის ურთიერთობათა დაფუძნება დახმარებასა და თანამშრომლობაზე, საერთო პრობლემების ერთობლივად ნებაყოფლობით გადაჭრაზე;

ლ) სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნა;

მ) სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შორის დავის სასამართლო წესით გადაწყვეტა;

ნ) თვითმმართველი ერთეულის ფინანსური სახსრების შესაბამისობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე კანონით დაკისრებულ ფუნქციებთან; თვითმმართველი ერთეულის საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

## **მუხლი 5. სახელმწიფო პოლიტიკა და სახელმწიფო ხელისუფლების ვალდებულება თვითმმართველობის სფეროში**

1. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ თვითმმართველობის განვითარებისათვის შესაბამის საჭირო სამართლებრივ, ორგანიზაციულ და მატერიალურ-ფინანსური პირობების შექმნას და ხელს უწყობენ საქართველოს მოქალაქეებს თვითმმართველობის უფლების განხორციელებაში.

2. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებულნი არიან იმ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებამდე, რომლებიც შეეხება თვითმმართველობის ინტერესებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამართონ წინასწარი კონსულტაციები იმ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან, რომლებიც აერთიანებენ ქვეყნის თვითმმართველი ერთეულების ნახევარზე მეტს.

3. თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლთა ოფიციალური მიმართვა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისადმი, რომელიც შეეხება თვითმმართველობის

ინტერესებს სავალდებულოა განხილული იქნეს არსებითად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

4. სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილებას ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში განეკუთვნება:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონების მიღება, მასში ცვლილებების შეტანა და კონტროლი მის შესრულებაზე;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და ხელშეწყობის შესახებ სახელმწიფო პროგრამათა მიღება და განხორციელება;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში კანონით დადგენილი სახელმწიფო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა;

დ) მინიმალური სახელმწიფო სოციალური სტანდარტების დადგენა და უზრუნველყოფა;

ე) სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების ურთიერთობის რეგულირება; გათანაბრებითი ტრანსფერის განსაზღვრა და მისი უზრუნველყოფა;

ვ) თვითმმართველი ერთეულებისათვის იმ დამატებითი ხარჯების კომპენსაცია, რაც გამოწვეული იქნა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა გადაწყვეტილებების შედეგად;

ზ) ადგილობრივი თვითმმართველობის საფინანსო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;

თ) თვითმმართველი ერთეულისა და დასახლებების შექმნისა და გაუქმების, ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის, კატეგორიის განსაზღვრისა და სახელის მინიჭებისა და შეცვლის წესების დადგენა; დასახლებებისა და თვითმმართველი ერთეულების რეგისტრაცია;

ი) სახელმწიფოსა და თვითმმართველობის უფლებამოსილებათა გამიჯვნის უზრუნველყოფა და დაცვა;

კ) ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაზე მოქალაქეთა კანონით დადგენილ უფლებათა რეგულირება და დაცვა;

ლ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების წესის განსაზღვრა და მათი ჩატარების უზრუნველყოფა; მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების დაცვა;

მ) თვითმმართველი ერთეულების უფლებების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფა;

ნ) მაღალმთიან რეგიონებსა და კანონით განსაზღვრულ საქართველოს სხვა ტერიტორიებზე თვითმმართველობის განხორციელების თავისებურებების საკანონმდებლო უზრუნველყოფა;

ო) თვითმმართველ ერთეულთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა;

პ) პირობების შექმნა ელექტრონული საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების განვითარებისა და მონაცემთა გაცვლის ერთიან სისტემაში თვითმმართველი ერთეულების ინტეგრაციისათვის; დასახლებებსა და თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ ერთეულებში პირობების შექმნა და თვითმმართველი ერთეულების ხელშეწყობა საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების ხელმისაწვდომობისათვის; ადმინისტრაციულ ერთეულებში საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრების შექმნის ხელშეწყობა;

ჟ) ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შექმნის ხელშეწყობა.

## **მუხლი 6. თვითმმართველი ერთეულის უფლება ერთობლივ საქმიანობაზე**

თვითმმართველ ერთეულებს კანონით დადგენილ უფლებამოსილებათა ეფექტიანი განხორციელების მიზნით, უფლება აქვთ საკრებულოს მიერ დამტკიცებული ხელშეკრულების საფუძველზე დაგეგმონ და განახორციელონ ერთობლივი საქმიანობა, ერთობლივად დააფუძნონ კერძო სამართლის იურიდიული პირები. ასევე უფლება აქვთ შექმნან ერთობლივი ორგანოები და/ან გაერთიანებები, რომლებსაც გადასცემენ მათ უფლებამოსილებაში არსებულ ცალკეულ ერთგვაროვან ფუნქციებს და ამ ფუნქციათა შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს.

## **მუხლი 7. თვითმმართველ ერთეულთა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები**

1. თვითმმართველ ერთეულებს თავიანთი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით უფლება აქვთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნან გაერთიანება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები უფლებამოსილი არიან გამართონ კონსულტაციები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან თვითმმართველი ერთეულების სახელით, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული კანონპროექტების წინასწარ განხილვასა და კონსულტაციებში.

3. თვითმმართველ ერთეულთა იმ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, რომლებიც აერთიანებენ თვითმმართველი ერთეულების ნახევარზე მეტს უფლება აქვთ ყავდეთ მუდმივი წარმომადგენლები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში; მონაწილეობა მიიღონ და წინასწარ განიხილონ ყველა ის სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელიც შეეხება თვითმმართველობის უფლებამოსილებებში შემავალ საკითხებს.

4. თვითმმართველ ერთეულთა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს უფლება აქვთ ითანამშრომლონ თვითმმართველი ერთეულების საერთაშორისო კავშირებთან (ასოციაციებთან) და/ან გაერთიანდნენ ასეთ კავშირებში (ასოციაციებში).

## **მუხლი 8. თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოები**

1. საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოთა გამოყენების წესის დაცვით თვითმმართველ ერთეულს აქვს გერბი და დროშა.

2. თვითმმართველი ერთეულის გერბს და დროშას საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე და მისი თანხმობით ადგენს თვითმმართველი ერთეულის საკრებულო. თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოები ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით სახელმწიფო რეგისტრაციას.

3. თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოთა გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და საკრებულოს დებულებით.

## **მუხლი 9. საქმისწარმოება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში**

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამუშაო და საქმისწარმოების ენაა საქართველოს სახელმწიფო ენა.

2. ადმინისტრაციული საქმისწარმოების წესები და პროცედურები განისაზღვრება ამ კანონით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“, „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით“, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით და თვითმმართველი ერთეულის სამართლებრივი აქტებით.

3. თვითმმართველი ერთეულში ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოება. ელექტრონული საქმისწარმოების სტანდარტები, მმართველობითი გადაწყვეტილებების დოკუმენტირებისა და დოკუმენტბრუნვის წესები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრება თვითმმართველი ერთეულის სამართლებრივი აქტებით.

4. თვითმმართველი ერთეული სახელმწიფოს მხარდაჭერით უზრუნველყოფს მის ადმინისტრაციულ ერთეულებში სათანადო ელექტრონული საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების ხელმისაწვდომობას ელექტრონულ საქმისწარმოებაში მოქალაქეთა მონაწილეობისა და ჩართულობისათვის.

## **თავი II. ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული საფუძვლები**

### **მუხლი 10. დასახლებები. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები და თემები**

1. დასახლებას ქმნის და აუქმებს, დასახლების კატეგორიას განსაზღვრავს, სახელს არქმევს და გადაარქმევს, მის ადმინისტრაციულ საზღვრებს ადგენს და ცვლის საქართველოს მთავრობა.

2. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებს, ამ ერთეულის მოსახლეობასთან და თემის ორგანოებთან წინასწარი კონსულტაციების შემდეგ ქმნის და აუქმებს, მის ადმინისტრაციულ საზღვრებს ადგენს და ცვლის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

3. თემი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირს. თემი იქმნება და მოქმედებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში. თემის წესდებას ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

4. დასახლებებისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის შექმნისა და გაუქმების, სახელის დარქმევისა და გადარქმევის, დასახლების კატეგორიის განსაზღვრის, ადმინისტრაციული საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის რეგისტრაციის პირობები და წესები ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

### **მუხლი 11. თვითმმართველი ერთეულის სტატუსი**

1. თვითმმართველი ერთეული არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს ამ კანონით დადგენილი უფლებამოსილებანი, საკუთარი ქონება და ბიუჯეტი.

2. თვითმმართველი ერთეულის შექმნისა და გაუქმების პირობები და წესი განისაზღვრება ამ კანონით.



3. დასახლების ან დასახლებათა ერთობლიობისათვის თვითმმართველი ერთეულის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას, დადგენილების სახით, საქართველოს მთავრობის წარდგინებით, იღებს საქართველოს პარლამენტი.

### **მუხლი 12. თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მაჩვენებლები**

1. თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მაჩვენებლებია:

ა) თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობა და მოსახლეობის სიმჭიდროვე;

ბ) თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ გადამხდელთა მიერ წლის განმავლობაში გადახდილი სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების საერთო ოდენობა;

გ) თვითმმართველი ერთეულის ადგილობრივი ბიუჯეტის ძირითადი მახასიათებლები;

დ) თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსების ძირითადი საკადასტრო მაჩვენებლები;

ე) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, საინფორმაციო-საკომუნიკაციო, კომუნალური და ინფრასტრუქტურის დამახასიათებელი სხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ.

2. თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მაჩვენებლებს ადგენს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო. მაჩვენებლები კორექტირდება ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა.

3. თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მაჩვენებლები წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიისა და პროგრამების, წლიური ბიუჯეტის პროექტების შედგენის სავალდებულო საფუძველს, აგრეთვე თვითმმართველი ერთეულისათვის გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობის განსაზღვრის ძირითად მაჩვენებელს.

### **მუხლი 13. თვითმმართველი ერთეულის კლასიფიკატორის სტანდარტი**

1. თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მაჩვენებლის სტანდარტს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

2. მაღალმთიანი რეგიონებისათვის დგება თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მაჩვენებლის განსხვავებული სტანდარტი.

3. თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მაჩვენებლის სტანდარტი წარმოადგენს დასახლების ან დასახლებათა გაერთიანებისათვის თვითმმართველი ერთეულის სტატუსის მინიჭების ან გაუქმების საფუძველს.

### **მუხლი 14. თვითმმართველი ერთეულის შექმნა და გაუქმება**

1. თვითმმართველი ერთეულის შექმნის საფუძველია:

ა) თვითმმართველი ერთეულის გაყოფა ორ ან მეტ თვითმმართველ ერთეულად;

ბ) ორი ან მეტი ურთიერთმოსაზღვრე თვითმმართველი ერთეულის გაერთიანება ერთ თვითმმართველ ერთეულად.

2. თვითმმართველი ერთეულის გაუქმების საფუძველია:

ა) ორი ან მეტი ურთიერთმოსაზღვრე თვითმმართველი ერთეულის გაერთიანება ერთ თვითმმართველ ერთეულად;

ბ) თვითმმართველი ერთეულის გაყოფა ორ ან მეტ თვითმმართველ ერთეულად.

3. საქართველოს მთავრობა საკუთარი ინიციატივით ან თვითმმართველი ერთეულის (ერთეულების) საკრებულოს (საკრებულოების) წარდგინების საფუძველზე თვითმმართველი ერთეულის (ერთეულების) მოსახლეობასთან კონსულტაციის შემდეგ მიმართავს საქართველოს პარლამენტს თვითმმართველი ერთეულის შექმნის ან გაუქმების შესახებ წარდგინებით.

4. თვითმმართველი ერთეულის გაყოფის გზით ახალი თვითმმართველი ერთეულის შექმნის შემთხვევაში წარდგინებაში უნდა მიეთითოს:

ა) თვითმმართველი ერთეულის გაყოფის საჭიროების დასაბუთება;

ბ) გაყოფის შედეგად შექმნილი თითოეული თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მაჩვენებლები და მისი შესაბამისობა მთავრობის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან (თვითმმართველი ერთეულის კლასიფიკატორის სტანდარტთან);

გ) თითოეულ თვითმმართველი ერთეულში შემავალი დასახლებების და მოსახლეობის რიცხოვნობა და სიმჭიდროვე;

დ) გაყოფის შედეგად შესაქმნელი თითოეული თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა.

ე) თვითმმართველი ერთეულის დაყოფის თაობაზე გასაყოფი თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის გამოკითხის შედეგები;

ვ) გაყოფის შედეგად შესაქმნელი თითოეული თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი და მისი შესაბამისობა ადმინისტრაციული ცენტრისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან;

ზ) ახალშექმნილ თვითმმართველ ერთეულებზე ფინანსური და სხვა სახის უფლებამოვალეობებისა და ქონების განაწილების წესი.

5. ორი ან მეტი თვითმმართველი ერთეულის ერთ თვითმმართველ ერთეულად გაერთიანების შემთხვევაში წარდგინებაში უნდა მიეთითოს:

ა) თვითმმართველი ერთეულების გაერთიანების საჭიროების დასაბუთება;

ბ) გაერთიანების შედეგად შესაქმნელი თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მაჩვენებლები და მისი შესაბამისობა მთავრობის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან (თვითმმართველი ერთეულის კლასიფიკატორის სტანდარტთან);

გ) გაერთიანების შედეგად შესაქმნელ თვითმმართველი ერთეულში შემავალი დასახლებების და მოსახლეობის რიცხოვნობა და სიმჭიდროვე;

დ) გაერთიანების შედეგად შესაქმნელი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა.

ე) გაერთიანების მსურველი თითოეული თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის გამოკითხის შედეგები გაერთიანების თაობაზე;

ვ) გაერთიანების შედეგად შესაქმნელი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი და მისი დასაბუთება.

6. დაუშვებელია თვითმმართველი ერთეულის გაყოფა, თუ გაყოფის შემდგომ შესაქმნელი თვითმმართველი ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის

მაჩვენებლები ვეღარ დააკმაყოფილებენ თვითმმართველი ერთეულის კლასიფიკატორის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

7. თუ თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მაჩვენებლები არ შეესაბამება თვითმმართველი ერთეულის კლასიფიკატორის სტანდარტის მოთხოვნებს და არ არსებობს პერსპექტივა ამ მაჩვენებლების შესაბამისობაში მოსაყვანად, საქართველოს მთავრობა ამ თვითმმართველ ერთეულთან და მის მოსაზღვრე თვითმმართველ ერთეულებთან კონსულტაციების შედეგად და თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტში შედის წარდგინებით თვითმმართველი ერთეულის მოსაზღვრე თვითმმართველ ერთეულთან (ერთეულებთან) მიერთების შესახებ.

8. თვითმმართველი ერთეულის შექმნის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი საქართველოს მთავრობის წარდგინების საფუძველზე.

9. თვითმმართველი ერთეულის შექმნის შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილება ამოქმედდება ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგი არჩევნების დანიშვნის დღეს და შესაბამის თვითმმართველ ერთეულში არჩევნები ჩატარდება ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგ არჩევნებთან ერთად.

10. თვითმმართველი ერთეულის შექმნის ან გაუქმების შესახებ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **მუხლი 15. თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლა**

1. საქართველოს მთავრობა საკუთარი ინიციატივით ან თვითმმართველი ერთეულის (ერთეულების) საკრებულოს (საკრებულოების) წარდგინების საფუძველზე თვითმმართველი ერთეულის (ერთეულების) მოსახლეობასთან კონსულტაციის შემდეგ მიმართავს საქართველოს პარლამენტს თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ წარდგინებით. თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებას დადგენილების სახით იღებს საქართველოს პარლამენტი.

2. თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ წარდგინებაში უნდა მიეთითოს:

ა) თვითმმართველ ერთეულებს შორის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის საჭიროების დასაბუთება;

ბ) თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის თაობაზე თვითმმართველი ერთეულების მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები;

გ) ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შედეგად თვითმმართველი ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის ახალი მაჩვენებლები;

გ) თვითმმართველი ერთეულების ახალი ადმინისტრაციული საზღვრები და მათი სქემატური რუკები.

3. თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 16. თვითმმართველი ერთეულის რეგისტრაცია. თვითმმართველი ერთეულების ნუსხა**

1. თვითმმართველი ერთეულის რეგისტრაციას სარეგისტრაციო მონაცემების მიხედვით ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

2. თვითმმართველი ერთეულის სარეგისტრაციო მონაცემებია:

- ა) თვითმმართველი ერთეულის დასახელება;
- ბ) თვითმმართველ ერთეულში შემავალი დასახლებები;
- გ) თვითმმართველი ერთეულის რეგისტრაციისას შედგენილი და ყოველწლიურად კორექტირებული სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მაჩვენებლები;

დ) თვითმმართველი ერთეულის რეგისტრაციის თარიღი და რეგისტრაციის საიდენტიფიკაციო კოდი.

დ) თვითმმართველი ერთეულის სქემატური რუკა და ადმინისტრაციული საზღვრები.

**თავი III**

**თვითმმართველი ერთეულის გამგებლობის სფეროები და უფლებამოსილებანი**

**მუხლი 17. თვითმმართველი ერთეულის გამგებლობის სფეროები**

1. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის გამგებლობა გამიჯნულია.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის გამგებლობაშია ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა შემდეგ სფეროებში:

- ა) საერთო ადმინისტრირების, მმართველობის ზოგადი საკითხების სფერო;
- ბ) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური და ურბანული განვითარების, მიწათსარგებლობის, სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის სფერო;
- გ) კომუნალურ მომსახურებათა, კომუნალური ინფრასტრუქტურის და ტერიტორიის კეთილმოწყობის სფერო;
- დ) ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სფერო;
- ე) ინფორმატიზაციისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების სფერო;
- ვ) გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის და საზოგადოებრივი სანიტარიის სფერო;
- ზ) განათლებისა და კულტურის სფერო;
- თ) მეწარმეობის განვითარებისა და დასაქმების სფერო;
- ი) ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სფერო;
- კ) კულტურის, დასვენების, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხთა სფერო.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სფეროების გარდა თვითმმართველი ერთეულის გამგებლობას განეკუთვნება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქონებრივ და საფინანსო-საბიუჯეტო უფლებამოსილებათა განხორციელება.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე, ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის

ორგანოები მმართველობით გადაწყვეტილებებს იღებენ თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად და მათ წინაშე ანგარიშვალდებულებით.

### **მუხლი 18. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა სახეები**

1. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა სახეებია:

- ა) საკუთარი უფლებამოსილებები;
- ბ) დელეგირებული უფლებამოსილებები.

2. თვითმმართველი ერთეული საკუთარ და დელეგირებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით, რომელთა უფლებამოსილებანი, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ კანონით და შესაბამისი ორგანოების დებულებებით.

3. თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ კანონით. ამ კანონით დადგენილი თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებები ექსკლუზიურია და ხორციელდება თვითმმართველი ერთეულების მიერ უშუალოდ ან მათი თანხმობით.

4. თვითმმართველი ერთეულისათვის სახელმწიფოსაგან დელეგირებული ძირითადი უფლებამოსილებანი ამ კანონით განისაზღვრება.

5. თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას, ამ კანონით განსაზღვრულ ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა გარდა, განეკუთვნება ყველა იმ საკითხის გადაწყვეტა, რომელიც კანონის თანახმად არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებაში ან არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულისათვის.

6. თვითმმართველი ერთეულის მიერ საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კონსტიტუციითა და საქართველოს საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით.

7. დაუშვებელია თვითმმართველი ერთეულის მიერ უფლებამოსილებათა იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას, გამოიწვიოს საქართველოს საკანონმდებლო აქტის მოთხოვნათა დარღვევა.

### **მუხლი 19. უფლებამოსილებების დელეგირების წესი და პირობები**

1. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ თვითმმართველი ერთეულისათვის უფლებამოსილებათა დელეგირება დაიშვება საქართველოს საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე ხელშეკრულებების საფუძველზე, შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით.

2. სახელმწიფო მმართველობის ორგანოსგან თვითმმართველ ერთეულს უნდა გადაეცეს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ის უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელებაც უფრო ეფექტურია ადგილობრივ დონეზე.

3. სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისას თვითმმართველ ერთეულს ზედამხედველობას უწევს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი.

4. თვითმმართველ ერთეულს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, აქვს მოქმედების თავისუფლება დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელება მიუსადაგოს ადგილობრივ პირობებს.

5. სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ თვითმმართველი ერთეულისათვის უფლებამოსილებათა დელეგირება და/ან დელეგირების გაუქმება დაიშვება მხოლოდ თვითმმართველი ერთეულთან წინასწარი კონსულტაციების გამართვის შემდეგ.

6. თვითმმართველ ერთეულს უფლება აქვს დასაბუთებული უარი განაცხადოს დელეგირებულ უფლებამოსილების მიღებაზე ან მის განხორციელებაზე. ამგვარ დასაბუთებას შეიძლება წარმოადგენდეს დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსების მიუღებლობა ან თვითმმართველი ერთეულის მიერ ამგვარი მომსახურების გაწევის შეუძლებლობა, აგრეთვე სხვა ნებისმიერი გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელებას;

7. თვითმმართველ ერთეულს უფლება აქვს სახელმწიფო მმართველობის ორგანოსაგან დასაბუთებულად მოითხოვოს უფლებამოსილებათა დელეგირება. ამგვარი დასაბუთება დაკავშირებული უნდა იყოს თვითმმართველი ერთეულის მიერ ამ უფლებამოსილებათა განხორციელების რეალურ შესაძლებლობასთან; სახელმწიფო მმართველობის ორგანოს უარი უფლებამოსილების დელეგირებაზე შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8. თვითმმართველი ერთეულის მიერ მისთვის დელეგირებულ უფლებამოსილებაზე დასაბუთებული უარის თქმის შემთხვევაში, სახელმწიფო მმართველობის ორგანო უშუალოდ უზრუნველყოფს შესაბამის უფლებამოსილების განხორციელებას.

## **მუხლი 20. თვითმმართველი ერთეულის ქონებრივი უფლებამოსილებანი**

1. თვითმმართველი ერთეული დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, კანონმდებლობით და თვითმმართველი ერთეულის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით ფლობს, სარგებლობს და განკარგავს მის საკუთრებაში არსებულ ქონებას.

2. თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებათა ამ კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონისა და კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) საკუთარ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად მოითხოვოს სახელმწიფო ქონების მის საკუთრებაში გადაცემა;

ბ) დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად მოითხოვოს სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა;

გ) შეიძინოს და გაასხვისოს, სარგებლობის უფლებით მიიღოს და გადასცეს ქონება, განსაზღვროს მუნიციპალური ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის წესები;

დ) მიიღოს გადაწყვეტილება თვითმმართველი ერთეულის ქონების კატეგორიის შეცვლის შესახებ;

ე) დადოს ადმინისტრაციული გარიგებები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ქონების შექმნა-გასხვისების, სარგებლობის უფლებით მიღება-გადაცემის, გირავნობის, იპოთეკით დატვირთვის და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“ გათვალისწინებულ სხვა ქონებრივი ურთიერთობის შესახებ;

ვ) საკუთარი ქონებით შექმნას ან/და მონაწილეობა მიიღოს კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნებაში;

ზ) განსაზღვროს საკუთარი ქონების საპრივატიზებო ნუსხა, საპრივატიზებო ქონების საწყისი ფასი;

თ) ისარგებლოს ამ კანონით, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონით, მოქმედი კანონმდებლობითა და მათ საფუძვლზე ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვა ქონებრივი უფლებებით.

2. კანონით ან დელეგირების ხელშეკრულებით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად თვითმმართველ ერთეულს სარგებლობის და მართვის უფლებით გადაეცემა შესაბამისი სახელმწიფო ქონება. გადაცემული სახელმწიფო ქონებით სარგებლობას და მის მართვას თვითმმართველი ერთეული ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობით, დელეგირების შესახებ საკანონმდებლო აქტის ან/და დელეგირების ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებრივი საფუძვლები განისაზღვრება ამ კანონის 108-ე და 109-ე მუხლებით. თვითმმართველი ერთეულის ქონების კატეგორიები, ქონების შექმნის, სახელმწიფო საკუთრებიდან ადგილობრივ საკუთრებაში ქონების გადაცემის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის და პრივატიზების საფუძვლები და წესები ამ კანონის შესაბამისად განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონით.

## **მუხლი 21. თვითმმართველი ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო უფლებამოსილებანი**

1. თვითმმართველი ერთეული დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, კანონმდებლობით და თვითმმართველი ერთეულის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით ახორციელებს საბიუჯეტო უფლებამოსილებებს და განაგებს საკუთარ ფინანსებს.

2. თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებაა ამ კანონის, „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) შემოიღოს და გააუქმოს კანონით განსაზღვრული ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, კანონის ფარგლებში განსაზღვროს მათი განაკვეთები;

ბ) მიიღოს და დამოუკიდებლად განაგოს კანონით განსაზღვრული საკუთარი შემოსავლები;

გ) აიღოს და გასცეს გრანტი;

დ) აიღოს, შეიძინოს და გაასხვისოს ფინანსური ვალდებულებები; გამოუშვას, შეიძინოს და გაასხვისოს სასესხო ობლიგაციები, აქციები, სხვა ფასიანი ქაღალდები;

ე) თვითმმართველი ერთეულის განვითარების დაგეგმვის დოკუმენტების შესაბამისად მოამზადოს საკუთარი ბიუჯეტი, განსაზღვროს ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები, შექმნას ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი;

ვ) უზრუნველყოს ბიუჯეტის შესრულება; განაგოს საბიუჯეტო სახსრები; განახორციელოს საბიუჯეტო ასიგნებები, სახაზინო ფინანსური ოპერაციები, საბანკო ტრანზაქციები;

ზ) განახორციელოს ადგილობრივი ბიუჯეტის აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი;

თ) განახორციელოს ამ კანონით, მოქმედი კანონმდებლობითა და მათ შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვა საფინანსო-საბიუჯეტო უფლებამოსილებანი.

2. კანონით ან დელეგირების ხელშეკრულებით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად თვითმმართველ ერთეულს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაეცემა მიზნობრივი ტრანსფერი ან დელეგირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური სახსრები. მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობის გაანგარიშება ხდება კანონით დადგენილი წესით. მიზნობრივი ტრანსფერის ან დელეგირებული უფლებამოსილებისათვის სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ გამოყოფილი ფინანსური სახსრების განკარგვას თვითმმართველი ერთეული ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობით, დელეგირების შესახებ საკანონმდებლო აქტის ან/და დელეგირების ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

3. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ფორმირების ძირითადი პრინციპები განისაზღვრება ამ კანონის 107-ე მუხლით. ადგილობრივი ბიუჯეტის მომზადების, მიღების, შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის წესები ამ კანონით დადგენილი პრინციპებისა და თვითმმართველი ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო უფლებამოსილებების შესაბამისად განისაზღვრება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“ და მოქმედი კანონმდებლობით.

## **მუხლი 22. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებები საერთო ადმინისტრირებისა და მმართველობის ზოგადი საკითხების სფეროში**

1. საერთო ადმინისტრირებისა და მმართველობის ზოგადი საკითხების სფეროში თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებებია ამ კანონისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) საკრებულოსა და მერის, საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს სხვა თანამდებობის პირების არჩევა; ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების ფორმირება;

ბ) საკრებულოს, გამგეობის, ადმინისტრაციის, მუნიციპალიტეტის აპარატისა და მუნიციპალური სამსახურების სტრუქტურისა და უფლებამოსილებების განსაზღვრა, მათი დებულებების მიღება;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა კორპუსის ფორმირება, მოსამსახურეთა თანამდებობებზე გამწესება, ადგილობრივი საკადრო პოლიტიკა და ადამიანური რესურსების მართვა;

დ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა და გაუქმება, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა; თემის წესდების დამტკიცება; თვითმმართველი ერთეულის გამგებლობას მიკუთვნებული ცალკეული უფლებამოსილების თემისათვის დელეგირება;

ე) თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის რეგლამენტირება; საქმისწარომების, მმართველობითი გადაწყვეტილებების დოკუმენტირებისა და დოკუმენტბრუნვის წესების დადგენა; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტების ფორმათა განსაზღვრა;

ვ) ადმინისტრაციული გარიგებების დადება იურიდიულ და კერძო პირებთან;



ზ) ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულ და საერთაშორისო ასოციაციებში და გაერთიანებებში გაწევრიანება და გამოსვლა ამ გაერთიანებებიდან;

თ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საზღვარგარეთის თვითმმართველ ერთეულებთან, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან, საქართველოს და უცხოეთის სხვა თვითმმართველ ერთეულებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადება და გაუქმება;

ი) კერძო სამართლის არასამეწარმეო და სამეწარმეო იურიდიული პირების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია; მათი წესდებების მიღება და შეცვლა, წარმოადგენლობაზე უფლებამოსილი პირების, მმართველი და სამეთვალყურეო ორგანოს შექმნა და შეცვლა;

კ) მუნიციპალურ შესყიდვათა დაგეგმვა და განხორციელება;

ლ) ქუჩების, მოედნების, სკვერებისა და პარკების სახელდება, დასახლებებში შენობა-ნაგებობების ნუმერაცია და დამისამართება;

მ) ნაპოვნ ნივთთა ბიუროების ორგანიზება და მათი საქმიანობის რეგლამენტირება;

ნ) შინაური ცხოველების ყოლის წესების განსაზღვრა;

ო) დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენცია და აღკვეთა; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოება;

პ) თვითმმართველი ერთეულის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე საერთო კრებების ჩატარებისა და მოსახლეობის გამოკითხვების რეგლამენტირება, მათი ორგანიზება;

ჟ) მოქალაქეთა მონაწილეობისა და ჩართულობის უზრუნველყოფა; თემის საბჭოების ასარჩევად და მათი, აგრეთვე ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანიზაციათა საქმიანობისათვის პირობების შექმნა;

რ) საჯაროობის უზრუნველყოფა, მოსახლეობის ინფორმირება, საჯარო ინფორმაციის პროაქტიური გამოქვეყნების უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის დებულების მიღება და ვებ-გვერდის ადმინისტრირება;

ს) თვითმმართველი ერთეულის სიმბოლიკის მიღება;

ტ) თვითმმართველი ერთეულის საპატიო ჯილდოების და წოდებების შემოღება და მინიჭება;

უ) ამ კანონით და ამ კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები, აგრეთვე საერთო ადმინისტრირების სფეროს ყველა იმ საკითხის გადაწყვეტა, რომელიც კანონის თანახმად არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებაში ან არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულისათვის.

2. საერთო ადმინისტრირებისა და მმართველობის ზოგადი საკითხების სფეროში თვითმმართველი ერთეულისათვის დელეგირებული უფლებამოსილებებია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა; საპატრულო პოლიცია; დანაშაულის თავიდან აცილების პრევენციულ ღონისძიებების გატარებაში მონაწილეობა;

ბ) მიტინგებისა და დემონსტრაციების, საჯარო ღონისძიებებისა და მსვლელობების მოწყობისას შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა და წესრიგის უზრუნველყოფა;

გ) სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვა; სახანძრო-სამაშველო სამსახურის ორგანიზება;

დ) წვევამდელთა აღრიცხვა და სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევა;

ე) სამობილიზაციო გეგმების შედგენაში მონაწილეობა;

- ვ) სამოქალაქო თავდაცვა;
- ზ) სტიქიური უბედურობების შედეგების ლიკვიდაცია; საგანგებო მდგომარეობისას ეროვნული რეაგირების გეგმის შესაბამისად მონაწილეობა;
- თ) სახელმწიფო საკუთრების ობიექტებზე მოქალაქეთა საკუთრების უფლების აღიარების საკითხთა განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
- ი) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული უპატრონო ქონების აღრიცხვა და მართვა;
- კ) უძრავი ქონების რეგისტრაციის ორგანიზება;
- ლ) კანონით განსაზღვრული სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანიზება;
- მ) სახელმწიფო ენის გამოყენების წესის დაცვაზე კონტროლი;
- ნ) სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და მუნიციპალიტეტის ოფიციალური სტატისტიკის წარმოება;
- ო) მონაწილეობის მიღება არჩევნების, პლებისციტისა და რეფერენდუმის ორგანიზებაში;
- პ) მონაწილეობის მიღება მოსახლეობის საყოველთაო აღწერაში;
- ჟ) საქართველოს კანონით ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ თვითმმართველ ერთეულთან დადებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული სხვა უფლებამოსილებები.

**მუხლი 23. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებები სოციალურ-ეკონომიკური და ურბანული განვითარების, მიწათსარგებლობის, სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის სფეროში**

1. სოციალურ-ეკონომიკური და ურბანული განვითარების დაგეგმვის, მიწათსარგებლობის, სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის სფეროში თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებებია ამ კანონისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

- ა) თვითმმართველი ერთეულის განვითარების სტრატეგიის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებისა და პროგრამების, პრიორიტეტების დოკუმენტის, თვითმმართველი ერთეულის განვითარების დაგეგმვის სხვა დოკუმენტების შემუშავება, მიღება და განხორციელება;
- ბ) მუნიციპალიტეტისა და მუნიციპალიტეტის დასახლებების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარება;
- გ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების: მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მომზადება, მიღება და შესრულება;
- დ) მუნიციპალიტეტისა და მუნიციპალიტეტის დასახლებების მიწათსარგებლობის დაგეგმვა; ტერიტორიის უფლებრივი ზონირება;
- ე) ურბანული განვითარების დაგეგმვა, ქალაქმშენებლობითი კადასტრის წარმოება;
- ვ) მიწათმოწყობა, მიწათსარგებლობის კადასტრის წარმოება;
- ზ) მიწათსარგებლობისა და სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების შესაბამისად მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ გამოყენების პირობების განსაზღვრა, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვების გაცემა, გარდა მე-5 და უფრო მაღალი კატეგორიების მშენებლობისა;

თ) ზედამხედველობა მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ გამოყენების და მშენებლობის ნებართვით განსაზღვრული პირობების, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვაზე;

ი) სამშენებლო ობიექტების ექსპლოატაციაში მიღება;

კ) მიწათსარგებლობის, სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების შესრულების უზრუნველყოფა, კონტროლი და ზედამხედველობა;

ლ) მიწის ნაკვეთების უკანონოდ გამოყენების, უკანონო მშენებლობების აღკვეთა, კანონით დადგენილ შემთხვევებში მათი ლეგალიზება;

მ) გეგმარებითი დავალებების მომზადება; მუნიციპალიტეტის სახსრებით მშენებლობის დაგეგმვა და განხორციელება; არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირებასა და სამშენებლო სამუშაოებზე მუნიციპალური შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელება;

ნ) დასახლებათა მიწათსარგებლობის, სივრცითი მოწყობის, ურბანული განვითარებისა და მშენებლობის საკითხებზე მოსახლეობის საერთო კრებების, გამოკითხვების ჩატარება; ადმინისტრაციული ერთეულების მრჩეველთა საბჭოებთან კონსულტაციების გამართვა;

ო) ამ კანონით და ამ კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები, აგრეთვე მიწათსარგებლობის, სივრცითი მოწყობის, ურბანული განვითარებისა და მშენებლობის სფეროში ყველა იმ საკითხის, რომელიც კანონის თანახმად არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებაში ან არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულისათვის, გადაწყვეტა.

2. თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის, მიწათსარგებლობის, სივრცითი მოწყობის, ურბანული განვითარებისა და მშენებლობის სფეროში თვითმმართველი ერთეულზე დელეგირებული უფლებამოსილებები განისაზღვრება საკანონმდებლო აქტებით და/ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოსთან დადებული დელეგირების ხელშეკრულებით.

## **მუხლი 24. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებები კომუნალურ მომსახურებათა, კომუნალური ინფრასტრუქტურის და ტერიტორიის კეთილმოწყობის სფეროში**

1. კომუნალურ მომსახურებათა, კომუნალური ინფრასტრუქტურის და ტერიტორიის კეთილმოწყობის სფეროში თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებებია ამ კანონისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) მოსახლეობის ელექტროენერჯით, გაზით და წყლით მომარაგების, წყალარინების უზრუნველყოფა, შესაბამის კომუნალურ მომსახურებათა ორგანიზება;

ბ) კომუნალურ მომსახურებათა დაგეგმარება, მუნიციპალური პროგრამებისა და საინვესტიციო პროექტების მომზადება, მიღება და განხორციელება;

გ) მუნიციპალური საკუთრების კომუნალური ინფრასტრუქტურის დაგეგმარება, შექმნა-შეძენა; მოვლა-პატრონობა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია;

დ) მუნიციპალური საკუთრების კომუნალური ინფრასტრუქტურის მართვა – შესაბამისი ქონებით კომუნალური მომსახურების მუნიციპალურ საწარმოთა დაფუძნება ან/და კერძო საწარმოში წილობრივი მონაწილეობა, კერძო საწარმოსათვის მართვაში გადაცემა და პრივატიზება;

ე) კომუნალურ მომსახურებათა ორგანიზებისა და მუნიციპალური საკუთრების კომუნალური ინფრასტრუქტურის მართვის საკითხებზე მოსახლეობის საერთო კრებების,

გამოკითხვების ჩატარება; ადმინისტრაციული ერთეულების მრჩეველთა საბჭოებთან კონსულტაციების გამართვა; ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანიზაციებისათვის მუნიციპალური საკუთრების კომუნალური ინფრასტრუქტურის მართვაში გადაცემა;

ვ) მუნიციპალური საკუთრების კომუნალური ინფრასტრუქტურის – ელექტრომომარაგების, გაზომომარაგებისა და წყალმომარაგების მაგისტრალების, გამანაწილებელი ქსელების, წყალმომარაგების სათაო და გამწმენდი ნაგებობების, წყალარინების სისტემების დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რეაბილიტაციის, მოვლა–შენახვის სამუშაოებზე მუნიციპალური შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელება;

ზ) კომუნალურ მომსახურეობის წესებისა და ტარიფების განსაზღვრა, კომუნალური მომსახურეობის საწარმოებთან შესაბამისი ხელშეკრულებების დადება;

თ) კომუნალური მომსახურეობის წესების დაცვის კონტროლი და ზედამხედველობა;

ი) დასახლებათა ტერიტორიის კეთილმოწყობის დაგეგმარება, მუნიციპალური პროგრამებისა და საინვესტიციო პროექტების მომზადება, მიღება და განხორციელება;

კ) დასახლებებში პარკების, სკვერების, ბულვარების, ქუჩებისა და მოედნების, გარე განათების, სკულპტურებისა და მცირე არქიტექტურული ფორმების, შადრევნებისა და ღია აუზების, შენობათა ფასადების მოპირკეთებისა და გაფორმების, საპროექტო, სამშენებლო, რეკონსტრუქცია–რეაბილიტაციისა და მოვლა–შენახვის სამუშაოებზე მუნიციპალური შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელება;

ლ) დასახლებათა ტერიტორიის კეთილმოწყობის საკითხებზე მოსახლეობის საერთო კრებების, გამოკითხვების ჩატარება და/ან ადმინისტრაციული ერთეულების მრჩეველთა საბჭოებთან კონსულტაციების გამართვა; ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანიზაციებისათვის კეთილმოწყობის საპროექტო, სამშენებლო, რეკონსტრუქცია–რეაბილიტაციისა და მოვლა–შენახვის სამუშაოების ორგანიზებაზე ხელშეკრულებების გაფორმება;

მ) ტერიტორიის კეთილმოწყობის, სკულპტურების, შადრევნების, მცირე არქიტექტურული ფორმების თაობაზე საჯარო კონკურსების ორგანიზება;

ნ) ამ კანონით და ამ კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები, აგრეთვე კომუნალურ მომსახურებათა, კომუნალური ინფრასტრუქტურის და ტერიტორიის კეთილმოწყობის სფეროში ყველა იმ საკითხის, რომელიც კანონის თანახმად არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებაში ან არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულისათვის, გადაწყვეტა.

2. კომუნალურ მომსახურებათა, კომუნალური ინფრასტრუქტურის და ტერიტორიის კეთილმოწყობის სფეროში თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსილებები განისაზღვრება საკანონმდებლო აქტებით და/ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოსთან დადებული დელეგირების ხელშეკრულებით.

**მუხლი 25. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებები ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სფეროში**

1. ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სფეროში თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებებია ამ კანონისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხიდების, გვირაბების და თანმდევი ინფრასტრუქტურის განვითარების დაგეგმარება, შესაბამისი მუნიციპალურ პროგრამებისა და საინვესტიციო პროექტების მომზადება, მიღება და შესრულება;

ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისა და თანმდევი ინფრასტრუქტურის დაპროექტება, მშენებლობა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა;

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისა და თანმდევი ინფრასტრუქტურის საპროექტო, სამშენებლო, რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოებზე მუნიციპალური შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელება;

დ) საგზაო მოძრაობის დაგეგმარება, ავტომაქსიმუმის პარკირების ადგილების, ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელების განსაზღვრა;

ე) დასახლებებსა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე შუქნიშნებისა და საგზაო ნიშნების დაყენების ორგანიზება;

ვ) საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების დაგეგმარება, შესაბამისი მუნიციპალურ პროგრამებისა და საინვესტიციო პროექტების მომზადება, მიღება და შესრულება;

ზ) ავტოსადგურების, მოსაცდელის დაპროექტება, მშენებლობა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა; შესაბამის სამუშაოებზე მუნიციპალური შესყიდვების ორგანიზება და განხორციელება;

თ) საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა შიდა მუნიციპალური გადაყვანის ორგანიზება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის მარშუტებისა და გრაფიკების განსაზღვრა;

ი) მუნიციპალური საკუთრების საზოგადოებრივი ტრანსპორტის შექმნა, რემონტი, მოვლა-პატრონობა და მართვა; შესაბამისი მუნიციპალური შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელება;

კ) მგზავრების შიდა მუნიციპალური გადაყვანის სანებართვო პირობების განსაზღვრა და ნებართვების გაცემა, კონტროლი და ზედამხედველობა სანებართვო პირობების დაცვაზე;

ლ) შიდა მუნიციპალური სამგზავრო გადაყვანის ტარიფების განსაზღვრა; მგზავრობის წესების დადგენა, მგზავრობის საფასურის გადახდის ფორმების განსაზღვრა, სამგზავრო და მგზავრობის საფასურის გადახდის წესების დაცვის ზედამხედველობა და კონტროლი;

მ) ამ კანონით და ამ კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები, აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სფეროში ყველა იმ საკითხის, რომელიც კანონის თანახმად არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებაში ან არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულისათვის, გადაწყვეტა.

2. ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სფეროში თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსილებები განისაზღვრება საკანონმდებლო აქტებით და/ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოსთან დადებული დელეგირების ხელშეკრულებით.

**მუხლი 26. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებები ინფორმატიზაციისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში**

1. ინფორმატიზაციისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებებია ამ კანონისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) ინფორმატიზაციისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების მუნიციპალურ პროგრამათა მომზადება, მიღება და შესრულება;

ბ) ელექტრონული მმართველობის დანერგვა და განვითარება; დადგენილი სტანდარტების შესაბამისად ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემების შექმნა და განვითარება;

გ) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გავრცელების და ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, სათანადო უნარ-ჩვევების შესაძენად მოსახლეობის სწავლების ორგანიზება;

დ) მუნიციპალიტეტის დასახლებებში სწრაფი გადახდის აპარატების, ბანკომატებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ჯიხურების განთავსების ორგანიზება;

ე) მუნიციპალიტეტის დასახლებებში სატელეფონო კავშირგაბმულობის, ინტერნეტის საკაბელო, ოპტიკურ-ბოჭკოვანი და უკაბელო ქსელების ორგანიზება; ინტერნეტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ვ) მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ცენტრალურ ოფისში და ადმინისტრაციული ერთეულების ოფისებში საზოგადოებრივი საინფორმაციო ცენტრების ორგანიზება, სათანადოდ აღჭურვა და პერსონალის მომზადება;

ზ) საზოგადოებრივ საინფორმაციო ცენტრებში ინტერნეტის უფასო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; საზოგადოებრივ ცენტრებში მუნიციპალიტეტის ელექტრონიზებული ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით მოქალაქეების მომსახურებისა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა;

თ) საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირება და მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე პროაქტიური გამოქვეყნება;

ი) მუნიციპალური ელექტრონული არქივის შექმნა და განვითარება; მოქალაქეთა ელექტრონული საარქივო მომსახურების ორგანიზება;

კ) ამ კანონით და ამ კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები, აგრეთვე ინფორმატიზაციისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში ყველა იმ საკითხის, რომელიც კანონის თანახმად არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებაში ან არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულისათვის, გადაწყვეტა.

2. ინფორმატიზაციისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსილებები განისაზღვრება საკანონმდებლო აქტებით და/ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოსთან დადებული დელეგირების ხელშეკრულებით.

**მუხლი 27. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებები გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის და საზოგადოებრივი სანიტარიის სფეროში**

1. გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის და საზოგადოებრივი სანიტარიის სფეროში თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებებია ამ კანონისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) გარემოს დაცვითი ღონისძიებების დაგეგმვა, გარემოს დაცვის მუნიციპალური პროგრამების მომზადება, მიღება და განხორციელება;

ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყითა და წყლის რესურსებით სარგებლობის წესების დადგენა, მათი დაცვის ზედამხედველობა და კონტროლი;

გ) ტერიტორიის გამწვანება, ჯანსაღ გარემოზე ზრუნვა, ჰაერის და წყლის დაბინძურებაზე კონტროლი;

დ) ტერიტორიის დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ორგანიზება; მყარი ნარჩენების მართვა;

ე) გარემოს დაცვისა და ადგილობრივი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის საკითხებზე მოსახლეობის საერთო კრებების, გამოკითხვების ჩატარება; ადმინისტრაციული ერთეულების მრჩეველთა საბჭოებთან კონსულტაციების გამართვა; ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანიზაციების მიერ გარემოსდაცვითი ღონისძიებების ორგანიზებაზე ხელშეკრულებების გაფორმება;

ვ) საზოგადოებრივ ადგილებსა და დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დადგენა; მათ დაცვის კონტროლი და ზედამხედველობა;

ზ) სასაფლაოების მოწყობა და სარიტუალო მომსახურებათა ორგანიზება;

თ) ამ კანონით და ამ კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები, აგრეთვე გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის, საზოგადოებრივი სანიტარიის და სარიტუალო მომსახურების სფეროში ყველა იმ საკითხის, რომელიც კანონის თანახმად არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებაში ან არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულისათვის, გადაწყვეტა.

2. ბუნებათსარგებლობის სფეროში თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსილებაა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზირება.

3. გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის, საზოგადოებრივი სანიტარიის სფეროში თვითმმართველი ერთეულის სხვა დელეგირებული უფლებამოსილებები განისაზღვრება საკანონმდებლო აქტებით და/ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოსთან დადებული დელეგირების ხელშეკრულებით.

## **მუხლი 28. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებები განათლების და კულტურის სფეროში**

1. განათლების და კულტურის სფეროში თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებებია ამ კანონისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) სკოლამდელი და სკოლისგარეშე განათლების ორგანიზება; განათლების მუნიციპალურ პროგრამათა მომზადება, მიღება და შესრულება;

ბ) სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების არაკომერციული იურიდიული პირების ფორმით დაფუძნება, მათი ფუნქციონირებისათვის პირობების შექმნა, მათი შენახვა და მართვა;

გ) სკოლისგარეშე საგანმანათლებლო მუნიციპალური დაწესებულებების არაკომერციული იურიდიული პირების ფორმით დაფუძნება, მათი ფუნქციონირებისათვის პირობების შექმნა, მათი შენახვა და მართვა;

დ) მოსახლეობის საერთო კულტურის ამაღლებისა და ეთნოკულტურის შენარჩუნება-განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვა, კულტურის განვითარების მუნიციპალურ პროგრამათა მომზადება, მიღება და შესრულება;

ე) ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, კინო-თეატრების, კულტურის სახლების ორგანიზება, შესაბამისი დაწესებულებების არაკომერციული იურიდიული პირების ფორმით დაფუძნება, მათი შენახვა და მართვა;

ვ) ამ კანონით და ამ კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები, აგრეთვე განათლებისა და კულტურის სფეროში ყველა იმ საკითხის, რომელიც კანონის თანახმად არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებაში ან არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულისათვის, გადაწყვეტა.

2. განათლების სფეროში თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსილებებია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების მართვაში მონაწილეობა;

ბ) მოსწავლეთა ტრანსპორტირებისა და კვების ორგანიზება;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა;

დ) პროფესიული განათლების ორგანიზება.

3. განათლებისა და კულტურის სფეროში თვითმმართველი ერთეულის სხვა დელეგირებული უფლებამოსილებები განისაზღვრება საკანონმდებლო აქტებით და/ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოსთან დადებული დელეგირების ხელშეკრულებით.

## **მუხლი 29. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებები მეწარმეობის განვითარებისა და დასაქმების სფეროში**

1. მეწარმეობის განვითარებისა და დასაქმების სფეროში თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებებია ამ კანონისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად ღონისძიებების დაგეგმვა, მეწარმეობის განვითარების და დასაქმების მუნიციპალურ პროგრამათა მომზადება, მიღება და შესრულება;

ბ) ბაზრების, ბაზრობების, გამოფენების, ტექნო-პარკების ორგანიზება;

გ) გარე ვაჭრობის წესების დადგენა, მათი დაცვის კონტროლი და ზედამხედველობა;

დ) ეკონომიკური განვითარების პრორიტეტების განსაზღვრა;

ე) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერა;

ვ) ინოვაციების წახალისება, მცირე მეწარმეობის, საოჯახო და ინდივიდუალური მეურნეობების, ფერმერობის, სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელ და საკვები პროდუქტების მწარმოებელ მცირე საწარმოთა, მეღვინეობის, ტრადიციული რეწვის, ადგილობრივი ტურისტული ინფრასტრუქტურის და სხვ. დარგების განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მუნიციპალური პროგრამებისა და საინვესტიციო პროექტების მომზადება, მიღება და შესრულება;

ზ) მოსახლეობის პროფესიული გადამზადების ორგანიზება, ადგილობრივი შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებელ ღონისძიებათა დაგეგმვა-



განხორციელება, შრომის ადგილობრივი ბაზრის საინფორმაციო მხარდაჭერა, შრომითი რესურსების აღრიცხვა და სტატისტიკის წარმოება, უმუშევრების რეგისტრაცია და შრომის ბირჟის ორგანიზება;

თ) ამ კანონით და ამ კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები, აგრეთვე მეწარმეობის განვითარებისა და დასაქმების სფეროში ყველა იმ საკითხის, რომელიც კანონის თანახმად არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებაში ან არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულისათვის, გადაწყვეტა.

2. მეწარმეობის განვითარებისა და დასაქმების სფეროში თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსილებებია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო მიწების მართვა;

ბ) მონაწილეობა სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში; ფერმერულ მეურნეობათა რეგისტრაცია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის აღრიცხვა, ფერმერთათვის საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრების შექმნა;

გ) ვეტერინალურ მომსახურებათა ორგანიზება;

დ) სოფლის ეკონომიკური განვითარების პროგრამების მომზადება და განხორციელება;

ე) მეწარმეობის განვითარებისა და დასაქმების სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობა;

ვ) საქართველოს კანონით ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ თვითმმართველ ერთეულთან დადებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული სხვა უფლებამოსილებები.

### **მუხლი 30. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებები ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში**

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებებია ამ კანონისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების მომზადება, მიღება და შესრულება;

ბ) სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ორგანიზება;

გ) მუნიციპალური საავადმყოფოს ორგანიზება, მისი არაკომერციული იურიდიული პირის ფორმით დაფუძნება, შენახვა და მართვა;

დ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობის ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების ორგანიზება;

ე) სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების მომზადება, მიღება და შესრულება;

ვ) მოხუცებულთა პანსიონების, ბავშვთა სახლების ორგანიზება, მათი არაკომერციული იურიდიული პირის ფორმით დაფუძნება, შენახვა და მართვა;

ზ) უნარშეზღუდული პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, ბავშვებისა და მოხუცების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სოციალურ მომსახურებათა ორგანიზება;

თ) მუნიციპალურ დასახლებებში უნარშეზღუდული პირების, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო გარემოს შექმნა, საზოგადოებრივი ოფისების, საჯარო

თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა;

ო) ქცევით აშლილობათა და ფსიქიურ დაავადებათა ადრეული ასაკიდან პრევენცია; მცირეწლოვანი ბავშვებისა და მათი მშობლების ფსიქო-სოციალური მომსახურების ორგანიზება;

კ) დასახლებებში მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური მომსახურების, უნარშეზღუდული პირების, უმწეოთა, ბავშვებისა და მოხუცებულების სოციალური დაცვის საკითხებზე მოსახლეობის საერთო კრებების, გამოკითხვების ჩატარება; ადმინისტრაციული ერთეულების მრჩეველთა საბჭოებთან კონსულტაციების გამართვა; ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანიზაციებისათვის უნარშეზღუდული პირების, უმწეოთა, ბავშვებისა და მოხუცებულების სოციალური მეურვეობისა და ზრუნვის, მათი სოციალური მომსახურების საკითხებზე ხელშეკრულებების გაფორმება;

ლ) ამ კანონით და ამ კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები, აგრეთვე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში ყველა იმ საკითხის, რომელიც კანონის თანახმად არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებაში ან არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულისათვის, გადაწყვეტა.

2. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსილებებია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) პირველადი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებათა ორგანიზება;

ბ) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობა;

გ) სიღატაკის შემცირების სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობა; უმწეო ოჯახების შეფასებაში მონაწილეობა;

დ) უმწეო ოჯახების, სოციალურად დაუცველი კატეგორიის მოსახლეობისათვის დამატებითი ფულადი სოციალური შემწეობის გაანგარიშება და გაცემა;

ე) საქართველოს კანონით ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ თვითმმართველ ერთეულთან დადებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული სხვა უფლებამოსილებები.

### **მუხლი 31. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებები დასვენების, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხთა სფეროში**

1. დასვენების, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხთა სფეროში თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებებია ამ კანონისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) ცხოვრების ჯანმრთელი წესის ხელშეწყობა, მოსახლეობის დასვენების, მასობრივი სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ორგანიზება; შესაბამის მუნიციპალურ პროგრამათა მომზადება, მიღება და განხორციელება;

ბ) რეკრეციული ზონების, პარკების, სპორტული მოედნების, საცურაო აუზების, ველოსიპედის ტრასების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსების, სტადიონების დაგეგმარება, მშენებლობა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა; შესაბამისი მუნიციპალური შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელება;

გ) მასობრივი სპორტისა და ფიზიკური კულტურის ხელშეწყობა; სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება; სპორტული კლუბების საქმიანობის წახალისება და ხელშეწყობა;

დ) ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკური აღზრდის ხელშეწყობა; სპორტსკოლების ორგანიზება, შესაბამისი დაწესებულებების არაკომერციული იურიდიული პირის ფორმით დაფუძნება, მათი შენახვა და მართვა;

ე) დასახლებებში მოსახლეობის დასვენების, სპორტის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების, ახალგაზრდობის პრობლემურ საკითხებზე მოსახლეობის საერთო კრებების, გამოკითხვების ჩატარება; ადმინისტრაციული ერთეულების მრჩეველთა საბჭოებთან კონსულტაციების გამართვა; ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანიზაციებისათვის სპორტული მოედნების, რეკრეაციული ზონების ორგანიზებისა და მართვის, სპორტული ღონისძიებების გამართვის საკითხებზე ხელშეკრულებების გაფორმება;

ვ) ამ კანონით და ამ კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები, აგრეთვე დასვენების, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხთა სფეროში ყველა იმ საკითხის, რომელიც კანონის თანახმად არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებაში ან არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულისათვის, გადაწყვეტა.

2. დასვენების, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხთა სფეროში თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსილებები განისაზღვრება საკანონმდებლო აქტებით და/ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოსთან დადებული დელეგირების ხელშეკრულებით.

#### **თავი IV. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები**

##### **მუხლი 32. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები**

1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო, რომელიც შედგება შესაბამის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით არჩეული წევრებისაგან.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებია:

ა) კოლეგიალური აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა, რომელიც შედგება მერის, საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეებისა და საკრებულოს ფრაქციათა ხელმძღვანელებისაგან;

ბ) ადმინისტრაცია, რომელიც შედგება ადმინისტრაციის უფროსის, თვითმმართველი ერთეულის სამსახურებისა და აპარატისაგან.

3. თვითმმართველი ერთეულის მეთაურია მერი, რომელიც აირჩევა შესაბამის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით.

4. თვითმმართველი ერთეულის აუდიტის ორგანოა თვითმმართველობის შიდა აუდიტის სამსახური, რომელსაც ქმნის საკრებულო ამ კანონით დადგენილი წესით.

##### **მუხლი 33. ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირები**

ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებია:

ა) მერი, რომლებიც ამ კანონით დადგენილი წესით ირჩევა საკრებულოს უფლებამოსილების ვადით;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეები, რომელთაც ამ კანონით დადგენილი წესით, საკრებულოს შემადგენლობიდან საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, ირჩევს საკრებულო;

გ) საკრებულოს ფრაქციათა ხელმძღვანელები, რომელთაც ირჩევს შესაბამისი ფრაქციის ფრაქციის წესდებით დადგენილი წესით;

დ) ადმინისტრაციის უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობა;

ე) თვითმმართველი ერთეულის აპარატის უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის უფროსი;

ვ) თვითმმართველი ერთეულის სამსახურის უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის უფროსი;

ზ) შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი, რომელსაც რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, ხუთი წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი.

თ) თემის თავმჯდომარე – ამ კანონით განსაზღვრული წესით თემის საბჭოს მიერ არჩეული თემის მეთაური;

ი) თემის საბჭოს აღმასრულებელი აპარატის უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თემის თავმჯდომარე;

## თავი V.

### თვითმმართველი ერთეულის მეთაური

#### მუხლი 34. მერი

1. მერი არის თვითმმართველი ერთეულის მეთაური, რომელსაც „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი წესით, პირდაპირი, ფარული და თანასწორი კენჭისყრის საფუძველზე, 4 წლის ვადით ირჩევენ შესაბამის თვითმმართველი ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები.

2. მერი:

ა) წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს და მოქმედებს თვითმმართველი ერთეულის სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას; ასრულებს თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობით ფუნქციებს;

ბ) ხელს აწერს საკრებულოს დადგენილებებს; უფლებამოსილია ერთი კვირის ვადაში, შესაბამისი შენიშვნებით დააბრუნოს საკითხი საკრებულოში ხელახლა განსახილველად. საკრებულო ვალდებულია ორი კვირის ვადაში უყაროს კენჭი მერის შენიშვნებს. თუ შენიშვნები არ იქნება მიღებული, კენჭი ეყრება საკრებულოს მიერ მერისათვის წარდგენილ თავდაპირველ ვარიანტს. საკრებულოს ნორმატიული აქტები მიღებულად ითვლება და ქვეყნდება

საკრებულოს თავმჯდომარის ხელმოწერით, თუ თავდაპირველ ვარიანტს მხარი დაუჭირა საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა;

გ) მიმართავს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის წინადადებით, საკრებულოს მორიგ სხდომაზე შეაქვს დამატებით განსახილველი საკითხი; უფლება აქვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით მოითხოვოს საკრებულოს მიერ უარყოფილი საკითხის ხელახალი განხილვა; ესწრება საკრებულოს, საკრებულოს კომისიების და სამუშაო ჯგუფების ღია და დახურულ სხდომებს;

დ) იწვევს და თავმჯდომარეობს გამგეობის სხდომებს; განსაზღვრავს გამგეობის სხდომის დღის წესრიგს და სხდომაზე მოსაწვევ პირებს;

ე) ხელს აწერს გამგეობის დადგენილებებს და განკარგულებებს, გამგეობის სხდომის ოქმებს და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს;

ვ) ხელს აწერს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან და სხვა თვითმმართველ ერთეულებთან დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს; ხელს აწერს უფლებამოსილებათა დელეგირების შესახებ თემთან დადებულ ხელშეკრულებებს;

ზ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თვითმმართველობის აუდიტორს; ამტკიცებს აუდიტორული სამსახურის სამუშაო გეგმებს, აძლევს დავალებებს, ისმენს და აქვეყნებს აუდიტორული სამსახურის ანგარიშებს;

თ) უფლებამოსილია შეაჩეროს ადმინისტრაციის უფროსის ბრძანების მოქმედება და მისი გაუქმების წინადადებით მიმართოს გამგეობას;

ი) მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად ქმნის კომისიებსა და სათათბირო-საკონსულტაციო ორგანოებს; ამტკიცებს მათ სამოქმედო დებულებებს;

კ) კოორდინაციას და საერთო ხელმძღვანელობას უწევს თვითმმართველი ერთეულის განვითარების სტრატეგიის, პრიორიტეტების დოკუმენტის, სამოქმედო გეგმის, ადგილობრივი ბიუჯეტის და თვითმმართველი ერთეულის სხვა დაგეგმვის დოკუმენტების პროექტების მომზადებას;

ლ) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს ადმინისტრაციულ ერთეულთა საკონსულტაციო კომიტეტის დებულებას; იწვევს და უძღვება ადმინისტრაციულ ერთეულთა საკონსულტაციო კომიტეტის სხდომებს; ორგანიზებას უწევს საკონსულტაციო კომიტეტის მიერ თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის, მუნიციპალური პროგრამებისა და საინვესტიციო პროექტების, ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტების განხილვას;

მ) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს თვითმმართველი ერთეულის, პრიორიტეტების დოკუმენტის, მუნიციპალური პროგრამებისა და საინვესტიციო პროექტების, ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტებს და მათ შესრულების ანგარიშებს;

ნ) ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში ატარებს მოსახლეობის გამოკითხვებს;

ო) საკრებულოს მიერ დადგენილი წესით ანიჭებს მოქალაქეებს საპატიო წოდებებს და ჯილდოებს;

პ) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს თვითმმართველი ერთეულის სიმბოლიკას;

ჟ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;

რ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და თვითმმართველობის ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. მერი ანგარიშვალდებულია საკრებულოს და თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის წინაშე. მერი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც საკრებულოს და თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობას წარუდგინოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

4. მერს აქვს გადადგომის უფლება. თავის უფლებამოსილებას იგი იხსნის საკრებულოს წინაშე.

5. მერს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა საჯარო სამსახურში, იყოს სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ეწეოდეს სამეწარმეო ან ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა. მერის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ან სხვა ანაზღაურებად თანამდებობაზე დანიშვნის, არჩევის ან დამტკიცების შემთხვევაში მას შეუწყდება მერის უფლებამოსილება.

6. მერის არ ყოფნის შემთხვევაში მერის მოვალეობებს ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარე.

### **მუხლი 35. მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა**

1. მერს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

ა) პირადი განცხადებით მოეხსნა უფლებამოსილება;

ბ) მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

გ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

დ) შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა;

ე) მერის რიგგარეშე არჩევნების შედეგად ამ თანამდებობაზე არჩეული იქნა სხვა პირი;

ვ) დაინიშნა, არჩეულ ან დამტკიცებულ იქნა კანონით დადგენილ მერის თანამდებობისთვის შეუთავსებელ თანამდებობაზე;

ზ) გარდაიცვალა.

2. მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს საკრებულო იღებს ცნობად, კენჭისყრის გარეშე. მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, ერთი თვის ვადაში ინიშნება მერის რიგგარეშე არჩევნები, თუ მერის მორიგ არჩევნებამდე დარჩენილია 6 თვეზე მეტი. მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მერის მოვალეობებს ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარე.

3. საკრებულოს, წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით, აგრეთვე თვითმმართველი ერთეულში რეგისტრირებულ მოქალაქეთა არა ნაკლებ 30%, უფლება აქვს უნდობლობა გამოუცხადოს მერს. უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში, უნდობლობის გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში ინიშნება მერის რიგგარეშე არჩევნები. უნდობლობის გამოცხადება დაუშვებელია მერის არჩევიდან ერთი წლის ვადის გასვლამდე, აგრეთვე თუ მერის მორიგ არჩევნებამდე დარჩენილია ერთ წელზე ნაკლები. მერისადმი საკრებულოში უნდობლობის საკითხის დასმის უფლება აქვს საკრებულოს წევრთა 1/3. თუ საკრებულომ ვერ

შემლო მერისადმი უნდობლობის გამოცხადება, ეს საკითხი საკრებულოს წინაშე შეიძლება დაისვას მხოლოდ 6 თვის ვადის გასვლის შემდეგ.

## თავი VI.

### საკრებულო. საკრებულოს უფლებამოსილება და საქმიანობის წესი

#### მუხლი 36. საკრებულო

1. საკრებულო არის თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით არჩეული წევრებისაგან.

2. საკრებულოს შედგება არანაკლებ 11 და არაუმეტეს 25 წევრისაგან, ხოლო ქ. თბილისის საკრებულო – 35 წევრისაგან. თვითმმართველ ერთეულებში საკრებულოს წევრთა რაოდენობა და საკრებულოს არჩევის წესი განისაზღვრება „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“.

#### მუხლი 37. საკრებულოს უფლებამოსილებანი

1. საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

ა) საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობისა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება; საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების თავმჯდომარეების არჩევა და გადარჩევა; საკრებულოს კომისიების და დროებითი სამუშაო ჯგუფების შექმნა და გაუქმება, მათი პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა; საკრებულოს დებულების, საკრებულოს სამუშაო გეგმების, საკრებულოს კომისიების დებულებების მიღება; საკრებულოს წევრის ეთიკის კოდექსის დამტკიცება;

ბ) გამგეობის დებულების მიღება; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმატივების ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების დამტკიცება; ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში საკადრო პოლიტიკის კონცეფციის დამტკიცება; ადგილობრივ თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნა; ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

გ) თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის რეგლამენტირება; მუნიციპალიტეტის საქმისწარმოების, მმართველობითი გადაწყვეტილებების დოკუმენტირებისა და დოკუმენტბრუნვის წესების დადგენა; ადმინისტრაციულ და სამშენებლო სამართალდარღვევის აქტების ფორმათა განსაზღვრა; თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონით ფორმის პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპიური ფორმის დადგენა;

დ) თვითმმართველი ერთეულში ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა და გაუქმება, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა, ადმინისტრაციული ცენტრის განსაზღვრა

და შეცვლა; თემის წესდების დამტკიცება; გადაწყვეტილების მიღება თემისათვის უფლებამოსილებათა დელეგირების შესახებ; გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარების შესახებ; დასახლებების ქუჩების, მოედნების და სხვა გეოგრაფიული ობიექტების სახელდება; დასახლებებში შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წესის დადგენა;

ე) გადაწყვეტილების მიღება სხვა თვითმმართველ ერთეულთან ერთობლივი საქმიანობის შესახებ და შესაბამისი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დამტკიცება; გადაწყვეტილების მიღება თვითმმართველი ერთეულის ეროვნულ და საერთაშორისო ასოციაციებსა და გაერთიანებებში მონაწილეობის შესახებ;

ვ) თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოების დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა; თვითმმართველი ერთეულის საპატიო ჯილდოების და წოდებების შემოღებისა და მინიჭების წესის დადგენა;

ზ) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის დოკუმენტების – მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის, მუნიციპალური პროგრამების და მუნიციპალური საინვესტიციო პროექტების, თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიღება; მათი შესრულების ზედამხედველობა და კონტროლი, მერის, აღმასრულებელი ორგანოების და თვითმმართველი ერთეულის აუდიტორის ანგარიშების მოსმენა და შეფასება მუნიციპალური პროგრამებისა და საინვესტიციო პროექტების, ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის და შესრულების შესახებ;

თ) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის შექმნა და მისი განკარგვის წესების დადგენა; გამგეობისთვის თანხმობის მიცემა ისეთი გარიგების დადებაზე, რომლის ღირებულება აღემატება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის 5%-ს;

ი) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება, გადასახადებისა და მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრა საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში; თვითმმართველი ერთეულის მიერ სესხის ან გრანტის აღების, სესხის ან გრანტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისი ხელშეკრულებების დამტკიცება; გადაწყვეტილების მიღება მუნიციპალური ობლიგაციების და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების შესახებ; მუნიციპალური ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების წესების დადგენა;

კ) ინვესტირების მიმართულებების, საკუთარი, აგრეთვე ერთობლივი მიზნობრივი პროგრამების, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო სახსრების განსაზღვრა; ხელშეკრულების დამტკიცება ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით სხვა თვითმმართველ ერთეულთან საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ; გადაწყვეტილების მიღება იმ სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის შესახებ, რომლებიც შეეხება თვითმმართველი ერთეულის განვითარებას;

ლ) ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცება; ადგილობრივი შესყიდვის წესების დადგენა;

მ) თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვისა და ქონებით სარგებლობის წესების დადგენა; მიწათსარგებლობის წესების დადგენა; თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესების დადგენა; გადაწყვეტილების მიღება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების



შემოდების შესახებ; გადაწყვეტილების მიღება მუნიციპალური ქონებით კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ, მისი წესდების დამტკიცება;

ნ) თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცება; თვითმმართველი ერთეულის ქონების განკერძოების პროგრამების და ამ პროგრამების შესრულების ანგარიშის დამტკიცება; თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო საწყისი ფასისა და სარგებლობის ქირის ოდენობის დადგენა; თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწით სარგებლობის, მიწის იჯარის, მიწის გადასახადების ოდენობის, მისი გაანგარიშებისა და გადახდის წესების დადგენა;

ო) თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების განსაზღვრა; მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება; ქალაქმშენებლობის სხვა დოკუმენტების დამტკიცება; მიწათსარგებლობის დაგეგმვა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის და მასში შემავალი დასახლებების ზონებად (ისტორიულ-კულტურულ, გამწვანების, დასვენების, სამრეწველო, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და სხვა სპეციალური ზონების) დაყოფა, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა; ტერიტორიის კეთილმოწყობის, სკულპტურების, შადრევნების, მცირე არქიტექტურული ფორმების თაობაზე საჯარო კონკურსების გამოცხადება;

პ) კომუნალური მომსახურების წესების დადგენა; კომუნალურ მომსახურებათა ტარიფების დამტკიცება; შიდა მუნიციპალური სამგზავრო გადაყვანების ტარიფების დამტკიცება; მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობისა და მგზავრობის საფასურის გადახდის წესების დადგენა; შიდა მუნიციპალური სამგზავრო გადაყვანების სანებართვო პირობების განსაზღვრა;

ჟ) მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის დებულების დამტკიცება; თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში ელექტრონული მმართველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების, თვითმმართველი ერთეულის ინფორმაციის კონცეფციის დამტკიცება; თვითმმართველი ერთეულის ერთიან საინფორმაციო სივრცეში კორპორატიული და უწყებრივი საინფორმაციო რესურსების ინტეგრირების მონაცემთა დაცვის და უშიშროების პირობების დადგენა; ადგილობრივი საინფორმაციო სისტემის, ქსელის, ბაზების, მონაცემთა ბანკების გამოყენების წესების დადგენა; მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საზოგადოებრივ ცენტრებში ინფორმაციით სარგებლობის წესების დამტკიცება; მუნიციპალური ელექტრონული არქივით სარგებლობის წესების განსაზღვრა;

რ) გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დამტკიცება; ვაჭრობის და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტთა მუშაობის რეჟიმის დადგენა; გარე რეკლამის განთავსების მარეგულირებელი ნორმების დადგენა და გარე რეკლამის გავრცელების გეგმის დამტკიცება;

ს) გადაწყვეტილების მიღება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე სასწავლო და საადმინისტრაციო დაწესებულებათა შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; მათი წესდების დამტკიცება და მათში ცვლილებების შეტანა;

ტ) გადაწყვეტილებების მიღება მუნიციპალური საავადმყოფოების, მუნიციპალიტეტის დასახლებებში სამედიცინო ამბულატორიების, ჯანმრთელობის დაცვის

სხვა დაწესებულებების შექმნის შესახებ; თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების საქმიანობის წესების დადგენა; საზოგადოებრივ ადგილებსა და დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დადგენა; სარიტუალო მომსახურებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის წესების დადგენა; ვეტერინალურ მომსახურებათა წესების დადგენა;

უ) უმწეოთა, მრავალშვილიანი ოჯახების, ბავშვებისა და მოხუცების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების წესებისა და პირობების დადგენა; გადაწყვეტილების მიღება მოხუცებულთა პანსიონების, ბავშვთა სახლების სოციალური მომსახურების დაწესებულებათა შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; მათი წესდებების დამტკიცება და მათში ცვლილებების შეტანა;

ფ) რეკრეციული ზონებით, პარკებით, სპორტული მოედნებით, საცურაო აუზებით, ველოსიპედის ტრასებით, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსებით, სტადიონებით სარგებლობის წესების განსაზღვრა; გადაწყვეტილების მიღება სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხთა სფეროში არაკომერციულ დაწესებულებათა შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; მათი წესდებების დამტკიცება და მათში ცვლილებების შეტანა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების გარდა საკრებულოს სხვა დამატებითი უფლებამოსილებები საქართველოს კანონმდებლობის, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან დადებული დელეგირების ხელშეკრულებების შესაბამისად განისაზღვრება საკრებულოს დებულებით.

### **მუხლი 38. ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა და შეკრება**

1. ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა იმართება შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან 2 კვირის განმავლობაში. ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომის დღეს ნიშნავს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საკრებულო მუშაობას შეუდგება, თუ შესაბამისი საარჩევნო კომისია დაადასტურებს (არჩეულად გამოაცხადებს) საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის არჩევას.

2. ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა შეიძლება გაიხსნას, თუ მას ესწრება (რეგისტრაცია გაიარა) ახალარჩეული საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომას ხსნის შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საკრებულოს სხდომებს თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება საკრებულოს უხუცესი წევრი.

3. ახალარჩეული საკრებულოს პირველი შეკრება შემდგარად ჩაითვლება, თუ საკრებულოს წევრთა რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილებაც ცნო საკრებულომ, არის საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. ამ დროიდან უფლებამოსილება უწყდება წინა მოწვევის საკრებულოს.

4. თუ იმ საკრებულოს წევრთა რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილებაც ცნო საკრებულომ, საკრებულოს სრული შემადგენლობის ორ მესამედზე ნაკლებია, საკრებულოს სხდომა წყდება. ახალარჩეული საკრებულოს მომდევნო სხდომას იწვევს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იმ დღიდან 10 დღის განმავლობაში, როდესაც შესაძლებელი გახდება საკრებულოს წინაშე იმდენი პირის უფლებამოსილების ცნობის

საკითხის დასმა, რამდენიც საკმარისია საკრებულოს სრული შემადგენლობის ორ მესამედამდე შესავსებად.

5. თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ვერ მოხერხდა საკრებულოს წევრთა შესაბამისი რაოდენობის უფლებამოსილების ცნობა, ინიშნება ხელახალი არჩევნები.

### **მუხლი 39. საკრებულოს სხდომის მუშაობის ორგანიზება**

1. საკრებულოს მორიგ სხდომებს თვეში ერთხელ მაინც იწვევს საკრებულოს თავმჯდომარე, ხოლო ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

2. საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა:

ა) მერის წინადადებით;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის წინადადებით;

ბ) გამგეობის წინადადებით;

გ) თვითმმართველობის აუდიტორის წინადადებით;

დ) საკრებულოს საკონსულტაციო კომიტეტის წინადადებით;

ე) საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით;

ვ) საკრებულოს ფრაქციის წინადადებით;

ზ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1%-ის მოთხოვნით.

3. საკრებულოს რიგგარეშე სხდომას მოთხოვნის (წინადადების) წარდგენიდან 1 კვირის ვადაში იწვევს საკრებულოს თავმჯდომარე. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ რიგგარეშე სხდომის ამ ვადაში მოუწვევლობის შემთხვევაში საკრებულო უფლებამოსილია შეიკრიბოს. საკრებულოს წევრთა გაფრთხილებას რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე ინიციატორის წერილობითი მიმართვის საფუძველზე უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის აპარატის უფროსი საკრებულოს დებულებით დადგენილი წესით. რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის და მისი მოვალეობის შემსრულებლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომას თავმჯდომარეობს დამსწრეთაგან უხუცესი წევრი.

4. საკრებულოს მუშაობის წესი განისაზღვრება საკრებულოს დებულებით.

### **მუხლი 40. საკრებულოში საკითხების განხილვის წესი**

1. საკრებულოს სხდომას, როგორც წესი, წარმართავს საკრებულოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე ამ კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი რიგითობით.

2. საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. საკრებულოს სხდომა ღიაა.

4. საკრებულოს სხდომა დახურულად ცხადდება საკრებულოს განკარგულებით, თუ სხდომაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მონაცემების გახმაურება აკრძალული ან შეზღუდულია კანონით.

5. საკრებულოში საკითხის ინიცირების უფლება აქვს:

ა) მერს;

- ბ) საკრებულოს წევრს;
- გ) გამგეობას;
- დ) აუდიტორის სამსახურს;
- ე) ადმინისტრაციულ ერთეულთა საკონსულტაციო კომიტეტს;
- ვ) თემის საბჭოს;
- ზ) თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს პეტიციის წესით.

6. საკრებულოში საკითხი ინიცირებული შეიძლება იქნეს საკრებულოს წევრთა ჯგუფის, საკრებულო კომისიის, საკრებულოს ფრაქციის, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის სახელით.

7. საკრებულო ვალდებულია ერთი თვის ვადაში განიხილოს ამ მუხლით დადგენილი უფლებამოსილი პირის მიერ ინიცირებული საკითხი.

#### **მუხლი 41. საკრებულოს სხდომაზე კენჭისყრის წესი**

1. საკრებულოს სხდომაზე მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები, როგორც წესი, ღია კენჭისყრით წყდება.

2. საკრებულოს გადაწყვეტილებები (დადგენილებები და განკარგულებები) მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ ამ კანონით სხვა წესი არ არის დადგენილი.

3. საკრებულოს წევრი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის მიცემის უფლების სხვისთვის გადაცემა.

#### **მუხლი 42. საკრებულოს სხდომის ოქმი**

1. საკრებულოს სხდომის ოქმში აღინიშნება სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, დამსწრეთა გვარები, განსახილველი და განხილული საკითხები, მიღებული გადაწყვეტილებები, აგრეთვე დამსწრეთა განსაკუთრებული მოსაზრებები.

2. საკრებულოს სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე.

3. საკრებულოს სხდომის ოქმი უნდა შეესაბამებოდეს ადმინისტრაციული დოკუმენტაციისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

#### **მუხლი 43. საკრებულოს კომისიები**

1. საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, აღმასრულებელი ორგანოებისა და თანამდებობის პირების კონტროლის მიზნით იქმნება 5 კომისია.

2. საკრებულოს კომისიებია:

- ა) სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია;
- ბ) საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;
- გ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია;
- დ) ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია;
- ე) სოციალურ საკითხთა კომისია.

2. საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეები აირჩევიან საკრებულოს წევრთაგან. კომისიების წევრებს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით, ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის დაცვით, ამტკიცებს საკრებულო. კომისიის წევრი

შეიძლება იყოს მხოლოდ საკრებულოს წევრი. კომისიის თავმჯდომარის მიერ საკრებულოს დებულებით დადგენილი წესით კომისიაში სამუშაოდ, დროებით ან კომისიის უფლებამოსილების ვადით, შეიძლება მოწვეულნი იქნენ სხვა პირებიც ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე.

3. კომისიის გადაწყვეტილებით კომისიასთან შეიძლება შეიქმნას საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შედგება შესაბამისი დარგის კომპეტენტური, სათანადო გამოცდილების მქონე, მოწვეული ექსპერტ-კონსულტანტების, ასევე დაინტერესებულ იურიდიული პირების წარმომადგენლებისაგან.

4. კომისიის საკონსულტაციო საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას, მოწვეულ პირებთან შეთანხმებით, განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

5. საკრებულოს კომისიათა უფლებამოსილება, სტრუქტურა და მუშაობის წესი განისაზღვრება კომისიის დებულებით. კომისიის დებულებას საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარე შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე.

#### **მუხლი 44. დროებითი სამუშაო ჯგუფი**

1. ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით საკრებულო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში შექმნას დროებითი სამუშაო ჯგუფები.

2. დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრებს და თავმჯდომარეს სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს, თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საკრებულო.

3. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ საკრებულოს დებულებით დადგენილი წესით ჯგუფში სამუშაოდ, დროებით ან კომისიის უფლებამოსილების ვადით, შეიძლება მოწვეულნი იქნენ სხვა პირებიც ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე.

#### **მუხლი 45. საკრებულოს ფრაქცია**

1. საკრებულოს წევრები შეიძლება გაერთიანდნენ საკრებულოს ფრაქციაში. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესი, მისი უფლებამოსილება განისაზღვრება საკრებულოს დებულებით.

2. ერთი პარტიის წევრებმა შეიძლება შექმნან მხოლოდ ერთი ფრაქცია. პარტიის წევრს, თუ მისი პარტიის წევრებმა შექმნეს ფრაქცია, უფლება არა აქვს შევიდეს სხვა ფრაქციაში.

3. ფრაქციაში გაერთიანებული უნდა იყოს საკრებულოს არა ნაკლებ სამი წევრი.

4. საკრებულოს წევრი შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ ერთ ფრაქციაში.

5. ფრაქციის ჩამოყალიბება შესაძლებელია როგორც პარტიულ, ისე არაპარტიულ საფუძველზე.

6. დაუშვებელია ფრაქციებად გაერთიანება ეროვნული, ტერიტორიული ან სხვა კერძო (რელიგიური, პროფესიული და ა.შ.) ნიშნით.

#### **მუხლი 46. საკრებულოს ბიურო**

1. საკრებულოს ბიურო შედგება საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებისა და საკრებულოს ფრაქციათა ხელმძღვანელებისაგან.

2. საკრებულოს ბიურო:

ა) ადგენს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის, ასევე საკრებულოს სამუშაო გეგმისა და სამუშაო პროგრამის პროექტებს;

ბ) კოორდინაციას უწევს საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობას; ამტკიცებს სამუშაო ჯგუფების დებულებებს;

გ) განიხილავს საკრებულოს სხდომაზე გასატანი სამართლებრივი აქტების პროექტებზე საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების დასკვნებსა და წინადადებებს;

დ) ისმენს ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა ანგარიშებს;

ე) ახორციელებს საკრებულოს დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

## თავი VII. საკრებულოს წევრი

### მუხლი 47. საკრებულოს წევრის სტატუსი

1. საკრებულოს წევრი არის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში - საკრებულოში არჩეული პირი.

2. საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ამომრჩეველთა ინტერესების გათვალისწინებით.

3. საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მთავრდება ახალარჩეული საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე ან ამ წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთანავე.

4. საკრებულოს წევრი სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია. თავისი მოვალეობების შესრულებისას საკრებულოს წევრი შეზღუდული არ არის ამომრჩეველებისა და მისი წარმდგენი პოლიტიკური გაერთიანების განაწესებითა და დავალებებით.

5. დაუშვებელია საკრებულოს წევრის უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა.

6. თავისუფალი მანდატი საკრებულოს წევრს არ ათავისუფლებს ამომრჩეველთან მუშაობისა და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისაგან საკრებულოს დებულებით დადგენილი წესით.

7. საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და გარანტიები განისაზღვრება ამ კანონითა და საკრებულოს დებულებით.

### მუხლი 48. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

ა) პირადი განცხადებით მოეხსნა უფლებამოსილება - უფლებამოსილების მოხსნის შესახებ პირადი განცხადების თვითმმართველი ერთეულის აპარატში რეგისტრაციის დღიდან;

ბ) მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი - სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან;

გ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად - სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან;

დ) შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა - საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ აქტის ძალაში შესვლის დღიდან;

ე) არასაპატიო მიზეზით 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა საკრებულოს მუშაობაში - საკრებულოს მიერ შესაბამისი განკარგულების გამოცემის დღიდან;

ვ) დაინიშნა, არჩეულ ან დამტკიცებულ იქნა კანონით დადგენილ საკრებულოს წევრისათვის შეუთავსებელ თანამდებობაზე - ამ თანამდებობაზე დანიშვნის, არჩევის ან დამტკიცების შესახებ აქტის ძალაში შესვლიდან დღიდან.

ზ) გარდაიცვალა - გარდაცვალების მეორე დღიდან.

2. საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება ამ კანონით დადგენილი წესით საკრებულოს დათხოვნის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში.

3. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს, გარდა ამ მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, საკრებულო იღებს ცნობად, კენჭისყრის გარეშე.

4. თუ საკრებულოს წევრი არასაპატიო მიზეზით 4 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა საკრებულოს მუშაობაში, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია საკრებულოს დებულებით გათვალისწინებული წესით არკვევს გაცდენის მიზეზს და თუ დადასტურდა, რომ მიზეზი არასაპატიოა, ამზადებს დასკვნას და წარუდგენს საკრებულოს უახლოეს სხდომას, რომელიც იღებს შესაბამის განკარგულებას.

#### **მუხლი 49. საკრებულოს წევრის თანამდებობრივი შეუთავსებლობა**

1. საკრებულოს წევრს უფლება არა აქვს:

ა) იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს (გარდა მრჩეველთა საბჭოს) წევრი;

ბ) ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც არჩევა, დანიშვნა ან დამტკიცება ხდება საქართველოს პარლამენტის მიერ;

გ) ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც დანიშვნა ხდება საქართველოს პრეზიდენტის ან საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ;

დ) ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც არჩევა, დანიშვნა ან დამტკიცება ხდება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ;

ე) იმუშაოს საქართველოს სასამართლო ხელისუფლების, პროკურატურის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების ორგანოებში;

ვ) იყოს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე;

ზ) იმუშაოს ამავე თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციაში;

თ) იმუშაოს ამავე თვითმმართველი ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურში;

ი) მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველი ერთეულის საწარმოების მართვაში (იყოს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სამეთვალყურეო ან დირექტორთა საბჭოს წევრი და სხვა), აგრეთვე იყოს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით დაფინანსებული დაწესებულების დირექტორი ან დირექტორის მოადგილე, გარდა საგანმანათლებლო (სასკოლო დაწესებულებები და სხვა), კულტურის (თეატრები და სხვა) და ჯანმრთელობის დაცვის (სავადმყოფოები და სხვა) დაწესებულებებისა.

2. საკრებულოს წევრს უფლება არა აქვს, კანონით დადგენილი უფლებამოსილებანი ან მათთან დაკავშირებული შესაძლებლობები გამოიყენოს პირადი ინტერესების

დასაკმაყოფილებლად. საკრებულოს წევრი ვალდებულია უარი განაცხადოს საკრებულოს სხდომაზე იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობასა და კენჭისყრაზე, რომლის მიმართაც მას ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი აქვს.

### **მუხლი 50. საკრებულოს წევრის საქმიანობის ფორმები**

საკრებულოს წევრის საქმიანობის ფორმებია:

- ა) საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა;
- ბ) საკრებულოს ორგანოების მუშაობაში მონაწილეობა;
- გ) საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და მათი ინიცირება;
- დ) საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებათა შესრულება;
- ე) საკრებულოს ფრაქციების, დროებითი სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების მუშაობაში მონაწილეობა;
- ვ) საკრებულოსადმი დაქვემდებარებულ ორგანოთა ხელმძღვანელებისადმი კითხვით მიმართვა;
- ზ) ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა;
- თ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფორმები.

### **მუხლი 51. საკრებულოს წევრის უფლებები**

1. საკრებულოს წევრი საკრებულოს კომპეტენციას მიკუთვნებული ყველა საკითხის განხილვისას სარგებლობს გამამწყვეტი ხმის უფლებით.
2. საკრებულოს წევრი სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობს საკრებულოს იმ ორგანოების მუშაობაში, რომლის წევრიც არ არის.
3. საკრებულოს წევრს უფლება აქვს:
  - ა) აირჩიოს და არჩეული იქნეს საკრებულოს არჩევით თანამდებობებზე, გაერთიანდეს ან გამოვიდეს საკრებულოს კომისიიდან და/ან ფრაქციიდან;
  - ბ) საკრებულოს სხდომაზე დასვას საკითხი განსახილველად;
  - გ) შეიტანოს შენიშვნები და წინადადებები საკრებულოს კომპეტენციაში შემავალ ყველა საკითხზე;
  - დ) მონაწილეობდეს კამათში, შეკითხვით მიმართოს მომხსენებელსა და სხდომის თავმჯდომარეს, მოითხოვოს პასუხი და შეაფასოს იგი;
  - ე) გააცნოს საკრებულოს მოქალაქეთა წერილები და მიმართვები;
  - ვ) გამოთქვას აზრი საკრებულოს მიერ შესაქმნელი ორგანოებისა და იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომელთაც ირჩევს, ნიშნავს, ამტკიცებს ან რომელთა დანიშვნაზედაც თანხმობას აძლევს საკრებულო;
  - ზ) კითხვით მიმართოს მერს, საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებს თუ თანამდებობის პირებს და მიიღოს პასუხი. შესაბამისი ორგანოები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან, ერთი კვირის ვადაში უპასუხოვნ საკრებულოს წევრის კითხვას. კითხვის ავტორთან შეთანხმებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს ათი დღით;
  - თ) შეუფერხებლად შეხვდეს მერს და საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებს;
  - ი) უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა თავის მიერ დასმული საკითხების განხილვაში;
  - კ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს ნებისმიერი



ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად;

ლ) თვითმმართველი ერთეულის აპარატს საკრებულოს დებულებით დადგენილი წესით მოსთხოვოს სათანადო ინფორმაცია და ორგანიზაციულ-ტექნიკური მომსახურებით უზრუნველყოფა;

ვ) ისარგებლოს იმ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის ინფორმაციის მიწოდების უპირატესი უფლებით, რომლებიც ფინანსდება შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

ზ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

4. საკრებულოს წევრის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების პროცედურული საკითხები განისაზღვრება საკრებულოს დებულებით.

## **მუხლი 52. საკრებულოს წევრის მოვალეობანი**

1. საკრებულოს წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და კანონები;

ბ) დებულებით დადგენილი წესით შეხვედეს მოქალაქეებს;

გ) მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს სხდომებსა და საკრებულოს კომისიათა მუშაობაში;

დ) იყოს საკრებულოს ერთი, მაგრამ არა უმეტეს ორი კომისიის შემადგენლობაში მაინც;

ე) არ გაახმაუროს და პირადი ინტერესებისათვის არ გამოიყენოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ან კონფიდენციალური ინფორმაცია;

ვ) ამომრჩეველთა მოთხოვნით შეხვედეს მათ და არანაკლებ წელიწადში ერთხელ ჩააბაროს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

2. საკრებულოს წევრი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს საკრებულოს თავმჯდომარეს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოვალეობათა შესრულების ხელის შემშლელი გარემოებების თაობაზე.

## **მუხლი 53. საკრებულოს წევრის ურთიერთობა ამომრჩევლებთან**

საკრებულოს წევრის ურთიერთობა ამომრჩევლებთან მოიცავს:

ა) ამომრჩეველთა უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას;

ბ) მოქალაქეთა მიღებას;

გ) საზოგადოებრივი აზრის შესწავლას;

დ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და პოლიტიკურ გაერთიანებებთან თანამშრომლობას;

ე) გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირებას;

ვ) ამომრჩევლებთან შეხვედრას სამ თვეში ერთხელ მაინც.

## **მუხლი 54. საკრებულოს წევრის საქმიანობის გარანტიები**

1. დაუშვებელია საკრებულოს წევრის პასუხისგებაში მიცემა თავისი მოვალეობების შესრულებისას საკრებულოში ან მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და

შეხედულებებისათვის, გარდა საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

2. საკრებულოს წევრის დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში მას უჩერდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

3. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში საკრებულოს წევრს:

ა) აღუდგება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, თუ გასული არ არის იმ საკრებულოს უფლებამოსილების ვადა, რომლის წევრიც იგი არის;

ბ) თუ გასულია იმ საკრებულოს უფლებამოსილების ვადა, რომლის წევრიც იგი იყო, დაკავების ან დაპატიმრების ვადა ჩაეთვლება საკრებულოს წევრად ყოფნის საერთო ვადაში.

4. საკრებულოს წევრი არ შეიძლება ადმინისტრაციის ინიციატივით დაითხოვონ საჯარო დაწესებულებიდან ან დისციპლინური წესით გადაიყვანონ დაბალხელფასიან სამუშაოზე საკრებულოს თანხმობის გარეშე, ხოლო საკრებულოს სხდომებს შორის პერიოდში – საკრებულოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე.

5. საკრებულოს წევრს, თუ იგი მუშაობდა საჯარო სამსახურში, საკრებულოში იმ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში, რომელზეც უფლებამოსილება ხორციელდება საწარმოო ან სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოწყვეტით, უფლებამოსილების დამთავრების შემდეგ ეძლევა წინანდელი თანამდებობა, ხოლო თუ ასეთი აღარ არსებობს - სხვა ტოლფასი თანამდებობა იმავე ან მისი თანხმობით სხვა დაწესებულებაში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ თანამდებობაზე საკრებულოს წევრის მუშაობის დრო ითვლება იმ სპეციალობით შრომის სტაჟში, რომლითაც საკრებულოს წევრი მუშაობდა ამ თანამდებობაზე არჩევამდე.

7. საკრებულოს წევრი საკრებულოს სხდომებში ან მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, აგრეთვე ამომრჩეველებთან შესახვედრად, საკრებულოს ან საკრებულოს თავმჯდომარის დავალებათა შესასრულებლად, საკრებულოს თავმჯდომარის ოფიციალური შეტყობინების საფუძველზე შესაბამისი ვადით თავისუფლდება საწარმოო ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან საშუალო ხელფასის შენარჩუნებით და უნაზღაურდება საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.

8. საჯარო მოსამსახურეების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ საკრებულოს წევრის საქმიანობასთან დაკავშირებული კანონიერი მოთხოვნების შეუსრულებლობა ან მისი საქმიანობის განხორციელებისათვის ხელის შეშლა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **მუხლი 55. საკრებულოს წევრის საქმიანობის ანაზღაურება**

1. საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ საკრებულოს შემდეგ თანამდებობის პირთა საქმიანობა:

ა) საკრებულოს თავმჯდომარე;

ბ) საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე;

გ) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე.

2. საკრებულოს წევრს, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თანამდებობის პირებისა, კანონით დადგენილი უფლებამოსილების განხორციელებისათვის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან ეძლევა კომპენსაცია. კომპენსაცია იანგარიშება საკრებულოს წევრის მიერ უფლებამოსილების განხორციელების დროის დანახარჯის მიხედვით. დროის დანახარჯის გაანგარიშების წესი და კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება საკრებულოს დებულებით. კომპენსაცია უნდა მოიცავდეს ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილ ხარჯებს. კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის შრომის ანაზღაურების ნახევარზე მეტი.

3. საკრებულოს წევრს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან უნაზღაურდება საკრებულოს წევრის მიერ უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯები:

ა) ტრანსპორტის მგზავრობისათვის;

ბ) კავშირგაბმულობის საშუალებებით და ინტერნეტით სარგებლობის, საფოსტო გზავნილების და საკანცელარიო ხარჯები, თუ მათი უზრუნველყოფა არ ხდება თვითმმართველი ერთეულის აპარატის მიერ;

გ) ხარჯები სასტუმროში ცხოვრების ან საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის.

4. საკრებულოს წევრს, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარის ან საკრებულოს მიერ გაგზავნილი იქნა თვითმმართველი ერთეულის ფარგლებს გარეთ, უნაზღაურდება სამივლინებო ხარჯები საჯარო მოხელისათვის კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით.

5. საკრებულოს წევრს საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობის დროის გათვალისწინებით ეძლევა განაცდური (პირის დღიური სამუშაო ხელფასის შესაბამისად, ხოლო თუ პირი არ მუშაობს, საჯარო მოხელისათვის მივლინების პერიოდში დადგენილი დღიური ნორმის შესაბამისად).

## **თავი VIII.**

### **საკრებულოს თანამდებობის პირები**

#### **მუხლი 56. საკრებულოს თავმჯდომარე**

1. საკრებულოს თავმჯდომარე არის საკრებულოს ხელმძღვანელი.

2. საკრებულოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს საკრებულო. საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს წევრს. საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურების დასახელების შემდეგ საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე აცხადებს კანდიდატთა სიას და ითხოვს მათ თანხმობას, კენჭი იყარონ საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. სხდომის თავმჯდომარე კენჭისყრისათვის ადგენს კანდიდატთა ერთიან სიას მათი წარდგენის რიგითობის მიხედვით. საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. თუ არჩევნებში მონაწილეობდა ერთი ან ორი კანდიდატი და საკრებულოს თავმჯდომარე ვერ აირჩა, ტარდება ხელახალი არჩევნები. ერთი და იგივე კანდიდატი შეიძლება დასახელდეს მხოლოდ ორჯერ. თუ არჩევნებში მონაწილეობდა ორზე მეტი კანდიდატი და მათგან ვერც ერთმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, ტარდება არჩევნების მომდევნო ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს. თუ არჩევნების პირველ ტურში პირველ ადგილზე გავიდა ორზე მეტი კანდიდატი, ტარდება ხელახალი არჩევნები. თუ

არჩევნების პირველ ტურში მეორე ადგილზე გავიდა ორი ან მეტი კანდიდატი, მეორე ტურში კენჭი ეყრება მხოლოდ პირველ ადგილზე გასულ კანდიდატს. თუ არჩევნების მეორე ტურში ვერ აირჩა საკრებულოს თავმჯდომარე, ტარდება ხელახალი არჩევნები.

3. საკრებულოს თავმჯდომარე შეიძლება საკრებულომ გადააყენოს თანამდებობიდან. საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენების საკითხი საკრებულოს წინაშე წერილობით შეიძლება დასვას საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მესამედმა. საკრებულოს თავმჯდომარე გადაყენებულად ჩაითვლება, თუ მისი გადაყენების შესახებ წინადადებას მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად საკრებულომ ვერ შეძლო საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენება, დაუშვებელია მომდევნო 3 თვის განმავლობაში საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენების პროცედურის ხელმეორედ დაწყება.

5. საკრებულოს თავმჯდომარე:

ა) უძღვება საკრებულოს მუშაობას, საერთო ხელმძღვანელობას უწევს საკრებულოს კომისიების, დროებითი სამუშაო ჯგუფების, საკრებულოს აპარატისა და საკრებულოს თანამდებობის პირთა საქმიანობას;

ბ) იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს და დახურულად (დასრულებულად) აცხადებს საკრებულოს მორიგ და რიგგარეშე სხდომებს;

გ) უძღვება სხდომებზე საკითხების განხილვას;

დ) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს დებულებით დადგენილი სხდომის ჩატარების პროცედურების დაცვას;

ე) ადგენს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების თანმიმდევრობის პროექტს, განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, საკრებულოს დებულებით დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და ამღვეს მათ სიტყვას;

ვ) საკითხს სვამს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

ზ) ამტკიცებს საკრებულოს სხდომაზე მოსაწვევ პირთა სიას;

თ) იწვევს და თავმჯდომარეობს საკრებულოს ბიუროს სხდომებს;

ი) საერთო კოორდინაციას უწევს საკრებულოს კომისიების მუშაობას;

კ) უზრუნველყოფს საკრებულოს და საკრებულოს წევრთა უფლებების დაცვას;

ლ) აკონტროლებს საკრებულოს წევრთა მიერ საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს დებულებით დადგენილი მოვალეობების შესრულებას;

მ) საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეთა წარდგინებით საკრებულოს კომისიებში იწვევს ექსპერტებსა და სპეციალისტებს; დებს და აუქმებს მათთან ხელშეკრულებებს; საერთო ხელმძღვანელობას უწევს კომისიებში მოწვეულ პირთა საქმიანობას;

ნ) ხელს აწერს საკრებულოს განკარგულებებსა და სხდომის ოქმებს;

ო) საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეების წარდგინებით საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს კომისიათა დებულებებს;

პ) ახორციელებს საკრებულოს დებულებით, ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

7. საკრებულოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე. საკრებულოს თავმჯდომარე წელიწადში ერთხელ მაინც საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს

მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. წელიწადში ერთხელ მაინც ადგენს და აქვეყნებს საკრებულოს მუშაობის ანგარიშს.

8. საკრებულოს თავმჯდომარეს უფლება არა აქვს, ეკავოს რაიმე თანამდებობა საჯარო სამსახურში, ეწეოდეს სამეწარმეო ან ანაზღაურებად საქმიანობას გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა. საკრებულოს თავმჯდომარე იმავდროულად არ შეიძლება იყოს საკრებულოს კომისიის ან ფრაქციის თავმჯდომარე. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ან სხვა ანაზღაურებად თანამდებობაზე დანიშვნის, არჩევის ან დამტკიცების შემთხვევაში მას შეუწყდება საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილება. აღნიშნულ საკითხზე საკრებულო გადაწყვეტილებას იღებს ცნობის სახით კენჭისყრის გარეშე.

### **მუხლი 57. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე**

1. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს საკრებულო. კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს წევრს.

2. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე:

ა) იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს და წარმართავს კომისიის სხდომებს;

ბ) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს დებულებითა და კომისიის დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვას;

გ) ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტს, განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, საკრებულოს დებულებითა და კომისიის დებულებით დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას;

დ) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

ე) მოქმედებს კომისიის სახელით;

ვ) აძლევს დავალებებს კომისიის წევრებს;

ზ) კომისიის სხდომაში მონაწილეობისათვის იწვევს ადგილობრივი თვითმმართველობის და სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს, ექსპერტებსა და სპეციალისტებს;

თ) საკრებულოს ბიუროს მიერ დადგენილი კვოტის ფარგლებში კომისიაში სამუშაოდ იწვევს ექსპერტ-სპეციალისტებს და წარუდგენს მათ კანდიდატურებს საკრებულოს თავმჯდომარეს შრომითი ხელშეკრულების გასაფორმებლად;

ი) ნიშნავს კომისიის საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობას;

თ) აკონტროლებს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას;

კ) საკრებულოს წარუდგენს წლიურ ანგარიშს კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

ლ) ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, დასკვნებს, რეკომენდაციებს და კომისიის სხდომის ოქმებს;

მ) ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე;

ნ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს დებულებით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. საკრებულოს კომისის თავმჯდომარე საკრებულომ შეიძლება გადააყენოს თანამდებობიდან. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის გადაყენების საკითხი საკრებულოს წინაშე წერილობით შეიძლება დასვას საკრებულოს თავმჯდომარემ, ბიურომ,

საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მეხუთედმა, შესაბამისი კომისიის შემადგენლობის ორმა მესამედმა. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე გადაყენებულად ჩაითვლება, თუ წინადადებას მისი გადაყენების შესახებ მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

4. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა საჯარო სამსახურში, ეწეოდეს სამეწარმეო ან ანაზღაურებად საქმიანობას გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ან სხვა ანაზღაურებად თანამდებობაზე დანიშვნის, არჩევის ან დამტკიცების შემთხვევაში მას შეუწყდება საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილება. აღნიშნულ საკითხზე საკრებულო გადაწყვეტილებას იღებს ცნობის სახით კენჭისყრის გარეშე.

### **მუხლი 58. ფრაქციის თავმჯდომარე**

1. საკრებულოს ფრაქციას ხელმძღვანელობს ფრაქციის თავმჯდომარე, რომლის არჩევის წესი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ფრაქციის წესდებით.

2. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა საჯარო სამსახურში, ეწეოდეს სამეწარმეო ან ანაზღაურებად საქმიანობას გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის სხვა თანამდებობაზე დანიშვნის, არჩევის ან დამტკიცების შემთხვევაში მას შეუწყდება საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის უფლებამოსილება. აღნიშნულ საკითხზე საკრებულო გადაწყვეტილებას იღებს ცნობის სახით კენჭისყრის გარეშე.

## **თავი IX.**

### **გამგეობის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი**

#### **მუხლი 59. გამგეობა**

1. გამგეობა წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის კოლექტიურ აღმასრულებელ ორგანოს.

2. გამგეობა შედგება: მერის, საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეებისა და ადმინისტრაციის უფროსისაგან.

3. გამგეობის სხდომებს იწვევს და თავმჯდომარეობს მერი.

4. გამგეობა ასრულებს ამ კანონითა და გამგეობის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს საერთო ადმინისტრირების, დაგეგმვისა და საფინანსო-ეკონომიკურ, ქონების მართვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, კეთილმოწყობის, მიწათსარგებლობის, ბუნებრივი რესურსების მართვის, ტერიტორიის დაგეგმარების, მშენებლობის, ტრანსპორტის, საგზაო მეურნეობის, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის საკითხთა, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტის, დასაქმების, სოციალური უზრუნველყოფის, გარემოს დაცვის, აღრიცხვისა და ინფორმატიზაციის სფეროებში.

#### **მუხლი 60. გამგეობის უფლებამოსილებანი**

1. გამგეობის უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის დებულების მიღება; მუნიციპალიტეტის აპარატისა და ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების – მუნიციპალური სამსახურების დებულებების მიღება; ადმინისტრაციის საშტატო ნუსხის დამტკიცება;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების, დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში საკადრო პოლიტიკის კონცეფციის შემუშავების უზრუნველყოფა და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა; კონცეფციის შესრულების უზრუნველყოფა და კონტროლი; თვითმმართველობის საჯარო მოხელის ეტიკის კოდექსის დამტკიცება;

გ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან განთავისუფლება; გადაწყვეტილების მიღება მისი წახალისებისა და მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ; ადმინისტრაციის სამუშაო გეგმების დამტკიცება; ადმინისტრაციისა და ადმინისტრაციის თანამდებობის პირების საქმიანობის ზედამხედველობა, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

დ) მუნიციპალიტეტის საქმისწარომების, მმართველობითი გადაწყვეტილებების დოკუმენტირებისა და დოკუმენტბრუნვის წესების, ადმინისტრაციულ და სამშენებლო სამართალდარღვევის აქტების ფორმათა, თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონით ფორმის პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპიური ფორმის შემუშავების უზრუნველყოფა და დასამტკიცებლად საკრებულოში წარდგენა;

ე) თვითმმართველი ერთეულში ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა–გაუქმების, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, თემის წესდებისა და თემისათვის უფლებამოსილებათა დელეგირების შესახებ წინადადებებისა და პროექტების მომზადების უზრუნველყოფა და საკრებულოში წარდგენა; თემის საბჭოს ასარჩევად, აგრეთვე სხვა საკითხებზე მოსახლეობის საერთო კრებების და გამოკითხვის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, შესაბამისი გეგმა–გრაფიკების დამტკიცება; დასახლებების ქუჩების, მოედნების და სხვა გეოგრაფიული ობიექტების სახელდების, დასახლებებში შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წესის შესახებ საკრებულოსათვის წინადადებების მომზადება და წარდგენა;

ვ) სხვა თვითმმართველ ერთეულებთან ერთობლივი საქმიანობის, თვითმმართველი ერთეულების ეროვნულ და საერთაშორისო ასოციაციებსა და გაერთიანებებში მონაწილეობის, შესაბამისი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტების, წინადადებებისა და დასკვნების შემუშავების უზრუნველყოფა და საკრებულოში მათი დასამტკიცებლად წარდგენა; შესაბამისი შეთანხმებების შესრულების უზრუნველყოფა;

ზ) თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოების პროექტის შემუშავების უზრუნველყოფა და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა; თვითმმართველი ერთეულის საპატიო ჯილდოების და წოდებების შემოღებისა და მინიჭების წესის შემუშავების უზრუნველყოფა და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

თ) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის დოკუმენტების – მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის, მუნიციპალური პროგრამების და მუნიციპალური საინვესტიციო პროექტების, თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შემუშავების პროცესის წარმართვა, შესაბამისი დოკუმენტების

მომზადების უზრუნველყოფა, მათი განხილვების ორგანიზება და საკრებულოსათვის მისაღებად წარდგენა; მათი შესრულების უზრუნველყოფა; მუნიციპალური პროგრამებისა და საინვესტიციო პროექტების, ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის და შესრულების შესახებ ანგარიშების მომზადების უზრუნველყოფა და საკრებულოში წარდგენა;

ი) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღებისა და გაუქმების, მათი განაკვეთების, თვითმმართველი ერთეულის მიერ სესხის ან გრანტის აღების, სესხის ან გრანტის გაცემის, მუნიციპალური ობლიგაციების და სხვა ფასინი ქაღალდების გამოშვების თაობაზე წინადადებების, დასკვნებისა და შესაბამისი პროექტების შემუშავება, საკრებულოსათვის მისაღებად მათი წარდგენა; ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება; სასესიო და საგრანტო ხელშეკრულებების პირობათა დაცვისა და შესრულების უზრუნველყოფა;

კ) ინვესტირების მიმართულებების, საკუთარი, აგრეთვე ერთობლივი მიზნობრივი პროგრამების, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო სახსრების განსაზღვრის, ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით სხვა თვითმმართველ ერთეულთან საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების, თვითმმართველი ერთეულის განვითარების სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის შესახებ წინადადებების, დასკვნებისა და შესაბამის ხელშეკრულებათა პროექტების მომზადება, საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენა; მათი შესრულების უზრუნველყოფა;

ლ) ადგილობრივი შესყიდვის წესების, ადგილობრივი შესყიდვების გეგმის მომზადების უზრუნველყოფა და საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენა; შესყიდვების წესების დაცვაზე ზედამხედველობა; მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის შექმნა და მისი შემადგენლობის დანიშვნა; გეგმის მიხედვით ადგილობრივი შესყიდვების განხორციელების უზრუნველყოფა; ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების დადება და გაუქმება;

მ) თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვისა და ქონებით სარგებლობის, მიწათსარგებლობის, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესების, თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის, თვითმმართველი ერთეულის ქონების განკერძოების პროგრამების, თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო საწყისი ფასისა და სარგებლობის ქირის ოდენობის, მიწით სარგებლობის გადასახადის ოდენობის შესახებ წინადადებების და საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადების უზრუნველყოფა და საკრებულოში წარდგენა; მუნიციპალური ქონებით კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ წინადადებების, შესაბამისი წესდების პროექტის მომზადების უზრუნველყოფა და საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენა;

ნ) დადგენილი წესის შესაბამისად მუნიციპალური ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის აუქციონების ჩატარების უზრუნველყოფა; ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით შესაბამისი ხელშეკრულებების დადება;

ო) თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, ქალაქმშენებლობის სხვა დოკუმენტების პროექტების მომზადების უზრუნველყოფა და საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენა; სივრცითი ტერიტორიულ დაგეგმვისა და ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების შესრულების, მიწათმოწყობის, მიწათსარგებლობისა



და ქალაქმშენებლობის კადასტრების წარმოების უზრუნველყოფა; დადგენილი წესის შესაბამისად ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობების, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმების, მშენებლობის ნებართვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება; გეგმარებითი დავალებების დამტკიცება; მშენებლობის ზედამხედველობის და სამშენებლო ობიექტების ექსპლოატაციაში მიღების უზრუნველყოფა;

პ) კომუნალური მომსახურეობის წესების, კომუნალურ მომსახურებათა ტარიფების შესახებ წინადადებებისა და საკრებულოს გადაწყვეტილებების პროექტების მომზადების უზრუნველყოფა და საკრებულოში წარდგენა; ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით კომუნალური მომსახურეობის სფეროში ადმინისტრაციული ხელშეკრულებების დადება; კომუნალური მომსახურეობის წესების დაცვის უზრუნველყოფა;

ჟ) მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობისა და მგზავრობის საფასურის გადახდის წესების, შიდა მუნიციპალური სამგზავრო გადაყვანების სანებართვო პირობების და ტარიფების, შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილებების პროექტების მომზადების უზრუნველყოფა და საკრებულოში წარდგენა; ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით ტრანსპორტის მოძრაობის მარშუტებისა და გრაფიკების დამტკიცება; შიდა მუნიციპალურ სამგზავრო გადაყვანებზე ნებართვების გაცემა; თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი საავტომობილო გზებისა და საგზაო მოძრაობის დაგეგმარების უზრუნველყოფა; გზების დაპროექტების, მშენებლობისა და რემონტის ჩატარების კოორდინაცია და ზედამხედველობა; ავტოსადგურების, გაჩერებების და სხვა ობიექტების მშენებლობათა განსაზღვრა;

რ) მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის დებულების, თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში ელექტრონული მმართველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების, თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციის კონცეფციის, თვითმმართველი ერთეულის ერთიან საინფორმაციო სივრცეში კორპორატიული და უწყებრივი საინფორმაციო რესურსების ინტეგრირების, მონაცემთა დაცვის და უშიშროების პირობების, ადგილობრივი საინფორმაციო სისტემის, ქსელის, ბაზების, მონაცემთა ბანკების გამოყენების წესების, მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საზოგადოებრივ ცენტრებში ინფორმაციით სარგებლობის წესების, მუნიციპალური ელექტრონული არქივით სარგებლობის წესების შემუშავების უზრუნველყოფა და საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენა; მათი შესრულების უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის ადმინისტრირების უზრუნველყოფა;

ს) გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების, გარე რეკლამის განთავსების მარეგულირებელი ნორმების, გარე რეკლამის გავრცელების გეგმის, ვაჭრობის და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტთა მუშაობის რეჟიმის მომზადების უზრუნველყოფა და საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენა; მათი შესრულების უზრუნველყოფა;

ტ) კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე სასწავლო და საადმინისტრაციული დაწესებულებათა შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, მათი წესდებების დამტკიცების შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილებების პროექტების მომზადების უზრუნველყოფა და საკრებულოში წარდგენა; შესაბამის დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაცია და ზედამხედველობა;

უ) მუნიციპალური საავადმყოფოების, მუნიციპალიტეტის დასახლებებში სამედიცინო ამბულატორიების, ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებების შექმნის, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების

საქმიანობის წესების, საზოგადოებრივ ადგილებსა და დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების, სარიტუალო მომსახურებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის წესების შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადების უზრუნველყოფა და მათი საკრებულოში წარდგენა; შესაბამისი წესების დაცვაზე კონტროლი; შესაბამის დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაცია და ზედამხედველობა;

ფ) უმწეოთა, მრავალშვილიანი ოჯახების, ბავშვებისა და მოხუცების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების წესებისა და პირობების, მოხუცებულთა პანსიონების, ბავშვთა სახლების, სოციალური მომსახურების სხვა დაწესებულებათა შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, მათი წესდებების დამტკიცების შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილებების პროექტების მომზადების უზრუნველყოფა და საკრებულოში წარდგენა; სოციალური მომსახურების წესების დაცვის კონტროლი; შესაბამისი დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია და ზედამხედველობა; სოციალური დახმარებების შესახებ მოქალაქეთა განცხადებების თაობაზე ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით გადაწყვეტილებების მიღება;

ქ) რეკრეციული ზონებით, პარკებით, სპორტული მოედნებით, საცურაო აუზებით, ველოსიპედის ტრასებით, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსებით, სტადიონებით სარგებლობის წესების, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხთა სფეროში არაკომერციულ დაწესებულებათა შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, მათი წესდებების დამტკიცების შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილებების პროექტების მომზადების უზრუნველყოფა და საკრებულოში წარდგენა; შესაბამისი წესების დაცვის კონტროლი; შესაბამისი დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია და ზედამხედველობა;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების გარდა, გამგეობის სხვა დამატებითი უფლებამოსილებები საქართველოს კანონმდებლობის, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან დადებული დელეგირების ხელშეკრულებების შესაბამისად განისაზღვრება გამგეობის დებულებით.

### **მუხლი 61. გამგეობა მუშაობის ორგანიზაცია**

1. გამგეობის სხდომას ორ კვირაში ერთხელ მაინც, იწვევს მერი.
2. გამგეობის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა:
  - ა) მერის წინადადებით;
  - ბ) საკრებულოს თავმჯდომარის მოთხოვნით;
  - გ) თვითმმართველობის აუდიტორის წინადადებით;
  - დ) გამგეობის წევრთა 1/3-ის მოთხოვნით.
3. გამგეობის მუშაობის წესი განისაზღვრება გამგეობის დებულებით.

### **მუხლი 62. გამგეობის სხდომა**

1. გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს გამგეობის სხდომაზე.
2. გამგეობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუკი გამგეობის სხდომას ესწრება გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი.
3. გამგეობის სხდომაზე გადაწყვეტილება (ნორმატიული აქტი - გამგეობის დადგენილება და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი - გამგეობის განკარგულება), როგორც წესი, მიიღება ღია კენჭისყრით.

4. გამგეობის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, თუ კანონით ან გამგეობის დებულებით სხვა წესი არ არის დადგენილი.

### **მუხლი 63. გამგეობის სხდომის ოქმი**

1. გამგეობის სხდომის ოქმში შეიტანება სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, დამსწრეთა გვარები, განსახილველი და განხილული საკითხები, მიღებული გადაწყვეტილებები, აგრეთვე დამსწრეთა განსაკუთრებული მოსაზრებები.

2. გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და სხდომის ოქმს ხელს აწერს მერი.

3. გამგეობის სხდომის ოქმი უნდა შეესაბამებოდეს ადმინისტრაციული დოკუმენტაციისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

## **თავი X.**

### **თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაცია და თანამდებობის პირები**

#### **მუხლი 64. თვითმმართველობის ადმინისტრაცია**

1. საკრებულოსა და გამგეობის საქმიანობის ორგანიზაციულ მომსახურებას და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებას უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაცია.

2. ადმინისტრაციის საქმიანობას უძღვება ადმინისტრაციის უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს გამგეობა.

3. ადმინისტრაციის დებულებასა და სტრუქტურას ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს გამგეობა.

4. ადმინისტრაცია შედგება თვითმმართველი ერთეულების სამსახურების, აპარატისა და ტერიტორიული ორგანოებისაგან.

5. თვითმმართველი ერთეულების სამსახურები უზრუნველყოფენ შესაბამის სფეროებისა და დარგების მიხედვით საკრებულოსა და გამგეობის გადაწყვეტილებათა აღსრულებას. სამსახურის ფუნქციები და სტრუქტურა განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს გამგეობა.

6. თვითმმართველი ერთეულის აპარატი უზრუნველყოფს საკრებულოს, გამგეობისა და თვითმმართველობის ხელმძღვანელი თანამდებობის პირების ორგანიზაციულ, სამართლებრივ, საინფორმაციო და ანალიტიკურ, მატერიალურ-ტექნიკურ მომსახურებას. აპარატის ფუნქციები და სტრუქტურა განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს გამგეობა.

7. ადმინისტრაციის თანამდებობის პირები არიან:

ა) ადმინისტრაციის უფროსი;

ბ) აპარატის უფროსი;

გ) სამსახურის უფროსი.

8. ადმინისტრაციის საქმიანობას საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციის უფროსი.

9. ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, აპარატის უფროსსა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის უფროსი.

10. ადმინისტრაციაში მომუშავე პირები არიან ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეები. ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა სტატუსი, სამუშაოზე მიღებისა და მუშაობის პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“.

11. ადმინისტრაციის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს გამგეობა.

### **მუხლი 65. ადმინისტრაციის უფროსი**

1. ადმინისტრაციის უფროსი არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობა.

2. გამგეობა უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს ადმინისტრაციის უფროსი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველი, გარდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საფუძველებისა, არის საკრებულოს მიერ ადმინისტრაციის უფროსის საქმიანობის უარყოფითად შეფასება.

3. ადმინისტრაციის უფროსი:

ა) კოორდინაციასა და ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას; თვითმმართველი ერთეულის ფუნქციებიდან, საკრებულოსა და გამგეობის უფლებამოსილებიდან გამომდინარე საკითხების მომზადებას;

ბ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აპარატის უფროსს, სამსახურების ხელმძღვანელებს და ადმინისტრაციის თანამშრომლებს;

გ) ანაწილებს ფუნქციებს ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულთა შორის, ამღევს დავალებებს ადმინისტრაციის თანამდებობის პირებს და ისმენს მათ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ;

დ) გამგეობას წარუდგენს ანგარიშს ადმინისტრაციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ე) საკრებულოს და გამგეობის სამუშაო გეგმებიდან და სხდომების დღის წესრიგიდან გამომდინარე, კოორდინაციას უწევს შესაბამის საკითხთა მომზადებას; გამგეობას განსახილველად წარუდგენს ადმინისტრაციის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს; კოორდინაციას უწევს საკრებულოსა და გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას;

ვ) გამგეობას წარუდგენს წინადადებებს თემისათვის უფლებამოსილებათა დელეგირების, თემის მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელების საკითხებზე;

ზ) იღებს გადაწყვეტილებებს აპარატის უფროსის, სამსახურების ხელმძღვანელთა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს სამართლებრივ აქტებს;

კ) ახორციელებს ადმინისტრაციის დებულებით, საკრებულოს და გამგეობის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. ადმინისტრაციის უფროსის არყოფნისას, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას ან გათავისუფლებისას ადმინისტრაციის უფროსის

მოვალეობას ასრულებს აპარატის უფროსი, ხოლო აპარატის უფროსის არ ყოფნის შემთხვევაში, გამგეობის დავალებით ერთ-ერთი სამსახურის უფროსი.

### **მუხლი 66. თვითმმართველი ერთეულის სამსახურის უფროსი**

1. თვითმმართველი ერთეულის სამსახურის უფროსი არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის უფროსი.

2. სამსახურის უფროსი:

ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამსახურის მიერ დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) ადმინისტრაციის უფროსს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით; მოსამსახურეთა წახალისების და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, მოსამსახურეთა მიერ მორიგი და დამატებითი შვებულებების გამოყენების, მოსამსახურეთა სამსახურებრივი მივლინებების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების შესახებ;

გ) განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესს, ფორმებსა და მეთოდებს; მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს; ანაწილებს ფუნქციებს სამსახურის თანამშრომელთა შორის; ადგენს და ადმინისტრაციის უფროსს დასამტკიცებლად წარუდგენს თანამშრომელთა სამუშაოთა აღწერილობებს და სამუშაო გეგმებს;

დ) ადმინისტრაციის უფროსს წარუდგენს სამსახურის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

ე) ადმინისტრაციის უფროსს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სამსახურის მიერ სამუშაო გეგმით დადგენილი სამუშაოების შესრულების შესახებ;

ვ) ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის უფროსს წინაშე.

3. სამსახურის უფროსის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს ადმინისტრაციის უფროსი.

### **მუხლი 67. თვითმმართველი ერთეულის აპარატის უფროსი**

1. თვითმმართველი ერთეულის აპარატის უფროსი არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის უფროსი.

2. აპარატის უფროსი:

ა) წარმართავს აპარატის საქმიანობას და პასუხისმგებელია აპარატის მიერ დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) ადმინისტრაციის უფროსს წარუდგენს წინადადებებს აპარატის თანამშრომელთა საკადრო საკითხებთან დაკავშირებით; მოსამსახურეთა წახალისების და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, მოსამსახურეთა მიერ მორიგი და დამატებითი შვებულებების გამოყენების, მოსამსახურეთა სამსახურებრივი მივლინებების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების შესახებ;

გ) განსაზღვრავს აპარატის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესს, ფორმებსა და მეთოდებს; მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს; ანაწილებს ფუნქციებს განყოფილებებს შორის; ადგენს და ადმინისტრაციის უფროსს დასამტკიცებლად წარუდგენს აპარატის სტრუქტურას, თანამშრომელთა სამუშაოთა აღწერილობებს და სამუშაო გეგმებს;

დ) ადმინისტრაციის უფროსს წარუდგენს აპარატის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

ე) ადმინისტრაციის უფროსს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს აპარატის მიერ სამუშაო გეგმით დადგენილი სამუშაოების შესრულების შესახებ;

ვ) ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის უფროსს წინაშე.

3. სამსახურის უფროსის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს ადმინისტრაციის უფროსი.

## **თავი XI. თვითმმართველობის კონტროლის ორგანო (შიდა აუდიტის სამსახური)**

### **მუხლი 68. თვითმმართველობის შიდა აუდიტი**

1. შიდა აუდიტის სამსახური ამ კანონით, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და წესით თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციაში, თვითმმართველი ერთეულისადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში დაწესებულებებსა და საწარმოებში უზრუნველყოფს:

ა) დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურების ეფექტიანობის, საშტატო რიცხოვნობის რაციონალობის, მართვის სისტემის ეფექტურობის შეფასებას;

ა) დაწესებულების წინაშე არსებული რისკების დადგენასა და მათი მართვის ხარისხის შეფასებას;

ბ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასებას;

გ) დაწესებულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება/მონიტორინგის;

დ) დაწესებულების საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავებას;

ე) ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასებას;

ვ) დაწესებულების აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასებას.

2. შიდა აუდიტის ფუნქციაა საინვესტიციო, ფინანსური, ადამიანური, მატერიალური და სხვა რესურსების გამოყენებისა და მართვის სფეროში განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების, ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ანალიზი და შეფასება.

3. კანონით დადგენილი ფუნქციებს ახორციელებს სისტემური აუდიტის, შესაბამისობის აუდიტის, ეფექტიანობის აუდიტის, ფინანსური აუდიტის და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის მეშვეობით.

4. სამსახურის უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კანონით, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონითა და შიდა აუდიტის სამსახურის დებულებით, რომელსაც მერის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

5. შიდა აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებულია მერისა და საკრებულოს წინაშე. შიდა აუდიტის სამსახური წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგენს შიდა აუდიტის ანგარიშს მერს და საკრებულოს. შიდა აუდიტის ანგარიში საჯაროა და უნდა იქნეს გამოქვეყნებული საკრებულოს დებულებით დადგენილი წესით.

### **მუხლი 69. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი**

1. შიდა აუდიტის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად, 5 წლის ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი.

2. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი:

ა) შეიმუშავებს და მერს დასამტკიცებლად წარუდგენს შიდა აუდიტის სტრატეგიულ და წლიურ გეგმებს;

ბ) კოორდინაციას უწევს შიდა აუდიტორთა საქმიანობას და უნაწილებს მათ ფუნქციებს ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;

გ) ახორციელებს მონიტორინგს შიდა აუდიტის წლიური გეგმის შესრულებაზე და შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის გამოყენებაზე;

დ) უზრუნველყოფს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის, ასევე დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფუნქციების შეფასებას;

ე) თანამშრომლობს ჰარმონიზაციის ცენტრთან და მოთხოვნის შემთხვევაში აწვდის მას შესაბამის დოკუმენტაციასა და ინფორმაციას; ითვალისწინებს ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში გაცემულ შესაბამის რეკომენდაციებსა და მითითებებს;

ვ) ახორციელებს მონიტორინგს შიდა აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციების შესრულებაზე;

ზ) შეიმუშავებს და ახორციელებს შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამას;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და შიდა აუდიტის სამსახურის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. აუდიტორის სამსახურის თანამშრომლებს საკრებულოს მიერ დამტკიცებული სამტატო ნუსხის შესაბამისად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.

4. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი და სამსახურის თანამშრომლები არ შეიძლება იყვნენ საკრებულოს წევრები, ეკავოთ რაიმე სხვა თანამდებობა საჯარო სამსახურში, ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას ან ასრულებდნენ სხვა ანაზღაურებად სამუშაოს, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა.

## თავი XII. თემის თვითორგანიზაცია

### მუხლი 70. თემის ორგანოები

1. თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობის მიერ ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ორი წლის ვადით აირჩევა თემის წარმომადგენლობითი ორგანო – თემის საბჭო, რომელსაც ჰყავს მისდამი ანგარიშვალდებული აღმასრულებელი აპარატი.

2. თემის მეთაურია თემის თავმჯდომარე, რომელსაც თემის საბჭოს წევრთაგან, საბჭოს უფლებამოსილების ვადით, ამ კანონით განსაზღვრული წესით ირჩევს და გადაირჩევს თემის საბჭო

3. თემის ორგანოების შექმნის წესი, მათი უფლებამოსილებები და სტრუქტურა, ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, განისაზღვრება თემის წესდებით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.

### მუხლი 71. თემის საბჭო, საბჭოს არჩევნები

1. თემის საბჭო არის თემის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის მიერ 2 წლის ვადით არჩეული 3–15 წევრისაგან. საბჭოს წევრთა რაოდენობა, მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად განისაზღვრება თემის წესდებით.

2. ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელიც რამდენიმე დასახლებისაგან შედგება, თემის საბჭოს შემადგენლობაში გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული დასახლების მოსახლეობის პროპორციული წარმომადგენლობა, ხოლო სადაც ეს შეუძლებელია, წარმომადგენლობითობა უნდა განისაზღვროს დასახლებათა მოსახლეობასთან კონსულტაციების გათვალისწინებით.

3. ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელიც წესდების შესაბამისად რამდენიმე უბნად იყოფა, თემის საბჭოს შემადგენლობაში გათვალისწინებული უნდა იყოს უბნების მოსახლეობის პროპორციული წარმომადგენლობა.

4. თემის საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე.

5. საბჭოს წევრები, გარდა თემის თავმჯდომარისა, თავიანთ უფლებამოსილებებს ახორციელებენ უსასყიდლოდ. მათ ამ კანონითა და თემის წესდებით დადგენილი უფლებამოსილების განხორციელებისათვის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან ეძლევათ კომპენსაცია. კომპენსაციის ოდენობას ადგენს საკრებულო. კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს საკრებულოს წევრისათვის დადგენილი კომპენსაციის ოდენობის ნახევარზე მეტი.

6. მუნიციპალიტეტში შემავალი თემების საბჭოების არჩევნების ნიშნავს მერი. ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით მოსახლეობის საერთო კრებების (მოსახლეობის გამოკითხვის) ჩატარების გრაფიკს გამგეობის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო. თემის საბჭო აირჩევა მოსახლეობის საერთო კრების მიერ ან მოსახლეობის გამოკითხვით, რომელთა ჩატარების წესს ამ მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად ადგენს საკრებულო. თემის საბჭოს საერთო კრების მიერ ან მოსახლეობის გამოკითხვით არჩევა, ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, განისაზღვრება თემის წესდებით.



7. თემებში, სადაც მოსახლეობა 500-ს არ აღემატება, თემის საბჭოს, როგორც წესი, ღია კენჭისყრით ირჩევს მოსახლეობის საერთო კრება. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არა ნაკლებ მეხუთედი მაინც. თემებში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 500-ზე მეტია, საბჭოს წევრთა არჩევა, როგორც წესი, ხდება მოსახლეობის გამოკითხვით. მოსახლეობის გამოკითხვა ჩატარებულად მიიჩნევა, თუ მასში მონაწილეობა მიიღო ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მეხუთედმა მაინც.

8. საერთო კრებაში ან მოსახლეობის გამოკითხვაში მონაწილეობის უფლება აქვს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ, სარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეს. საერთო კრების მოწვევას და მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარების ორგანიზებას დადგენილი წესით უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია.

9. საბჭოს წევრის კანდიდატურის წამოყენების უფლება, კანდიდატის თანხმობის შემთხვევაში, აქვს ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ, სარჩევნო უფლების მქონე საქართველოს ყოველ მოქალაქეს. საბჭოს წევრებად აირჩევიან ის კანდიდატები, რომლებიც საერთო კრებაზე კენჭისყრით ან მოსახლეობის გამოკითხვით ყველაზე მეტ ხმებს მიიღებენ.

10. მუნიციპალიტეტში შემავალი თემების საბჭოების არჩევნების შესახებ მერის ბრძანების გამოცემიდან 10 დღის ვადაში ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ, სარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეებს ეძლევათ საშუალება საბჭოს წევრობის კანდიდატად წამოაყენონ საკუთარი ან ამ ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული სარჩევნო უფლების მქონე სხვა მოქალაქის კანდიდატურა. დასახელებულ კანდიდატთა რეგისტრაციას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია. 10 დღის ვადის გასვლის შემდეგ, 3 დღის ვადაში დასახელებული კანდიდატები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციაში წარდგენილი ხელმოწერილი განცხადებით ადასტურებენ თანხმობას, კენჭი იყარონ თემის საბჭოს არჩევნებში. თანხმობის დადასტურების ვადის გასვლის შემდეგ, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია აცხადებს გამოკითხვის ჩატარების თარიღს და ორგანიზებას უწევს დასახელებულ კანდიდატებთან დაკავშირებით მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას. გამოკითხვის ჩატარება ეფუძნება გამოკითხვაში მოქალაქეთა ნებაყოფლობითი მონაწილეობის, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების დაცვის პრინციპებს. გამოკითხვაში მოქალაქეები მონაწილეობენ უშუალოდ. აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს გამოკითხვაში მოქალაქეთა ნების თავისუფალ გამოვლენას და კონტროლი გამოკითხვის პროცესში მოქალაქეთა ნების გამოვლენაზე. გამოკითხვა ტარდება დადგენილი ფორმის ბიულეტენების მეშვეობით, ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, საკრებულოს მიერ დადგენილი წესით.

11. საბჭოს წევრს ვადაზე ადრე უფლებამოსილება შეუწყდება და შესაბამისად, რიგგარეშე არჩევნები ტარდება, თუ საბჭოს წევრი:

- ა) საკუთარი წერილობითი განცხადებით გადადგება;
- ბ) დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას;
- გ) სასამართლოს მიერ ცნობილი იქნება დამნაშავედ, ქმედუუნაროდან ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად;
- დ) ადმინისტრაციული ერთეულიდან საცხოვრებლად გადავა სხვა ტერიტორიაზე 6 თვეზე მეტი ვადით;

- ე) რიგგარეშე არჩევნებით იქნა გადარჩეული;
- ვ) გარდაიცვალა.

12. საბჭოს გამოკლებულის წევრის ასარჩევად რიგგარეშე არჩევნები უნდა დაინიშნოს უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში. რიგგარეშე არჩევნები არ დაინიშნება, თუ მორიგი არჩევნების ჩატარებამდე დარჩენილია 3 თვეზე ნაკლები.

13. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობის, აგრეთვე მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ მერი გამოსცემს ბრძანებას. უფლებამოსილების ცნობის შესახებ მერის ბრძანება გამოიცემა ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის საერთო კრების ოქმისა ან გამოკითხვის ოქმის საფუძველზე. უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ მერის ბრძანება გამოიცემა ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული საფუძველების არსებობისას.

14. ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ მოქალაქეთა არა ნაკლებ 10%, უფლება აქვს უნდობლობა გამოუცხადოს საბჭოს წევრს. უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში, უნდობლობის გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში ინიშნება საბჭოს წევრის რიგგარეშე არჩევნები. უნდობლობის გამოცხადება დაუშვებელია საბჭოს წევრის არჩევიდან 3 თვის ვადის გასვლამდე, აგრეთვე თუ საბჭოს მორიგ არჩევნებამდე დარჩენილია 3 თვეზე ნაკლები.

## **მუხლი 72. თემის საბჭოს უფლებამოსილება**

1. თემის საბჭოს უფლებამოსილებები, მისი მუშაობის ორგანიზაცია, სხდომების ჩატარებისა და გადაწყვეტილებების მიღების წესი ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად განისაზღვრება საკრებულოს მიერ დამტკიცებული თემის წესდებით.

2. თემის საბჭო მოსახლეობის ინტერესების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) განსაზღვრავს ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს;

ბ) განიხილავს ადმინისტრაციულ ერთეულში განსახორციელებელ მუნიციპალური პროგრამების პროექტებს და საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

გ) განიხილავს ადმინისტრაციული ერთეულის სივრცითი-ტერიტორიული მოწყობისა და ქალაქგეგმარებითი დოკუმენტების პროექტებს, მიწათსარგებლობის საკითხებს, საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

დ) განიხილავს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს და საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნასა და რეკომენდაციებს;

ე) განიხილავს და საკრებულოსათვის შეიმუშავებს დასკვნებსა და წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში თვითმმართველი ერთეულის ქონების მოვლა-პატრონობის, დაცვისა და მართვის საკითხებზე;

ვ) განიხილავს და საკრებულოსათვის შეიმუშავებს დასკვნებსა და წინადადებებს ადგილობრივი გზების, ინფრასტრუქტურის განვითარების, ტერიტორიის კეთილმოწყობის, მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების საკითხებზე;

ზ) მიმართავს საკრებულოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების თემისათვის დელეგირების წინადადებით;

თ) იღებს მმართველობით გადაწყვეტილებებს მუნიციპალიტეტის მიერ თემისათვის დელეგირებულ საკითხებზე;

ი) ირჩევს და გადაირჩევს თემის თავმჯდომარეს;

კ) განსაზღვრავს აღმასრულებელი აპარატის სამტატო განრიგს, ამტკიცებს აღმასრულებელი აპარატის უფროსისა და მისი მოხელეების სამუშაოთა აღწერილობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; განსაზღვრავს თემის თავმჯდომარის, აღმასრულებელი აპარატის უფროსისა და მოხელეების თანამდებობრივ სარგოებს;

ლ) ქმნის თემის საკონკურსო-საატესტაციო კომისიას;

მ) ისმენს აღმასრულებელი აპარატის უფროსის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ; უფლებამოსილია უარყოფითად შეაფასოს მისი საქმიანობა და სიითი შემადგენლობის უმრავლესობით მას უნდობლობა გამოუცხადოს;

ნ) გეგმავს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს ადმინისტრაციულ ერთეულში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განვითარების, სათემო ორგანიზაციების, კონდომინიუმებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინიციატივების წახალისებისა და მხარდაჭერისათვის;

ო) განიხილავს ადმინისტრაციულ ერთეულში მოქმედი ტერიტორიულ-საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანიზაციების ინიციატივებს მათთვის თვითმმართველი ერთეულის ქონების სარგებლობაში გადაცემის, აგრეთვე მათი ორგანიზებით ადგილობრივი თვითმმართველობის გამგებლობას მიკუთვნებულ, ცალკეულ საზოგადოებრივ მომსახურებათა განსახორციელებლად თვითმმართველ ერთეულთან შესაბამისი შეთამხმებების დადების შესახებ, საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

პ) განიხილავს ადმინისტრაციულ ერთეულში გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ მოსახლეობის წინადადებებს, საკრებულოსათვის შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებს;

ჟ) განიხილავს ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრების შეცვლის, ადმინისტრაციული ცენტრის გადატანის შესახებ წინადადებებს, საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

რ) განიხილავს მეზობელ თემებთან თანამშრომლობის საკითხებს, საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

ს) საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში იღებს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – თემის საბჭოს განკარგულებას;

ტ) ახორციელებს ამ კანონით და თემის წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

### **მუხლი 73. თემისათვის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების დელეგირება**

1. ამ კანონით თემისათვის დელეგირებულია ამ კანონის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საკითხები.

2. თემისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის გამგებლობას მიკუთვნებული მუნიციპალიტეტის სხვა უფლებამოსილების დელეგირება დაიშვება თემის საბჭოს ან/და საკრებულოს ინიციატივით, თემსა და მუნიციპალიტეტს შორის დელეგირების

ხელშეკრულების საფუძველზე. დელეგირების ხელშეკრულებას მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და თემის საბჭოს თანხმობით ხელს აწერენ მერი და თემის თავმჯდომარე.

3. დელეგირების სავალდებულო პირობაა უფლებამოსილების განსახორციელებლად შესაბამისი მუნიციპალური ქონებისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საჭირო ფინანსური სახსრების გადაცემა.

4. თემს უფლება აქვს მუნიციპალიტეტისაგან დასაბუთებულად მოითხოვოს უფლებამოსილებათა დელეგირება. ამგვარი დასაბუთება დაკავშირებული უნდა იყოს თემის მიერ ამ უფლებამოსილებათა უფრო ეფექტიანად განხორციელების რეალურ შესაძლებლობასთან. მუნიციპალიტეტის საკრებულოს უარი უფლებამოსილების დელეგირებაზე შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. თემსა და მუნიციპალიტეტს შორის დელეგირების შესახებ ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ან სასამართლოს მიერ.

6. თემის მიერ მუნიციპალიტეტისაგან დელეგირებული უფლებამოსილების ჯეროვნად განხორციელებას ზედამხედველობას უწევს მუნიციპალიტეტის გამგეობა, რომელიც უფლებამოსილია „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით, როგორც ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, ბათილად ცნოს ან ძალადაკარგულად გამოაცხადოს დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული თემის საბჭოს, თემის თავმჯდომარისა და აღმასრულებელი აპარატის უფროსის სამართლებრივი აქტები.

7. თუ აღმასრულებელი აპარატის უფროსი ჯეროვნად არ ახორციელებს ამ კანონის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს, მუნიციპალიტეტის გამგეობა მიმართავს თემის საბჭოს წინადადებით, უარყოფითად შეაფასოს მისი საქმიანობა და გაანთავისუფლოს იგი დაკავებული თანამდებობიდან.

#### **მუხლი 74. თემის საბჭოს სხდომა**

1. თემის საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება საბჭოს სხდომებზე. საბჭოს სხდომას იწვევს და წარმართვას თემის თავმჯდომარე. თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში, სხდომას უძღვება საბჭოს დამსწრე წევრთაგან უხუცესი. საბჭოს სათათბირო ხმის უფლებით ესწრება აღმასრულებელი აპარატის უფროსი. საბჭოს მორიგი სხდომები თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული დღის წესრიგით მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა თავმჯდომარის, მუნიციპალიტეტის გამგეობის, აღმასრულებელი აპარატის უფროსის, საბჭოს სიითი შემადგენლობის არა ნაკლებ 1/3-ის, ან ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული ამომრჩევლის არა ნაკლებ 1%-ის წერილობითი ინიციატივით. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა ინიციატორის მიერ განსაზღვრული საკითხის გადასაწყვეტად.

2. თემის საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე სარგებლოს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

3. თემის საბჭოს სხდომა საჯაროა. სხდომის დღის წესრიგი, ჩატარების დრო და ადგილი უნდა გამოქვეყნდეს სხდომამდე ათი დღით ადრე მაინც.

4. საბჭოს სხდომის მიმდინარეობა და მისი გადაწყვეტილებები შეტანილი უნდა იქნას სხდომის ოქმში. ოქმის შედგენას უზრუნველყოფს და ხელს აწერს თავმჯდომარე. საბჭოს

სხდომის ოქმები საჯაროა და ისინი უნდა გამოქვეყნდეს თვითმმართველი ერთეულის ვებ-გვერდზე.

### **მუხლი 75. თემის თავმჯდომარე**

1. თემის თავმჯდომარე არის თემის მეთაური, რომელსაც საბჭოს უფლებამოსილების ვადით, საბჭოს წევრთაგან სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს თემის საბჭო.

2. თემის თავმჯდომარე:

ა) წარმოადგენს და მოქმედებს თვითმმართველი თემის სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას; ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს;

ბ) იწვევს და თავმჯდომარეობს თემის საბჭოს სხდომებს, ადგენს სხდომის დღის წესრიგის პროექტს, ხელს აწერს სხდომის ოქმსა და სხდომაზე მიღებულ საბჭოს გადაწყვეტილებებს;

გ) ხელს აწერს თემის სახელით დადებულ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს, მათ შორის მუნიციპალიტეტთან დადებულ დელეგირების ხელშეკრულებას;

დ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აღმასრულებელი აპარატის უფროსს, ახორციელებს მის სამსახურებრივ ზედამხედველობას, იღებს გადაწყვეტილებებს მისი წახალისებისა და მის მიმართ დისციპლინარული ზომის გამოყენების შესახებ;

ე) ვალდებულია თანამდებობიდან გაათავისუფლოს აღმასრულებელი აპარატის უფროსი, თუ მას თემის საბჭომ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით უნდობლობა გამოუცხადა;

ვ) საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს – თემის თავმჯდომარის ბრძანებას;

ზ) ახორციელებს ამ კანონითა და თემის წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. თემის თავმჯდომარეს ეძლევა გასამრჯელო, რომლის ოდენობასაც კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში განსაზღვრავს თემის საბჭო.

### **მუხლი 76. თემის საბჭოს აღმასრულებელი აპარატი**

1. თემის საბჭოს აღმასრულებელი აპარატი აღასრულებს საბჭოს გადაწყვეტილებებს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტისაგან დელეგირებული ამ კანონით და დელეგირების ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებას.

2. თემის საბჭოს აღმასრულებელი აპარატი შედგება აპარატის უფროსისა და მოხელეებისაგან.

3. აპარატის უფროსს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თემის თავმჯდომარე. აპარატის უფროსი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ საფუძვლების არსებობისას, აგრეთვე თუ მას თემის საბჭო უნდობლობას გამოუცხადებს.

4. აპარატის მოხელეებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აპარატის უფროსი.

## მუხლი 77. თემის საბჭოს ადმინსრულებელი აპარატის უფროსის უფლებამოსილება

1. თემის საბჭოს ადმინსრულებელი აპარატის უფროსი წარმართავს აპარატის საქმიანობას, უზრუნველყოფს თემის საბჭოს გადაწყვეტილებათა აღსრულებას, აგრეთვე ამ კანონითა და დელეგირების ხელშეკრულებით განსაზრვრული მუნიციპალიტეტისაგან დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებას.

2. აპარატის უფროსი:

ა) სათათბირო ხმის უფლებით ესწრება თემის საბჭოს სხდომებს;

ბ) თემის თავმჯდომარის დავალებათა შესაბამისად და საბჭოს წინადადებების გათვალისწინებით უზრუნველყოფს სხდომაზე განსახილველი საკითხების მომზადებასა და გადაწყვეტილებების პროექტების შემუშავებას;

გ) უძღვება აპარატის საქმიანობას, თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს აპარატის მოხელეებს, ანაწილებს დავალებებს მოხელეებს შორის, ახორციელებს მათზე სამსახურებრივ ზედამხედველობას;

დ) ახორციელებს ამ კანონით მუნიციპალიტეტისაგან თემზე დელეგირებულ შემდეგ უფლებამოსილებებს:

დ.ა.) უზრუნველყოფს მოსახლეობის საერთო კრებებისა და მოსახლეობის გამოკითხვების, საჯარო განხილვების ჩატარებას; ორგანიზებას უწევს თემის საბჭოსა და ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობისათვის ბიუჯეტის პროექტის გაცნობას და საჯარო განხილვებს; ახორციელებს ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების სისტემატიზაციას, გამგეობისათვის მათ მიწოდებას;

დ.ბ.) უზრუნველყოფს მოსახლეობის და თემის საბჭოს ინფორმირებას, მათ კომუნიკაციას საკრებულოსთან, გამგეობასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებთან; უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების თემის საბჭოსა და მოსახლეობისათვის გაცნობას;

დ.გ.) ორგანიზებას უწევს, აკონტროლებს, თემის საბჭოსა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის უფროსს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე საკრებულოს, მერისა და გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

დ.დ.) ადმინისტრაციის უფროსს წარუდგენს თემის საბჭოს წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

დ.ე.) უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას;

დ.ვ.) მოქალაქეებზე გასცემს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ცნობებს;

დ.ზ.) აკონტროლებს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელების მიმდინარეობას და შესაბამის ინფორმაციას პერიოდულად წარუდგენს თემის საბჭოსა და მუნიციპალიტეტის გამგეობას;

დ.თ.) ამზადებს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულის პრიორიტეტების, ადმინისტრაციულ ერთეულში განსახორციელებელი მუნიციპალური პროგრამებისა და საინვესტიციო პროექტების შესახებ, კოორდინაციას უწევს მათ განხორციელებას;

დ.ი.) მონაწილეობს საფინანსო ბალანსების, მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობებისა და ადმინისტრაციული ერთეულის სხვა ფინანსური დოკუმენტების მომზადებაში;

დ.კ.) შეიმუშავებს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და მისი განკარგვის საკითხებზე;

დ.ლ.) კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში თვითმმართველი ერთეულის ქონების აღრიცხვას, აკონტროლებს ამ ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებას;

დ.მ.) შეიმუშავებს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;

დ.ნ.) მონაწილეობს ადმინისტრაციული ერთეულის სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვაში, ადმინისტრაციული ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამათა პროექტების მომზადებაში და მათი განხორციელებისა და დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებში;

დ.ო.) თვალყურს ადევნებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ბუნების, კულტურის და ისტორიული ძეგლების მდგომარეობას და ინფორმაციას წარუდგენს შესაბამის ორგანოებს;

დ.პ.) მონაწილეობს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის, სამხედრო სასწავლო შეკრებების ჩატარების, დაწყებითი სამხედრო სწავლების, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის და სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზების საკითხებში;

დ.ჟ.) ასრულებს „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს;

დ.რ.) ასრულებს მუნიციპალიტეტსა და ტემს შორის დელეგირების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფუნქციებს;

ე) საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – აპარატის უფროსის ბრძანებას;

ვ) ახორციელებს ამ კანონითა და თემის წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. აპარატის უფროსი ანგარიშვალდებულია თემის თავმჯდომარისა და თემის საბჭოს წინაშე.

## **მუხლი 78. თემის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები**

1. თემის ორგანოები და თანამდებობის პირები თავიანთი უფლებამოსილებების ფარგლებში იღებენ (გამოსცემენ) შესასრულებლად სავალდებულო ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს, რომელთა მომზადების, მიღების (გამოსცემის,) რეგისტრაციის, გამოქვეყნების, ძალაში შესვლის, და გასაჩივრებისა და გაუქმების (ბათილად ცნობის,

ძალადაკარგულად გამოცხადების, არარა აქტად აღიარების) წესები განისაზღვრება „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“.

2. თემის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებია:

ა) თემის საბჭოს განკარგულება;

ბ) თემის თავმჯდომარის ბრძანება;

გ) აღმასრულებელი აპარატის უფროსის ბრძანება.

3. თემის სამართლებრივი აქტები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

4. დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული (გამოცემული) თემის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტები შეიძლება გასაჩივრდეს მუნიციპალიტეტის გამგეობაში ადმინისტრაციული საჩივრის შეტანით, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით.

5. თემის სამართლებრივი აქტების შეჩერება ხდება საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და განსაზღვრული წესით.

6. თემის სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ განსაზღვრულ შემთხვევებში და განსაზღვრული წესით შეუძლიათ:

ა) აქტის მიმღებ (გამომცემ) ორგანოს (თანამდებობის პირს);

ბ) სასამართლოს;

გ) თუ ბრძანება გამოცემულია დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში და გასაჩივრებულია დაინტერესებული მხარის მიერ – მუნიციპალიტეტის გამგეობას;

7. აღმასრულებელი აპარატის უფროსის ბრძანების ბათილად ცნობა ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ განსაზღვრულ შემთხვევებში და განსაზღვრული წესით, ასევე შეუძლია შეუძლია თემის თავმჯდომარეს.

8. თემის სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა“ და „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით“ განსაზღვრულ შემთხვევებში და განსაზღვრული წესით შეუძლიათ თავად აქტის მიმღებ (გამომცემ) ორგანოს (თანამდებობის პირს) და სასამართლოს, აგრეთვე, თუ აქტი მიღებულია (გამოცემულია) დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში – მუნიციპალიტეტის გამგეობას.

### **მუხლი 79. ადმინისტრაციულ ერთეულთა საკონსულტაციო კომიტეტი**

1. თვითმმართველ ერთეულში შემავალი თემების ინტერესების დაცვისა და მათთან დაკავშირებულ საკითხთა წინასწარი განხილვის მიზნით, თემების თავმჯდომარეებისაგან მუნიციპალიტეტის მერთან იქმნება ადმინისტრაციულ ერთეულთა საკონსულტაციო კომიტეტი.

2. საკონსულტაციო კომიტეტის მოწვევის წესი და მუშაობის ორგანიზაცია განისაზღვრება ადმინისტრაციულ ერთეულთა საკონსულტაციო კომიტეტის დებულებით, რომელსაც მერის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

3. საკონსულტაციო კომიტეტი წინასწარ განიხილავს, შეიმუშავებს დასკვნასა და რეკომენდაციებს საკრებულოს და გამგეობის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე.



4. საკონსულტაციო კომიტეტი დებულებით დადგენილი წესით მონაწილეობს თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების, მუნიციპალური პროგრამებისა და საინვესტიციო პროექტების, წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავების პროცესში. ამ მიზნით კომიტეტი წინასწარ განიხილავს გამგეობაში მომზადებულ თვითმმართველი ერთეულის დაგეგმვის დოკუმენტებს, შეიმუშავებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების განსაზღვრის, დასახლებებში განსახორციელებელი მუნიციპალური პროგრამებისა და საინვესტიციო პროექტების, საბიუჯეტო სახსრების დასახლებათა შორის განაწილების საკითხებზე;

4. საკონსულტაციო კომიტეტის გადაწყვეტილებას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი, რომელიც სავალდებულოა იქნეს განხილული საკრებულოს და/ან გამგეობის მიერ შესაბამის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე. თვითმმართველი ერთეულის განვითარების სტრატეგიის, პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტები სავალდებულოა განხილული იქნეს საკონსულტაციო კომიტეტის მიერ მერის მიერ შესაბამისი პროექტების საკრებულოში წარდგენამდე.

5. წელიწადში ერთხელ უნდა გაიმართოს საკრებულოსა და საკონსულტაციო კომიტეტის ერთობლივი სხდომა, რომელზედაც ხდება საკრებულოსა და თვითმმართველობის თანამდებობის პირების ანგარიშების მოსმენა და შეფასება.

### თავი XIII.

#### მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობის განხორციელებაში

#### მუხლი 80. თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ადგილობრივი სამსახურები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან, შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა ინფორმირების, გადაწყვეტილებათა მიღების და აღსრულების პროცესში მონაწილეობისა და მოქალაქეთა ჩართულობისათვის; ადმინისტრაციულ ერთეულებში შექმნან საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრები, რომელშიც მოქალაქეებს მიეცემათ ელექტრონული საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების გამოყენებით საზოგადოებრივ მომსახურებისა და ინფორმაციის მიღების, გადაწყვეტილებათა მიღების და აღსრულების პროცესში მონაწილეობის საშუალება.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან კანონითა და საკრებულოს დებულებით დადგენილი წესით, აგრეთვე თვითმმართველი ერთეულის ვებ-გვერდზე პროაქტიურად გამოაქვეყნონ საჯარო ინფორმაცია, მათ შორის:

- ა) ინიცირებულ გადაწყვეტილებათა პროექტები;
- ბ) ინიცირებულ გადაწყვეტილებათა პროექტების განხილვის პროცედურები და ვადები;
- გ) საკრებულოს, საკრებულოს კომისიის და გამგეობის სხდომების დღის წესრიგი, ჩატარების ადგილი და თარიღი;
- დ) მიღებული ნორმატიული, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციული აქტები, მათი გასაჩივრების ვადები და პროცედურები;
- ე) გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლში მოქალაქეთა მონაწილეობის ვადები

და პროცედურები.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან მიღებიდან 5 დღის ვადაში უზრუნველყონ მიღებული ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით კოდიფიცირება.

### **მუხლი 81. თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობის ფორმები**

თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეები უშუალო მონაწილეობის ფორმებია:

- ა) საერთო კრება;
- ბ) მოსახლეობის გამოკითხვა;
- გ) პეტიცია;
- დ) მონაწილეობა საკრებულოს და საკრებულოს კომისიის, თემის საბჭოს სხდომებში;
- ე) ანგარიშების მოსმენა და შეფასება;
- ვ) საკრებულოს/მერის გაწვევა;
- ზ) თემის საბჭოს წევრის გაწვევა.

### **მუხლი 82. საერთო კრება**

1. დასახლების უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური საკითხის განხილვის მიზნით შეიძლება ჩატარდეს დასახლების საერთო კრება.

2. საერთო კრებაში მონაწილეობას ღებულობენ დასახლებაში მცხოვრები საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქენი.

3. საერთო კრება ტარდება:

- ა) საკრებულოს ან გამგეობის ინიციატივით საკითხის წინასწარ განხილვის მიზნით;
- ბ) თემის საბჭოს ინიციატივით;
- გ) დასახლების მცხოვრებთა არანაკლებ 1%-ის ინიციატივით.

4. საკრებულოს, გამგეობის ან თემის საბჭოს განკარგულება ან დასახლების მცხოვრებთა არანაკლებ 1%-ის მოთხოვნა მიეწოდება თემის აღმასრულებელი აპარატს, რომელიც უზრუნველყოფს საერთო კრების ჩატარებას.

5. საერთო კრების მოწვევისა და კრებაზე განსახილველი საკითხის შესახებ დასახლების მოსახლეობას უნდა ეცნობოს 5 დღით ადრე მაინც.

6. დასახლებაში, რომლის მოსახლეობის რაოდენობა აღემატება 1000 კაცს, საერთო კრება ტარდება დასახლების უბნების მიხედვით ერთი და იმავე ან სხვადასხვა დღეს.

7. საერთო კრება, როგორც წესი, ტარდება ერთ საკითხზე, რაც არ გამორიცხავს საერთო კრების მიერ საკუთარი ინიციატივით თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სხვა საკითხების განხილვას.

8. საერთო კრებას ვალდებულია ესწრებოდეს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი.

9. საერთო კრების გადაწყვეტილებას აქვეყნებს თვითმმართველობის ადმინისტრაცია, კრების ჩატარებიდან ხუთი დღის ვადაში.

10. საერთო კრების გადაწყვეტილებას აქვს სარეკომენდაციო ძალა და საჭიროა იქნეს გათვალისწინებული ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას.

### **მუხლი 83. საზოგადოებრივი აზრის შესწავლა**

1. საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ტარდება თვითმმართველი ერთეულში მცხოვრებ მოსახლეობაში ან მათ ნაწილში (დასახლებაში ან დასახლებათა ჯგუფში) ან შერჩევის საფუძველზე, თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე მოსახლეობის აზრის გაგების მიზნით.

2. საზოგადოებრივი აზრის შესწავლა შეიძლება ჩატარდეს თვითმმართველ ერთეულის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ნებისმიერ საკითხზე საკრებულოს, მერის, გამგეობის, საკრებულოს საკონკულტაციო კომიტეტის, თემის საბჭოს, აგრეთვე თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ მოქალაქეთა არანაკლებ 1%-ის მოთხოვნით.

3. სავალდებულოა საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ისეთ საკითხებზე, როგორცაა თვითმმართველი ერთეულის განვითარების სტრატეგია, პრიორიტეტების დოკუმენტი, ადგილობრივი ბიუჯეტი, თვითმმართველი ერთეულის საზღვრების ცვლილება, თვითმმართველი ერთეულის სიმბოლიკა, თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა, გეოგრაფიულ ობიექტებისათვის სახელწოდებების მინიჭება.

4. საზოგადოებრივი აზრის შესწავლას უზრუნველყოფს თვითმმართველობის ადმინისტრაცია, ხოლო თუ საზოგადოებრივ აზრის შესწავლა ხდება თემის საბჭოს გადაწყვეტილებით – თემის საბჭოს აღმასრულებელი აპარატი.

5. საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ფორმებია:

ა) მოსახლეობის მიერ შესასწავლ საკითხზე საკუთარი შეხედულების დაფიქსირება ბიულეტენების მეშვეობით;

ბ) საერთო კრებებზე ღია კენჭისყრით გადაწყვეტილების მიღება;

გ) შერჩევითი გამოკითხვა ანკეტის მეშვეობით ან ტელეფონით.

6. საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ფორმას, ჩატარების ტერიტორიულ ფარგლებს და შერჩევის წესებს (შერჩევითი შესწავლის შემთხვევაში) განსაზღვრავს გამოკითხვის ჩატარების ინიციატორი. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისას შერჩევა უნდა განხორციელდეს ისეთი წესით, რომ შესაბამის ერთეულში რეგისტრირებულ ყველა ამომრჩეველს ქონდეს თანაბარი შესაძლებლობა იყოს შერჩევითი გამოკითხვის მონაწილე.

7. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ საკითხებზე გადაწყვეტილება არ შეიძლება იქნეს მიღებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლამდე.

8. საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებს აქვეყნებს თვითმმართველობის ადმინისტრაცია, შედეგების შეჯამებიდან ხუთი დღის ვადაში.

9. საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებს აქვს სარეკომენდაციო ძალა და უნდა იქნეს გათვალისწინებული ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას.

### **მუხლი 84. საკრებულოს დადგენილების პროექტის ინიცირება პეტიციის წესით**

1. თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს უფლება აქვს, მოამზადოს და შეიტანოს საკრებულოს დადგენილების პროექტი, ან წარადგინოს წინადადება საკრებულოს ნორმატიული აქტის გაუქმების, ნორმატიულ აქტში ცვლილებების ან დამატებების შეტანის შესახებ.

2. პეტიციის წესით საკითხი შეტანილ უნდა იქნეს წერილობით, საკრებულოს დადგენილების პროექტის სახით.

3. პეტიციის წესით შეტანილ პროექტს ხელს უნდა აწერდეს თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%.

4. პეტიციის წესით შეტანილ პროექტს თან უნდა ერთოდეს ამ გადაწყვეტილების მიღების საჭიროების დასაბუთება, პროექტის ავტორის (ავტორების) და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებლის ვინაობა და მისამართი.

5. კანონით დადგენილი წესით შეტანილ პეტიციას რეგისტრაციაში ატარებს საკრებულოს აპარატი.

6. საკრებულო ვალდებულია პეტიციის წესით შემოტანილი პროექტი რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში განიხილოს საკრებულოს სხდომაზე.

7. საკრებულოს სხდომაზე პეტიციის წესით შემოტანილი პროექტის განხილვაში მომხსენებლის სტატუსით, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს პროექტის ინიციატორთა მიერ დანიშნული მომხსენებელი.

### **მუხლი 85. საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა**

თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, საკრებულოს დებულებით დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებში.

#### **მუხლი 86. თემის საბჭოს სხდომაში მონაწილეობა**

ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს დაუბრკოლებლად მონაწილეობდეს თემის საბჭოს სხდომებში.

### **მუხლი 87. საკრებულოს მიერ ამომრჩეველთა მოსმენა (საკრებულოს „ღია კარის სხდომა“)**

1. საკრებულო ვალდებულია წელიწადში ორჯერ მაინც ჩაატაროს საკრებულოს სპეციალური სხდომა, რომელზეც მოხდება ამომრჩეველთა მოსმენა (საკრებულოს „ღია კარის სხდომა“).

2. ამომრჩეველთა მოსმენა (საკრებულოს „ღია კარის სხდომა“) ტარდება საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით. ბრძანება გამოიცემა მოსმენამდე 7 დღით ადრე მაინც.

3. ამომრჩეველთა მოსმენას ესწრება საკრებულოს თანამდებობის პირები და საკრებულოს წევრები, გამგებელი (მერი) და გამგეობის (მერიის) თანამდებობის პირები.

4. საკრებულოს მიერ ამომრჩეველთა მოსმენის (საკრებულოს „ღია კარის სხდომის“) ჩატარების და ამომრჩეველთა მიერ სხდომაში მონაწილეობის წესი განისაზღვრება საკრებულოს დებულებით.

### **მუხლი 88. საკრებულოს და საკრებულოს კომისიების გამსვლელი სხდომა**

1. საკრებულო და საკრებულოს კომისიები ვალდებულნი არიან წელიწადში სამჯერ მაინც ჩაატარონ გამსვლელი სხდომები.

2. საკრებულოს გამსვლელი სხდომები ტარდება თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ ერთეულებში. კომისიის გამსვლელი სხდომები კომისიის მიერ განსახილველი საკითხების სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება ჩატარდეს როგორც

თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ისე შესაბამისი სფეროს დაწესებულებებში.

3. გამსვლელი სხდომის ჩატარებაზე გადაწყვეტილებას შესაბამისად იღებს საკრებულო და საკრებულოს კომისია. საკრებულოს და საკრებულოს კომისიის გამსვლელი სხდომა ასევე ტარდება:

- ა) მერის მოთხოვნით;
- ბ) საკრებულოს ფრაქციის ინიციატივით;
- გ) თემის საბჭოს წინადადებით;
- დ) ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ მოქალაქეთა 1%-ის მოთხოვნით.

4. საკრებულოს გამსვლელი სხდომების ჩატარებას უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაცია.

### **მუხლი 89. ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირისა და საკრებულოს წევრის ანგარიშების მოსმენა**

1. თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირისა და საკრებულოს წევრის ანგარიშების მოსმენას.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი თანამდებობის პირები (გამეგობის წევრები), თემების საბჭოების თავმჯდომარეები და საკრებულოს წევრები ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც მოაწყონ საჯარო შეხვედრა მოსახლეობასთან და წარდგინენ მათ წინაშე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშით, უპასუხონ ანგარიშის მოსმენისას ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

### **მუხლი 90. საკრებულოს და/ან მერის გაწვევა. თემის საბჭოს წევრის გაწვევა**

1. თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ არანაკლებ 10 კაციან საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს დაიწყოს ხელმოწერების შეგროვება საკრებულოს და/ან მერის გაწვევის მოთხოვნით.

2. საინიციატივო ჯგუფს რეგისტრაციაში ატარებს, ხელმოწერის ბლანკებს გადასცემს, ამოწმებს და ადასტურებს ხელმოწერათა ნამდვილობას საოლქო საარჩევნო კომისია „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი წესის დაცვით.

3. საინიციატივო ჯგუფი ვალდებულია ხელმოწერების შეგროვება დაამთავროს დაწყებიდან ერთი თვის ვადაში. ვადის გადაცილებით შეგროვებული ხელმოწერები ითვლება ბათილად.

4. თუ თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 30% მხარს დაუჭერს საკრებულოს და/ან მერის გაწვევას, მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში ინიშნება საკრებულოს და/ან მერის რიგგარეშე არჩევნები.

4. საინიციატივო ჯგუფის მიერ საჭირო რაოდენობის ხელმოწერების შეუგროვებლობის შემთხვევაში, საკრებულოს და/ან გაწვევის მოთხოვნით ხელმოწერების ხელახალი შეგროვება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ 6 თვის შემდეგ.

5. საკრებულოს და/ან მერის გაწვევის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება არ ხდება საკრებულოს/მერის არჩევიდან ერთი წლის ვადის გასვლამდე ან თუ მორიგ არჩევნებამდე დარჩენილია ერთ წელზე ნაკლები.

6. თემის საბჭოს წევრისათვის უნდობლობის გამოსაცხადებლად და მისი გაწვევის

მოთხოვნით ხელმოწერათა შეგროვების უფლება აქვს არა ნაკლებ 5 კაციან საინიციატივო ჯგუფს. საინიციატივო ჯგუფმა რეგისტრაციისათვის უნდა მიმართოს მუნიციპალიტეტის მერს. მერი ვალდებულია დაარეგისტრიროს საინიციატივო ჯგუფი, გადასცეს მას დადგენილი ფორმის ხელმოწერის ბლანკები და უზრუნველყოს ხელმოწერათა ნამდვილობის შემოწმება. საინიციატივო ჯგუფი ხელმოწერებს აგროვებს დაწყებიდან ორი კვირის ვადაში. თუ ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არა ნაკლებ 10 % მხარს დაუჭერს თემის საბჭოს წევრის გაწვევას, მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში მერი ნიშნავს თემის საბჭოს წევრის რიგგარეშე არჩევნებს. რიგგარეშე არჩევნები არ დაინიშნება, თუ თემის საბჭოს მანდატის ამოწურვამდე დარჩენილია 3 თვეზე ნაკლები. საინიციატივო ჯგუფის მიერ სათანადო რაოდენობის ხელმოწერების შეუგროვებლობის შემთხვევაში ხელმოწერების ხელახალი შეგროვება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ 6 თვის ვადის გასვლის შემდეგ.

#### **თავი XIV. ტერიტორიულ-საზოგადოებრივი თვითმმართველობა**

##### **მუხლი 91. ტერიტორიულ-საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანიზაცია და მისი პრინციპები**

1. ტერიტორიულ-საზოგადოებრივი თვითმმართველობა შეიძლება შეიქმნას ადმინისტრაციულ ერთეულში, დასახლებასა ან დასახლების ნაწილში (უბანი, ქუჩა, კვარტალი და სხვ.), აგრეთვე მრავალბინიან სახლებსა ან ეზოებში.

2. ტერიტორიულ-საზოგადოებრივ თვითმმართველობაში მონაწილეობენ შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები, შესაბამის ტერიტორიაზე არსებული უძრავის ქონების მესაკუთრე, აგრეთვე ტერიტორიასთან სხვა კანონიერი ინტერესით დაკავშირებული მოქალაქეები.

3. ტერიტორიულ-საზოგადოებრივი თვითმმართველობა კანონის ფარგლებში უშუალოდ ახორციელებს და მონაწილეობს ადგილობრივ თვითმმართველობის განხორციელებაში.

4. ტერიტორიულ-საზოგადოებრივი თვითმმართველობა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ა) წევრთა თანასწორობა;
- ბ) ნებაყოფლობითობა;
- გ) საჯაროობა;
- დ) გადაწყვეტილებების მიღებასა და განხორციელებაში თითოეული წევრის მონაწილეობა;
- ე) საერთო ინტერესების განსაზღვრისას მისი თითოეული წევრის ინტერესების გათვალისწინება;
- ვ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, თემის საბჭოსთან თანამშრომლობა.

##### **მუხლი 92. ტერიტორიულ-საზოგადოებრივი თვითმმართველობის ფორმები**

1. ტერიტორიულ-საზოგადოებრივი თვითმმართველობა შეიძლება შეიქმნას არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) ან წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული

პირის სახით, ამ კანონითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმებით.

2. არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) სახით საზოგადოებრივი თვითმმართველობის შექმნის, მოწყობისა და სტრუქტურის საკითხები განისაზღვრება მის წევრთა ურთიერთშეთანხმებით. არარეგისტრირებული კავშირი არ არის იურიდიული პირი. მისი უფლებები და წარმომადგენლობითობა განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსით.

3. საზოგადოებრივი თვითმმართველობა იურიდიული პირის სახით შეიძლება შეიქმნას შემდეგი სამართლებრივი ორგანიზაციული ფორმებით:

- ა) სათემო ორგანიზაცია - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;
- ბ) მესაკუთრეთა ამხანაგობა - კონდომინიუმი;
- გ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

4. სათემო ორგანიზაცია წარმოადგენს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ შესაბამისად დაფუძნებულ და რეგისტრირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლის საწესდებო მიზანია ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე საკუთარ ინიციატივათა განხორციელება.

5. კონდომინიუმი წარმოადგენს „მესაკუთრეთა ამხანაგობის – კონდომინიუმის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებულ და რეგისტრირებულ იურიდიულ პირს - შესაბამის ტერიტორიაზე უძრავი ქონების მესაკუთრეთა ამხანაგობას.

6. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი წარმოადგენს „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებულ და რეგისტრირებულ იურიდიულ პირს - სამეურნეო ამხანაგობას.

7. ერთ ტერიტორიაზე დასაშვებია სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რამდენიმე ტერიტორიულ-საზოგადოებრივი თვითმმართველობის შექმნა.

### **მუხლი 93. ტერიტორიულ-საზოგადოებრივი თვითმმართველობის მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში**

1. ტერიტორიულ-საზოგადოებრივი თვითმმართველობა:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტებითა და თვითმმართველ ერთეულთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობის, თვითმმართველი ერთეულის სამართლებრივი აქტებისა და საკუთარი წესდების შესაბამისად უშუალოდ ახორციელებს მის სარგებლობაში გადაცემული ქონების საკუთრების მართვას ან მონაწილეობს ამ ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულის საკუთრების ქონების მართვაში;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტებითა და თვითმმართველ ერთეულთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობის, თვითმმართველი ერთეულის სამართლებრივი აქტებისა და საკუთარი წესდების შესაბამისად უშუალოდ ახორციელებს ან ორგანიზებას უწევს თვითმმართველი ერთეულის გამგებლობას მიკუთვნებულ საზოგადოებრივ მომსახურობებს, მათ შორის:

ბ.ა.) ტერიტორიის კეთილმოწყობის, გამწვანების, დასუფთავების სამუშაოებს;

ბ.ბ.) ბავშვების, მოხუცების, უნარშეზღუდული პირების, უმუშევრების, მრავალშვილიანი ოჯახების და სხვ. კატეგორიის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალურ მომსახურებას;

ბ.გ.) მეწარმეობის ხელშეწყობისა და დასაქმების ადგილობრივი პროგრამებით განსაზღვრულ ღონისძიებებს;

ბ.დ.) მოსახლეობის დასვენების ობიექტების მოწყობას, სკვერების, პარკების მოვლა-პატრონობასა და ფუნქციონირებას;

ბ.ე.) სასაფლაოების მოვლა-პატრონობას;

ბ.ვ.) ადგილობრივი თვითმმართველობის გამგებლობას მიკუთვნებულ სხვა საზოგადოებრივ მომსახურებებს;

გ) მონაწილეობს თვითმმართველი ერთეულის განვითარების სტრატეგიული გეგმის, პრიორიტეტების დოკუმენტის და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტების შედგენაში;

დ) მონაწილეობს თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ერთეულის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრაში;

ე) კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში მონაწილეობს სახელმწიფოს და თვითმმართველი ერთეულის მიზნობრივი პროგრამებით დასაფინანსებელი პროექტების დაგეგმვაში, განხორციელებასა და მონიტორინგში;

ვ) მონაწილეობს საზოგადოებრივ მომსახურებათა მონიტორინგში.

2. საზოგადოებრივი თვითმმართველობა ხელს უწყობს შესაბამის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ინტერესების ფორმირებასა და ინიციატივების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ერთეულის მრჩეველთა საბჭოში წარდგენას. ამ მიზნით:

ა) შეისწავლის საზოგადოებრივ აზრს, აწყობს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებს, საჯარო განხილვებს, დისკუსიებს;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, თვითმმართველი ერთეულის (თვითმმართველი ქალაქის) ადმინისტრაციული ერთეულის მრჩეველთა საბჭოში წარსადგენად შემუშავებს სამართლებრივი აქტების პროექტებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

#### **მუხლი 94. საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელების გარანტიები**

1. საზოგადოებრივი თვითმმართველობის განსახორციელებლად სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ადმინისტრაციული ერთეულის მრჩეველთა საბჭო და ადმინისტრაცია ვალდებული არიან შექმნან მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საფინანსო-ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი პირობები.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები, თემის საბჭო და აღმასრულებელი აპარატი ვალდებული არიან საზოგადოებრივი თვითმმართველობისაგან მიღებული წინადადებები და მიმართვები განიხილონ მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში.

3. საზოგადოებრივი თვითმმართველობის წარმომადგენელს უფლება აქვს შეუფერხებლად, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაესწროს საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების, თემის საბჭოს სხდომებს და მონაწილეობა მიიღოს მათ მუშაობაში.



## თავი XIV. ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტები

### მუხლი 95. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტები

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემენ შესაბამის სამართლებრივ აქტებს.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნორმატიული აქტებია:

ა) საკრებულოს დადგენილება;

ბ) გამგეობის დადგენილება.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ინდივიდუალური–სამართლებრივი აქტებია:

ა) მერის ბრძანება;

ბ) საკრებულოს განკარგულება;

გ) საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება;

დ) გამგეობის განკარგულება;

ე) ადმინისტრაციის უფროსის ბრძანება.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების მომზადების, მიღების (გამოცემის) გამოქვეყნების, ძალაში შესვლისა და მოქმედების, აღრიცხვისა და სიტემატიზაციის, გასაჩივრების, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ბათილად ცნობის წესები განისაზღვრება „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“, მოქმედი კანონმდებლობით, აგრეთვე საკრებულოსა და გამგეობის ნორმატიული აქტებით.

5. ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტები სავალდებულოა შესასრულებლად თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

### მუხლი 96. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების გასაჩივრება

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

2. დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული (გამოცემული) ინდივიდუალური–სამართლებრივი აქტები: მერის ბრძანება, საკრებულოს განკარგულება, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება, გამგეობის განკარგულება, ადმინისტრაციის უფროსის ბრძანება „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შეიძლება გასაჩივრდეს სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოში ადმინისტრაციული საჩივრის შეტანით, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით.

3. გამგეობის განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საკრებულოში ადმინისტრაციული საჩივრის შეტანით, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით.

4. ადმინისტრაციის უფროსის ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამგეობაში ადმინისტრაციული საჩივრის შეტანით, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით.

**მუხლი 97. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების შეჩერება, ბათილად ცნობა და ძალადაკარგულად გამოცხადება**

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების შეჩერება ხდება საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და განსაზღვრული წესით.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და განსაზღვრული წესით შეუძლიათ:

ა) მერის ბრძანებისა – მერს, სასამართლოს, აგრეთვე, თუ ბრძანება გამოცემულია დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში და გასაჩივრებულია დაინტერესებული მხარის მიერ – სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს;

ა) საკრებულოს დადგენილებისა – საკრებულოს და სასამართლოს;

ბ) საკრებულოს განკარგულებისა – საკრებულოს, სასამართლოს, აგრეთვე თუ განკარგულება მიღებულია დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში და გასაჩივრებულია დაინტერესებული მხარის მიერ – სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს;

გ) გამგეობის დადგენილებისა – გამგეობას, საკრებულოსა და სასამართლოს;

დ) გამგეობის განკარგულებისა – გამგეობას, საკრებულოს, თუ განკარგულების თაობაზე შეტანილია დაინტერესებული მხარის ადმინისტრაციული სჩივარი, სასამართლოს, აგრეთვე თუ განკარგულება მიღებულია დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში და გასაჩივრებულია დაინტერესებული მხარის მიერ – სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს;

ე) ადმინისტრაციის უფროსის ბრძანებისა – ადმინისტრაციის უფროსს, გამგეობას, თუ ბრძანების თაობაზე შეტანილია დაინტერესებული მხარის ადმინისტრაციული სჩივარი, სასამართლოს, აგრეთვე თუ ბრძანება გამოცემულია დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში და გასაჩივრებულია დაინტერესებული მხარის მიერ – სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს;

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში და განსაზღვრული წესით შეუძლიათ თავად აქტის მიმღებ (გამომცემ) ორგანოს (თანამდებობის პირს) და სასამართლოს. საკრებულოს დადგენილება, რომელიც მიღებულია დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და განსაზღვრული წესით, ძალადაკარგულად შეიძლება გამოაცხადოს საქართველოს

მთავრობამ.

## **თავი XV. თვითმმართველი ერთეულის საფინანსო-ეკონომიკური საფუძვლები**

მუხლი 98. თვითმმართველი ერთეულის ეკონომიკური საფუძვლები

თვითმმართველი ერთეულის ეკონომიკურ საფუძვლებს ქმნის თვითმმართველი ერთეულის ქონება და ფინანსები, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ის ქონება, რომელიც მართვის უფლებით გადაცემული აქვს თვითმმართველ ერთეულს, აგრეთვე კანონით დადგენილი სხვა ქონება, რომელიც გათვალისწინებულია თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის საჯარო ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

მუხლი 99. თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის დოკუმენტები

1. მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა არის უწყვეტი, თანმიმდევრული პროცესი, რომლის დროსაც მუშავდება და მიიღება დაგეგმვის დოკუმენტები. დაგეგმვის დოკუმენტებით განისაზღვრება:

ა) არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სურათი, მუნიციპალიტეტის კონკურენტუნარიანობა, სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესაბამისობა საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ სტანდარტებთან, მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები;

ბ) მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი პრობლემები და გამოწვევები;

გ) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები;

დ) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიზნები და ამოცანები;

ე) პრიორიტეტული მიზნების მისაღწევად და ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო რესურსები;

ვ) სამოქმედო გეზი, სამოქმედო პროგრამები და მათი განხორციელების შეფასების კრიტერიუმები.

ზ) შემოსავლებისა და ხარჯების ფინანსური გეგმა (წლის ბიუჯეტი).

2. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის უწყვეტ პროცესში მიიღება დაგეგმვის შემდეგი დოკუმენტები:

ა) მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ანგარიში;

ბ) მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი – საშუალოვადიანი (დასაგეგმი საბიუჯეტო წლის და მომდევნო სამი წლის) პერიოდის დაგეგმვის დოკუმენტი;

გ) მუნიციპალური პროგრამა, მუნიციპალური საინვესტიციო პროექტი – კონკრეტული პრიორიტეტის შესაბამისი მიზნების მიღწევისა და ამოცანების რეალიზაციის მოკლევადიანი (არა უმეტეს 2 წლიანი) პერიოდის დაგეგმვის დოკუმენტი;

დ) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი – ყოველწლიური შემოსავლებისა და ხარჯების ფინანსური გეგმა.

3. თვითმმართველი ერთეულის დაგეგმვის დოკუმენტებს შეიმუშავებს აღმასრულებელი ორგანო ( ადმინისტრაცია და გამგეობა) და მერის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

## **მუხლი 100. თვითმმართველი ერთეულის სოციალურ– ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის პრინციპები**

თვითმმართველი ერთეულის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის ძირითადი პრინციპებია:

ა) კანონიერება – დაგეგმვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფაგლებში, დაგენილი პროცედურებისა და წესების შესაბამისად;

ბ) დაგეგმვისას გამოყენებული ინფორმაციის ობიექტურობა და სანდოობა – დაგეგმვის დოკუმენტები ეფუძნება ოფიციალურ სტატისტიკას, გადამოწმებულ ინფორმაციას, საინფორმაციო პროცესების (ინფორმაციის მოპოვება, სელექცია, დამუშავება, ანალიზი, ახალი ინფორმაციის შექმნა და განაწილება) რაციონალურ მართვას და გამართულ საინფორმაციო–საკომუნიკაციო სისტემას;

გ) დაგეგმვის თანმიმდევრულობა და რაციონალური გათვლა – დაგეგმვის პროცესში ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ლოგიკური კავშირების შესაბამისად განისაზღვრება განვითარების მიზნები, ამოცანები და პრიორიტეტები; დასახული პრიორიტეტები და გეგმები უნდა შეესაბამებოდნენ მუნიციპალიტეტის ხელთ არსებულ რესურსებს და ამ რესურსების რაციონალურად გამოყენებას.;

დ) უწყვეტობა – დაგეგმვა უწყვეტი ციკლური პროცესია.;

ე) კომპლექსურობა – მუნიციპალიტეტის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა ერთდროულად მოიცავს როგორც დარგობრივ, ასევე ტერიტორიულ დაგეგმარებას.;

ვ) პასუხისმგებლობათა ზუსტი და მკაფიო განაწილება – დაგეგმვის დოკუმენტების მომზადებისა და განხორციელების პროცესში ზუსტად და მკაფიოდ განისაზღვრება თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობის პირების, სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების მოვალეობები და პასუხისმგებლობები;

ზ) ეროვნულ და რეგიონულ განვითარებასთან თავსებადობა – მუნიციპალური დაგეგმვის დოკუმენტები შეესაბამება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს, რეგიონული განვითარების ეროვნულ სტრატეგიას, შესაბამისი რეგიონის განვითარების სტრატეგიასა და გეგმას.

თ) სოციალური ორიენტაცია – მუნიციპალური განვითარების დაგეგმვა სოციალურად ორიენტირებულია და მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მოქალაქეთა კეთილდღეობის ამაღლება;

ი) სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორთან პარტნიორობა – მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების განსაზღვრისას, მუნიციპალური პროგრამებისა და საინვესტიციო პროექტების შემუშავებისას აქცენტირებულია სახელმწიფო, ბიზნეს–სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების დაინტერესება, მათთან პარტნიორობა და მათთანამონაწილეობა;

კ) მოქალაქეთა ჩართულობა და ტრანსფარენტულობა.

## **მუხლი 101. თვითმმართველი ერთეულის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის ეტაპები**

1. მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვა თანმიმდევრული და უწყვეტი პროცესია, რომელიც ყოველწლიურად მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ა) საორგანიზაციო-მოსამზადებელ ეტაპი;
- ბ) ინფორმაციის შეკრების, დამუშავებისა და ანალიზის ეტაპი;
- გ) პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ვერსიის შედგენის ეტაპი;
- დ) პრიორიტეტების დოკუმენტის შეთანხმების ეტაპი;
- ე) პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების ეტაპი;
- ვ) პროგრამირებისა და ბიუჯეტირების ეტაპი;
- ზ) შესრულებისა და კორექტირების ეტაპი;
- თ) შესრულების ანგარიშებისა და შეფასების ეტაპი.

2. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის ეტაპების ვადები განისაზღვრება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“, მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით.

**მუხლი 102. მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ანგარიში**

1. მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანგარიში უნდა ასახავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;

ბ) მუნიციპალიტეტის გასული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;

გ) გასული წლის მუნიციპალური პროგრამების შესრულების ანალიზს; თვითმმართველობის აუდიტორის დასკვნას გასული საბიუჯეტო წლისათვის;

დ) სტატისტიკურ ინფორმაციას დარგების მიხედვით მუნიციპალიტეტის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ;

ე) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის კლასიფიკატორის სტანდარტთან სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესაბამისობას;

ვ) მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგად შეფასებას, დარგების მიხედვით არსებულ პრობლემებს;

ზ) მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ანალიზს;

თ) დასახლებათა საერთო კრებებზე განხილვების შედეგად განსაზღვრული დასახლებების პრიორიტეტების შედარებით ანალიზს;

ი) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას.

2. მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანგარიშს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცებიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში ამზადებს ადმინისტრაცია. ანგარიშს ამტკიცებს გამგეობა. ანგარიში ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე არაუგვიანეს 1 ივნისისა და წარმოადგენს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტის შემუშავების საფუძველს.

**მუხლი 103. თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი**

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტით განისაზღვრება:

ა) მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი (დასაგეგმი საბიუჯეტო წლის და მომდევნო 3 წლის) პრიორიტეტები;

ბ) პრიორიტეტების მიხედვით მისაღწევი მიზნები და ამოცანები;

გ) პრიორიტეტების მიხედვით დასახული მიზნების მიღწევისა და ამოცანების რეალიზაციის გზები;

დ) პრიორიტეტების მიხედვით განსახორციელებელ მუნიციპალურ პროგრამათა ნუსხა, პროგრამების განხორციელების საორიენტაციო ვადებისა და ღირებულებების მითითებით;

ე) პრიორიტეტების მიხედვით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების ნუსხა, მათი განხორციელების საორიენტაციო ვადებისა და ღირებულებების მითითებით.

2. პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანგარიშში ასახულ ყველა ინფორმაციას.

3. პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებაში დადგენილი წესით მონაწილეობს ადმინისტრაციულ ერთეულთა საკონსულტაციო კომიტეტი. პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე ადმინისტრაციულ ერთეულთა საკონსულტაციო კომიტეტის დასკვნა სავალდებულოა საკრებულოში განსახილველად. დასკვნა მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე სავალდებულოდ უნდა გამოქვეყნდეს არა უგვიანეს 15 ნოემბრისა.

4. პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტი ბიუჯეტის პროექტთან ერთად მერის მიერ საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინება და ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე არა უგვიანეს 15 ნოემბრისა.

#### **მუხლი 104. თემის პრიორიტეტების დოკუმენტი**

1. თემის პრიორიტეტების დოკუმენტით განისაზღვრება თემის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალოვადიანი (დასაგეგმი საბიუჯეტო წლის და მომდევნო 3 წლის) პრიორიტეტული მიმართულებები და საკრებულოსათვის წარდგენილი დასკვნები, რეკომენდაციები და წინადადებები თემის პრიორიტეტული მიზნების მისაღწევად.

2. თემის პრიორიტეტების გამოსავლენად თემის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება ჩატარდეს მოსახლეობის საერთო კრება ან/და მოსახლეობის გამოკითხვა.

3. პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენას და თემის საბჭოსათვის წარდგენას უზრუნველყოფს აღმასრულებელი აპარატი.

4. თემის პრიორიტეტების დოკუმენტი სავალდებულოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის დაგეგვის დოკუმენტებში.

#### **მუხლი 105. მუნიციპალური პროგრამა**

1. მუნიციპალური პროგრამით განისაზღვრება:

ა) პრიორიტეტების დოკუმენტში განსაზღვრულ რომელ პრიორიტეტს შეესაბამება პროგრამა და რა პრობლემის გადასაწყვეტად არის იგი შემუშავებული;

ბ) პროგრამის მიზნები;

გ) პროგრამის ამოცანები;

დ) პროგრამით დასახული მიზნების მიღწევისა და ამოცანების გადაწყვეტის გზები;

ე) სამოქმედო გეგმა – პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ნუსხა შესაბამისი კალენდარული ვადების მითითებით;

ვ) სამოქმედო გეგმის განმახორციელებელი სუბიექტები;

- ზ) პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსები;
- თ) პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსები (შესაძენი უძრავ-მოძრავი ქონება);
- ი) პროგრამის განხორციელებისათვის შესაძენი მომსახურეობა;
- კ) პროგრამის საფინანსო გეგმა;
- ლ) პროგრამის განხორციელების შეფასების კრიტერიუმები, პროგრამის განხორციელებაზე მონიტორინგის გზები და საშუალებები;
- მ) პროგრამის განხორციელებაზე და მისი მიმდინარეობის შესახებ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი მუნიციპალური სამსახურები.

2. მუნიციპალური პროგრამა შემუშავებული უნდა იქნეს პრიორიტეტების დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამას შეიმუშავებს ადმინისტრაცია, იწონებს გამგეობა და მერის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

3. ადმინისტრაციულ ერთეულთა საკონსულტაციო კომიტეტის მოთხოვნით მერი ვალდებულია გამგეობის მონაწილეობით მოაწყოს მუნიციპალური პროგრამის განხილვა საკონსულტაციო კომიტეტის სხდომაზე. განხილვის შედეგად საკონსულტაციო კომიტეტი ამზადებს დასკვნას, რომელიც სავალდებულოდ ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.

4. დასაგეგმ საბიუჯეტო წელს დასაწყები მუნიციპალური პროგრამა მერის მიერ საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინება და მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ქვეყნდება არა უგვიანეს 15 ნოემბრამდე.

### **მუხლი 106. მუნიციპალური საინვესტიციო პროექტი**

1. მუნიციპალური საინვესტიციო პროექტი წარმოადგენს მუნიციპალურ პროგრამას, რომლის მიზანია:

ა) მუნიციპალური ინფრასტრუქტურის (შენობა-ნაგებობები, გზები, ქუჩები, მოედნები, სკვერები, გარე განათების კონსტრუქციები, კომუნალური მეურნეობის – ელექტრომომარაგების, გაზომომარაგების, წყალმომარაგების, წყალარინების სისტემის ობიექტები და სხვ.) შექმნა-შემენა, განვითარება, რეაბილიტაცია, რემონტი, რეკონსტრუქცია.

ბ) საზოგადოებრივი მომსახურეობის ორგანიზების მიზნით კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნება (დაფუძნებაში მონაწილეობა) და/ან მისი საქმიანობის ინვესტირება.

2. მუნიციპალური საინვესტიციო პროექტი შემუშავებული უნდა იქნეს პრიორიტეტების დოკუმენტის საფუძველზე. საინვესტიციო პროექტს შეიმუშავებს ადმინისტრაცია, იწონებს გამგეობა და მერის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

3. ადმინისტრაციულ ერთეულთა საკონსულტაციო კომიტეტის მოთხოვნით მერი ვალდებულია გამგეობის მონაწილეობით მოაწყოს მუნიციპალური საინვესტიციო პროექტის განხილვა საკონსულტაციო კომიტეტის სხდომაზე. განხილვის შედეგად საკონსულტაციო კომიტეტი ამზადებს დასკვნას, რომელიც სავალდებულოდ ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.

4. დასაგეგმ საბიუჯეტო წელს დასაწყები მუნიციპალური საინვესტიციო პროექტი მერის მიერ საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინება და მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ქვეყნდება არა უგვიანეს 15 ნოემბრამდე.

## **მუხლი 107. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ფორმირების ძირითადი პრინციპები**

1. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი არის ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ.

2. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისგან, ისე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისგან, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისგან.

3. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი უნდა შეესაბამებოდეს თვითმმართველი ერთეულის განვითარების დაგეგმვის დოკუმენტებს: თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანგარიშს და პრიორიტეტების დოკუმენტს. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შედგენის საფუძველია და იგი უნდა მოიცავდეს მუნიციპალური პროგრამებსა და საინვესტიციო პროექტებს.

4. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შედგენისა და განხილვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგების წესი განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

5. ბიუჯეტის პროექტის შემუშავებაში დადგენილი წესით მონაწილეობს ადმინისტრაციულ ერთეულთა საკონსულტაციო კომიტეტი. ბიუჯეტის პროექტზე ადმინისტრაციულ ერთეულთა საკონსულტაციო კომიტეტის დასკვნა სავალდებულოა საკრებულოში განსახილველად. დასკვნა მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე სავალდებულოდ უნდა გამოქვეყნდეს არა უგვიანეს 15 ნოემბრისა.

6. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობები შედგება საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობებისაგან. საკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, გათანაბრებითი ტრანსფერი და საქართველოს კანონმდებლობით თვითმმართველი ერთეულებისათვის განკუთვნილი სხვა შემოსულობები, ხოლო არასაკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსულობები.

7. თვითმმართველ ერთეულს საკუთარი შემოსულობების ხარჯვა შეუძლია განახორციელოს დამოუკიდებლად და თავისი შეხედულებისამებრ.

8. ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების ოდენობებს განსაზღვრავს საკრებულო საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული ზღვრული განაკვეთების გათვალისწინებით. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ადგილობრივი გადასახადების ამოღებას უზრუნველყოფენ საგადასახადო ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო თვითმმართველი ერთეულის სხვა შემოსავლებისა და არაფინანსურ აქტივებზე განხორციელებული ოპერაციებიდან მისაღები სახსრების ამოღებას – შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის სამსახურები, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

9. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ზრდის თვითმმართველი



ერთეულის ბიუჯეტის გადასახდელების ოდენობას ან ამცირებს მის შემოსავლებს, კომპენსირებული უნდა იქნეს ამ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიერ.

10. თვითმმართველ ერთეულს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მიღებული გრანტების, სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერების გარდა, დამოუკიდებლად და საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ყველა სხვა წყაროდან მიღებული შემოსულობები.

11. თვითმმართველი ერთეული დამოუკიდებლად განსაზღვრავს ამ კანონით დადგენილი ექსკლუზიური და ნებაყოფლობითი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის დასაფინანსებელი გადასახდელების მიმართულებებს.

12. სახსრების ის ნაწილი, რომელიც ფისკალური წლის განმავლობაში არ იქნა ათვისებული, გამოიყენება მომდევნო წელს.

### **მუხლი 108. თვითმმართველი ერთეულის ქონება**

1. თვითმმართველი ერთეულის ქონებას განეკუთვნება:

- ა) ამ კანონით თვითმმართველი ერთეულისათვის მიკუთვნებული ქონება;
- ბ) სახელმწიფოს მიერ თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემული ქონება;
- გ) თვითმმართველი ერთეულის მიერ საქართველოს კანონმდებლობით შექმნილი ან შეძენილი ქონება.

2. თვითმმართველი ერთეულები საკუთრების უფლების განხორციელებისას დამოუკიდებელნი არიან. დაუშვებელია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ჩარევა თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, მართვისა და განკარგვის საკითხებში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობისა და განკარგვის, მისით სარგებლობის დროს ვალდებული არიან დაიცვან თვითმმართველი ერთეულის, როგორც მესაკუთრის, კანონიერი ინტერესები.

4. თვითმმართველი ერთეულის ქონების შექმნის წესი, წყაროები და კატეგორიები, აგრეთვე თვითმმართველი ერთეულისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემის წესი განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით.

5. თვითმმართველი ერთეულის ქონება შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებითა და წესით უსასყიდლო სარგებლობისა და მართვის უფლებით შეიძლება გადაეცეს მხოლოდ თემს ან/და ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანიზაციას.

### **მუხლი 109. მიწა და ბუნებრივი რესურსები**

1. თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას განეკუთვნება:

ა) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, გარდა სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული მიწისა;

ბ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე, ადგილობრივი მნიშვნელობის წიაღი და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსები.

### **მუხლი 110. ადგილობრივი შესყიდვა**

1. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებით მომსახურების შესყიდვას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

2. მოსახლეობის საზოგადოებრივი მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში ადგენენ საზოგადოებრივი მომსახურების გაწევის წესებს, დებენ ხელშეკრულებებს იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, აკონტროლებენ მათ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და მომსახურების გაწევის დადგენილი წესების დაცვას.

## **თავი XVI.**

### **ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების გარანტიები.**

### **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა**

### **მუხლი 111. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების უზრუნველყოფის სისტემა**

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლებების განხორციელების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან შექმნან კანონით დადგენილი, აუცილებელი საფინანსო-ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი პირობები.

### **მუხლი 112. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებების შესრულების სავალდებულობა**

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოებისათვის.

### **მუხლი 113. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა მიმართვების განხილვა**

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა მიმართვები სავალდებულოა განსახილველად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და თანამდებობის პირებისათვის, აგრეთვე იმ იურიდიული პირების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც ეს მიმართვები ეგზავნება.

### **მუხლი 114. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა**

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების ზომები და წესი განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო

ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

## თავი XVII.

### ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა

**მუხლი 115.** ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე დგება მათ მიერ საქართველოს კონსტიტუციის და საქართველოს კანონების დარღვევის შემთხვევაში.

**მუხლი 116.** ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან კანონით და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა დებულებებით დადგენილი წესით წარუდგინონ მოსახლეობას ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

**მუხლი 117.** ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა ფიზიკური და იურიდიული პირების წინაშე

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების პასუხისმგებლობა ფიზიკური და იურიდიული პირების წინაშე დგება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

## თავი XVIII.

### საკრებულოს დათხოვნა, საქმიანობის შეჩერება, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

**მუხლი 118.** საკრებულოს დათხოვნა ან მისი საქმიანობის შეჩერება

1. საკრებულოს დათხოვნა ან მისი საქმიანობის შეჩერება ხდება საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ წარმომადგენლობითი ორგანოს მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

2. საკრებულოს დათხოვნის ან მისი საქმიანობის შეჩერების შესახებ საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის თანხმობით გამოსცემს ბრძანებულებას. საკრებულოს დათხოვნის ან მისი საქმიანობის შეჩერების შემთხვევაში თვითმმართველი ერთეულის მართვა ხორციელდება კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 119.** საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. საკრებულოს უფლებამოსილება ვადამდე შეწყდება ამ კანონით დადგენილი წესით

საკრებულოს გაწვევის ან თუ საკრებულოს წევრთა რაოდენობა შემცირდა კანონით დადგენილ წევრთა ნახევარზე მეტით.

2. საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ინიშნება საკრებულოს რიგგარეშე არჩევნები საკრებულოს დარჩენილი ვადით.

## **თავი XIX. გარდამავალი დებულებები**

### **მუხლი 120. არარეგისტრირებული მიწის გამიჯვნის დროებითი წესი**

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2014 წლის 1 ივნისამდე „საჯარო რეესტრში დადგენილი წესით დაარეგისტროს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არარეგისტრირებული მიწის ნაკვეთები, მათ შორის:

ა) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრები და პირუტყვის გადასარეკი ტრასები;

ბ) 500-მეტრიან სასაზღვრო ზოლში არსებული სახელმწიფო საკუთრების მიწა;

გ) დაცული ტერიტორიების სახელმწიფო საკუთრების მიწა;

დ) ისტორიის, კულტურის, ბუნებისა და საკულტო-რელიგიური ძეგლებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო საკუთრების მიწა;

ე) სახელმწიფო ტყის ფონდის მიწა;

ვ) საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი სამეწარმეო იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული სახელმწიფო საკუთრების მიწა;

თ) სახელმწიფო საკუთრების წყლის ფონდის მიწა;

2. 2014 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის 1 იანვრამდე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ მათ ტერიტორიაზე არარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (გარდა კერძო საკუთრებაში არსებული მიწისა) აზომვა და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად დადგენილი წესით რეგისტრაცია.

3. თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ასაზომად საქართველოს მთავრობამ 2014 და 2015 წლების სახელმწიფო ბიუჯეტში უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულებისათვის სპეციალური ტრანსფერის გამოყოფა. 2016 წლის 1 იანვრამდე თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია განხორციელდეს უსასყიდლოდ.

4. ფიზიკური პირების კერძო საკუთრებაში არსებული საკარმიდამო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების არარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირველადი რეგისტრაციისათვის საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს სპეციალური პროგრამის შემუშავება და განხორციელება. 2016 წლის 1 იანვრამდე მიწის ნაკვეთების პირველადი რეგისტრაცია, აგრეთვე პირველადი რეგისტრაციისათვის საჭირო საარქივო მომსახურეობა დაფინანსდეს სპეციალური სახელმწიფო პროგრამით და განხორციელდეს უსასყიდლოდ.

### **მუხლი 121. მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ერთეულების განსაზღვრა და თემის სტატუსის მინიჭება**

1. ამ კანონით მუნიციპალიტეტების (გარდა ქ. თბილისისა) ადმინისტრაციული ერთეულებად მიიჩნევა 2006 წლის 1 იანვრის მდგომარებით მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შემავალი ის ტერიტორიული ერთეულები, რომლებიც წარმოადგენდნენ

თვითმმართველ ერთეულებს.

2. ამ კანონით ქ. თბილისის ადმინისტრაციული ერთეულებია 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ქ. თბილისის რაიონები, აგრეთვე ის ტერიტორიული ერთეულები, რომლებიც 2007 წლის ... არ შედიოდნენ ქ. თბილისში და 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჰყავდათ საკუთარი საკრებულოები.

3. თემის სტატუსი ენიჭებათ ამ მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული ერთეულების ადგილობრივ საზოგადოებებს.

4. ამ კანონით განსაზღვრული თემების საბჭოების არჩევა მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ 2014 წლის 1 იანვრამდე.

### **მუხლი 122. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საკითხთა გადაწყვეტის წესის მიღება**

საქართველოს მთავრობამ 2014 წლის იანვრამდე მიიღოს ამ კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული „ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საკითხთა გადაწყვეტის წესი“.

### **მუხლი 123. თვითმმართველი ერთეულებში ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვა. საქმისწარმოების დროებითი წესი**

1. თვითმმართველი ერთეულებში ელექტრონული საქმისწარმოების დასანერგად საქართველოს მთავრობამ:

ა) 2014 წლის 1 იანვრამდე შეიმუშავოს „თვითმმართველი ერთეულებში ელექტრონული საქმისწარმოების (ელექტრონული კანცელარიის) და ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტი“;

ბ) 2014 წლის 1 სექტემბრამდე შეიმუშავოს „თვითმმართველი ერთეულებში მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტი“;

გ) 2014 წლის 1 იანვრამდე მიიღოს „თვითმმართველი ერთეულებში ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვის სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც გაითვალისწინებს:

გ.ა.) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემების სტანდარტების თვითმმართველი ერთეულებში დანერგვას 2015 წლის 1 იანვრამდე;

გ.ბ.) თვითმმართველი ერთეულის ქონებისა და ფინანსების მართვის, თვითმმართველი ერთეულის დაგეგმვის დოკუმენტების მომზადებისა და მიღების, საბიუჯეტო პროცესის ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემების სტანდარტების შემუშავებასა და დანერგვას 2016 წლის 1 იანვრამდე;

გ.გ) 2014–2018 წწ. თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციულ ერთეულებში ელექტრონული საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების მეშვეობით მოქალაქეთა მომსახურების, ინფორმირებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ჩართულობისათვის საზოგადოებრივი საინფორმაციო ცენტრების მშენებლობას, სათანადოდ აღჭურვასა და პერსონალის მომზადებას.

2. თვითმმართველი ერთეულებმა უზრუნველყონ:

ა) 2014 წლის 1 მარტამდე ამ მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის სტანდარტების დანერგვა და

ელექტრონული საქმისწარმოების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიღება;

ბ) 2015 წლის 1 იანვრამდე ამ მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის სტანდარტების დანერგვა; გ) 2016 წლის 1 იანვრამდე ამ მუხლის 1-ელი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის სტანდარტების დანერგვა.

3. თვითმმართველი ერთეულებში ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის ამოქმედებამდე ქალაქში შესრულებული საქმისწარმოების დოკუმენტების მომზადება, გაფორმება, დოკუმენტბრუნვა და მიღება—გადაგზავნა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული დროებითი წესებით.

#### **მუხლი 124. თვითმმართველი ერთეულების ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა**

თვითმმართველმა ერთეულმა თავიანთი ნორმატიული აქტები ამ კანონთან შესაბამისობაში მოიყვანონ 2014 წლის 1 ოქტომბრამდე.

#### **მუხლი 125. თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მაჩვენებლის სტანდარტის დამტკიცება**

საქართველოს მთავრობამ თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მაჩვენებლის სტანდარტი დაამტკიცოს არა უგვიანეს 2014 წლის 1 ოქტომბრისა.

#### **მუხლი 126. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების მიღება**

თვითმმართველი ერთეულის ამ კანონით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებების გათვალისწინებით საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ცვილებებისა და დამატებების შესახებ საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადება და საქართველოს პარლამენტში არა უგვიანეს 2014 წლის 1 აპრილამდე წარდგენა შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

ა) .....

### **თავი XX.**

#### **დასკვნითი დებულებები**

#### **მუხლი 127. კანონის ამოქმედება**

1. ეს კანონი, გარდა 115-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებისა და 116-ე მუხლისა, ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან.

2. ამ კანონის 115-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები და 117-ე მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს 2005 წლის N 2304 -

რს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.